



დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2011 წლის 19 დეკემბერს

რექტორი

პროფ. ბ. მარბველაშვილი

კინო-ტელე ფაკულტეტის

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2012

წინამდებარე კატალოგში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის შესახებ; განთავსებულია კინო-ტელე ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ანოტაციები. წარმოდგენილია პროგრამების დასახელება მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და შეფასების წესი.

კატალოგი განკუთვნილია სტუდენტებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურს, მიიღოს ინფორმაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტის მისამართი:

0108, თბილისი,

რუსთაველის პროსპექტი № 19

ტელ.: 96 01 46

ვებ-გვერდი: <http://www.tafu.edu.ge>

საკონტაქტო პირები:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი თამარ ვეფხვაძე
- კინო-ტელე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ჭაბუკიანი

კინო-ტელე ფაკულტეტი

ფაკულტეტზე სწავლა ხორციელდება სამ საფეხურზე.

- **ბაკალავრიატი** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა შეესაბამება 240 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 4 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი;
- **მაგისტრატურა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა შეესაბამება 120 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 2 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის მაგისტრის ხარისხი;
- **დოქტორანტურა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა შეესაბამება 180 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 3 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის დოქტორის ხარისხი;

ფაკულტეტზე ხორციელდება 4 საგანმანათლებლო პროგრამა. აქედან 2 საბაკალავრო, 1 – სამაგისტრო, 1 სადოქტორო.

საბაკალავრო პროგრამები

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება

პროგრამული კონცენტრაციებით:

1. აუდიო-ვიზუალური რეჟისურა _____	5
მხატვრული კინოს რეჟისურა _____	13
დოკუმენტური კინოს რეჟისურა _____	15
ტელერეჟისურა _____	17
ანიმაციური კინოს რეჟისურა _____	19
ხმის რეჟისურა _____	21
2. კინო-ტელე ოპერატორი _____	24

სამაგისტრო პროგრამები

საშემსრულებლო - შემოქმედებითი ხელოვნება

(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) _____ 33

პროგრამული კონცენტრაციებით:

1. აუდიო-ვიზუალური რეჟისურა - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი —	34
მხატვრული კინოს რეჟისურა _____	43
დოკუმენტური კინოს რეჟისურა _____	46
ანიმაციური კინოს რეჟისურა _____	49
ტელერეჟისურა _____	52
ხმის რეჟისურა _____	56
2. კინო-ტელე ოპერატორი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; _____	59
3. კინო-ტელე დრამატურგია - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; _____	69
4. კინო-ტელე პროდიუსინგი - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) _____	79

სადოქტორო პროგრამები

საშემსრულებლო - შემოქმედებითი ხელოვნება

(შემოქმედებითი პედაგოგიკა) _____ 86

პროგრამული კონცენტრაცია

1. აუდიო-ვიზუალური რეჟისურა _____	88
კინორეჟისურა _____	89
ტელერეჟისურა _____	102

I ბაკალავრიატი

აუდიო-ვიზუალური რეჟისურა

(მხატვრული კინოს რეჟისურა, დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა, ხმის რეჟისურა)

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (მხატვრული კინოს რეჟისურა, დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა, ხმის რეჟისურა)
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მეოთხე საგანი სავალდებულო არ არის).
დასაქმების სფერო	კინემატოგრაფი (მხატვრული და დაკუმენტური პროფილის ნებისმიერი ჟანრის ფილმი, შემოქმედებითი პროექტი და სხვ.); კინოწარმოება; სახელოვნებო პროფილის დაწესებულებები; ტელევიზია – სატელევიზიო წარმოება; სატელევიზიო ფილმები, დადგმები, სერიალები, შოუ-პროგრამები; პერფორმანსები; რადიო; გასართობი ცენტრები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; აუდიო-ვიზუალური სტუდიები, ფონოტექები, პროფილური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები (მათ შორის საარქივო); ხმის ჩამწერი სტუდიები; კინო-ტელე ლაბორატორიები; სარეკლამო სამსახურები და სხვ.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	კინო-ტელე ფაკულტეტის „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს დამდგმელ რეჟისორს ხუთი პროფილით/სპეციალობით: <ol style="list-style-type: none"> 1. მხატვრული კინოს რეჟისურა; 2. დოკუმენტური კინოს რეჟისურა;

3. ტელერეჟისურა;
4. ანიმაციური კინოს რეჟისურა;
5. ხმის რეჟისურა.

თითოეული პროფილი/სპეციალობა შეიცავს სპეციფიურ ასპექტებს, რაც, განაპირობებს სწავლების შესაბამის თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების რეჟისურის სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი სემინტისათვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით.

პროგრამაში, ზოგად დახასიათებასთან ერთად, დეტალურად არის წარმოდგენილი ხუთივე პროფილის/სპეციალობის სწავლების აღწერა შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და ვერბალური ნაწილის თანხლებით.

კინო-ტელე ფაკულტეტის „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (მხატვრული კინოს რეჟისურა, დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა, ხმის რეჟისურა)“ – ქვემოთ – „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ – აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს შესაბამისი პროფილის დამდგმელ რეჟისორს, რომელიც ფლობს პროფესიის განმსაზღვრელ საფუძვლებს. პროგრამა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების კონკრეტული სფეროს (მხატვრული კინო, დოკუმენტური კინო, ტელევიზია, ანიმაციური კინო, ხმოვან-ხედვითი სტრუქტურა) დამდგმელი რეჟისორის პროფესიის ფუნდამენტური კანონების შესწავლის შედეგად, უზრუნველყოფს მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სხვა ნებისმიერი პროფილის დამდგმელ რეჟისორად ჩამოყალიბებას. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეში მოღვაწე პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდაზე.

„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ აკადემიური პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებას და განათლებას ხელოვნების სფეროში, - ასევე პრაქტიკულ – შემოქმედებითი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის

აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ქმნის აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი რეჟისორის პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებასა და განვითარებას.

მეცადინეობები მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა აკადემიური სახეობით: სალექციო, სემინარული, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, საკურსო ნამუშევრების (ეტიუდები, ვიდეოფილმები, სარეკლამო რგოლები) და დამამთავრებელი, შემაჯამებელი საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროექტის (ფილმი – მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური/ტელეპროექტი) წარმოდგენით.

„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (მხატვრული კინოს რეჟისურა, დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა, ხმის რეჟისურა)“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში **„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“** საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს თანამედროვე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების (კინემატოგრაფი, ტელევიზია, ანიმაცია...) პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, შემოქმედებითი ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

პროგრამის ფარგლებში სპეციალობის თავისებურებათა მიხედვით სტუდენტთა მიღება ყოველწლიურად ხდება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის გათვალისწინებით. კერძოდ:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს **„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (მხატვრული კინოს რეჟისურა, დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა,**

ანიმაციური კინოს რეჟისურა, ხმის რეჟისურა)“ სპეციალობის სტუდენტთა მიღებასა და მომზადებას ყოველწლიურად, საქართველოში არსებული კინონდუსტრიის, სატელევიზიო სივრცისა (ტელერადიო არხების), სარეკლამო სამსახურებისა და ხმის ჩამწერი სტუდიების რაოდენობისა და დამდგმელ რეჟისორთა მიმართ მათი მოთხოვნებისა თუ დაკვეთების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, „მხატვრული კინოს რეჟისურისა“, და „ტელერეჟისურის“ სპეციალობებზე სტუდენტთა მიღება ხდება ყოველწლიურად, საშუალოდ – 7–10 სტუდენტის რაოდენობით, საზოგადოებრივი დაკვეთის შესაბამისად. თუმცა, რამდენადაც „ანიმაციური კინოს რეჟისურის“, „დოკუმენტური კინოს რეჟისურისა“ და „ხმის რეჟისურის“ სპეციალობებზე საზოგადოებრივი დაკვეთა შედარებით მცირეა, ამ სპეციალობაზე მსურველთა მიღება და მომზადება ხორციელდება შეზღუდული რაოდენობით: ყოველ 4 წელიწადში ერთხელ – „დოკუმენტური კინოს რეჟისურის“ სპეციალობაზე – 5 –სტუდენტი, „ხმის რეჟისურის“ სპეციალობებზე – 10 – 15 სტუდენტი, „ანიმაციური კინოს რეჟისურის“ სპეციალობაზე – 5–7 სტუდენტი – საზოგადოებრივი დაკვეთის საჭიროებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.

ამდენად, „აუდიო–ვიზუალური რეჟისურის“ (მხატვრული კინოს რეჟისურა, დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა, ხმის რეჟისურა)“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარსა და მოთხოვნებზე.

„აუდიო–ვიზუალური რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – სტუდენტებს შეასწავლოს აუდიო–ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის (მხატვრული კინო, დოკუმენტური კინო, ტელესივრცე, ანიმაციური კინო, ხმოვან–ხედვითი სტრუქტურა)“ დამდგმელი რეჟისორის პროფესიის ძირითადი ელემენტები, საბაზისო ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიო–ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი რეჟისორის მიერ შესაბამისი სპეციალობის არსის გაცნობიერებას, დარგის მთავარი პრინციპებისა და რეჟისურის პროფესიულ–შემოქმედებითი საფუძვლების საბაზისო ცოდნას.

პროგრამის მიზანია, აგრეთვე, მის კურსდამთავრებულს გაუკვალოს გზა აუდიო–ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი რეჟისორის პროფესიის უმთავრესი მიზნის – მხატვრულ–შემოქმედებითი პროდუქციის –

	<p>აუდიო-ვიზუალური პროექტის – ფილმის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური), ტელეპროექტის (სატელევიზიო ფილმი, ვიდეორგოლი, რეკლამა, გასართობ – შემეცნებითი, საინფორმაციო, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანამათლებლო პროექტები და სხვ.), აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ნიმუშების ხმოვან-ხედვითი სტრუქტურის შექმნის, შემოქმედებითი პროცესის პროფესიულ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელებისაკენ; გამოუმუშაოს პროფესიულ-შემოქმედებითი ჩვევების ათვისებისა და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი. ამდენად, პროგრამის თითოეული მოდული, კურსი თუ სხვა კომპონენტი ემსახურება აღნიშნული მიზნის განხორციელებას (იხ. ქვემოთ).</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეზე ორიენტირებული თანამედროვე დამდგმელი რეჟისორის აღზრდას აუდიო – ვიზუალური მიმართულებით, რომელიც მზად იქნება პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობისათვის როგორც კინემატოგრაფში (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური), ასევე აუდიო-ვიზუალურ შოუ-სანახაობებში, ტელევიზიასა და რადიოში, ნებისმიერ სარეკლამო სამსახურებსი, ხმის ჩამწერ სტუდიებში, აუდიო-ვიზუალურ საარქივო სამსახურებში, აუდიო-ვიზუალურ წარმოდგენებსა და პერფომანსებში.</p>
შედეგები	<p>პროგრამაში სწავლის შედეგები და კომპეტენციები წარმოდგენილია თითოეული სპეციალობის სპეციფიკის მიხედვით. პროგრამის კვალიფიკაციათა აღმწერი (დესკრიპტორი)</p>
ა) ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. აქვს მსოფლიო კლასიკური სალიტერატურო, დრამატურგიული და მუსიკალური მემკვიდრეობის აკადემიური ცოდნა. გაცნობიერებული აქვს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: იცის დრამატურგიული ნაწარმოებისა და ლიტერატურული პირველწყაროს ეკრანზე (კინო, ტელე) გადატანის უმთავრესი კანონზომიერებები. აცნობიერებს მსახიობთან, შემოქმედებით კოლექტივთან, გადამღებ ჯგუფთან, შემოქმედებით პარტნიორებთან ურთიერთობის ნიუანსებს. იცის საეკრანო (კინო, ტელე) ენაზე მოქმედების ორგანული</p>

	<p>გადატანა, კადრირება, რეპეტიციები – მსახიობის ვერბალურ-პლასტიკური მოქმედების სწორად წარმართვა და მისი დაქვემდებარება მოცემული კონცეფციისა და შემოქმედებითი ამოცანისადმი. იცის, როგორ შექმნას შემოქმედებითი კონცეფცია, თითოეული საეკრანო გმირის – პერსონაჟის მხატვრული სახის გათვალისწინებით. იცის გადაღების პროცესის დგეგმვა, მონტაჟი, გახმოვანება და პროექტის სრული რეალიზაცია.</p>
<p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>აქვს ლიტერატურული პირველწყაროს, დრამატურგიული ნაწარმოების გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი, აქვს შემოქმედებითი კონცეფციის პრაქტიკულად ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული ხორცშესხმის უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, აქვს როგორც შემოქმედებით კოლექტივთან, ასევე თითოეულ მსახიობთან ინდივიდუალური მუშაობის უნარი, ფილმისა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური...) თუ ტელეპროექტის ფინანსური და კრეატიული ასპექტებით დაგეგმვის უნარი, აქვს რეჟისორ-რეპეტიტორთან, დამდგმელ მხატვართან, კოსტუმების მხატვართან, სცენარის ავტორთან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, მხატვარ-გრიმიორთან, გამნათებელთან, დეკორატორთან და ა.შ. გუნდური მუშაობის უნარი. აქვს მაყურებელზე ემოციური და ინტელექტუალური ზემოქმედების მიღწევის უნარი, აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი.</p>
<p>გ) დასკვნის უნარი</p>	<p>დაგროვილი ცოდნისა და შეძენილი პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების ანალიზის საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების, შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. შეუძლია აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი (ლიტერატურული პირველწყაროს შინაარსობრივი, კონცეპტუალური მხარე, ავტორისეული ინდივიდუალობა, იკონოგრაფიული მასალები, ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი და სხვ.) მონაცემების შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p>
<p>დ) კომუნიკაციის უნარი</p>	<p>აქვს კომუნიკაციის უნარი შემოქმედებით და გადამღებ ჯგუფთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, პარტნიორებთან, მაყურებელთან.</p>

	<p>იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. შეუძლია კომუკაცია როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ (პლასტიკის ენა) დონეზე. აქვს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს საფესტივალო კომუნიკაციის გამოცდილება.</p>
<p>ე) სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი ზრდისა და დაოსტატების პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებების დადგენა.</p>
<p>ვ) ღირებულებები</p>	<p>მონაწილეობს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ღირებულებების ფორმირების პროცესში და თავად ქმნის ღირებულებებს: კერძოდ, ეკრანულ თუ საეთერო წარმოდგენებს/ფილმებს, სანახაობრივ აუდიო-ვიზუალურ პროექტებს, მხატვრულ სახეებს, სანახაობრივ ელემენტებს და სხვ. ადეკვატურად აფასებს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს მოიპოვოს შემდგომში შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში. ამასთან, „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამა ზემოაღნიშნული კომპეტენციების შედეგად განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც დასაქმების ბაზარზე, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, პროგრამის კურსდამთავრებულთა 60% დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით, ხოლო 20% სწავლას აგრძელებს მაგისტრატურაში (პროცენტის მაჩვენებლები აქ განპირობებულია იმით, რომ პროფესიონალ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელ რეჟისორთა დიდ ნაწილს სურვილი აქვს</p>

	<p>პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობისა, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი ირჩევს შემდგომ აკადემიურ საფეხურს – შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლების მოსაპოვებლად).</p> <p>„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და, უშუალოდ, პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ როგორც დამსაქმებლები (რომლებიც, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად თავად წარმოადგენენ აკადემიურ პერსონალს), ასევე აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (თვითმართველობა) და კურსდამთავრებულები (შემდგომში – მასწავლებლების სახით).</p>
<p>სწავლების მეთოდოლოგია</p>	<p>„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების აუცილებელი წინაპირობაა სტუდენტის შერჩევა ინდივიდუალური შემოქმედებითი საშემსრულებლო უნარების მიხედვით. შესაბამისად, პროგრამა ორიენტირებულია ამ უნარების განვითარებასა და მაღალ პროფესიულ ხარისხში აყვანაზე. ამ მიზნის მიღწევა შესძლებელი ხდება სწავლების ადეკვატური მეთოდების გამოყენებით.</p> <p>„აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამით სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ., ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთს ერწყმიან.</p>

რამდენადაც „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტის ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები იდენტურია ხუთივე სპეციალობისათვის (მხატვრული კინოს რეჟისურა, დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა, ხმის რეჟისურა), ყოველი კონკრეტული სპეციალობის დახასიათებისას წარმოდგენილი იქნება მათ შორის განმასხვავებელი პროფესიული/დარგობრივი კომპეტენციები შესაბამის სასწავლო გეგმებთან (კურიკულუმებთან) ერთად.

ა) სპეციალობა- მხატვრული კინოს რეჟისურა
სწავლის შედეგები და კომპეტენციები

მხატვრული კინოს დამდგმელი რეჟისორი მუშაობს შესაბამისი სპეციალობის ნებისმიერი ხასიათის აუდიო-ვიზუალური შემოქმედებითი პროექტის – მხატვრული ფილმის განხორციელებასა და შემოქმედებითი პროცესის მსვლელობაზე. მას შეუძლია დაგეგმოს და ჩამოაყალიბოს მხატვრული ჩანაფიქრი. იგი ფლობს ოპერატორის, მხატვრის, მსახიობის ოსტატობის, მონტაჟის ხელოვნების, კომპოზიციის, განათების ძირითადი საფუძვლების ცოდნასა და ზოგად პრინციპებს, გადაღების ტექნიკური უზრუნველყოფის თავისებურებებს, ჯგუფური და ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობის ჩვევებს. მხატვრული კინოს დამდგმელი რეჟისორის კომპეტენციაში შედის აუდიო-ვიზუალური პროდუქციის – როგორც სრულმეტრაჟიანი, ასევე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღების მხატვრულ-შემოქმედებითი ორგანიზება და დაგეგმვა.

მხატვრული კინოს დამდგმელ რეჟისორს შეუძლია კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით. შეუძლია საქმიანობა მხატვრული კინემატოგრაფის როგორც სტანდარტული, ასევე ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდების და პროფესიული ღირებულებების გამოყენებით; შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ჟანრისა და ფორმატის მხატვრული ფილმის გადაღება დამოუკიდებლად, შეუძლია გადასაღებ მოედანზე მსახიობთა და, ზოგადად, შემოქმედებითი ჯგუფის მომზადება კადრისთვის. გადასაღები მოედნის ორგანიზება და დაგეგმვა. შეუძლია ორგანიზაციულ – ტექნიკური მხარის მოწესრიგება და ზრუნვა შემოქმედებითი პროცესის წარმატებით დასრულებაზე,

ზოგადი/ ტრანსფერული კომპეტენციები

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი
- დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი
- ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- განსხვავებულებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი

- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი
- გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება
- სოციალური პასიხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედების უნარი
- თანაბარი შესაძლებლობების და გენდერულ საკითხთა გაცნობიერების უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- მხატვრული ფილმის შექმნის უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- დრამატურგიული პირველწყაროს ეკრანული ანალიზი
- ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია
- კადრირება და კომპოზიციის აგების უნარი
- გადამღებ კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- გადაღების წინ რეპეტიციების წარმართვის უნარი
- კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო-დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- მსახიობთან მუშაობის უნარი
- აზრის საეკრანო-საეთერო მეტყველებაში გადატანის უნარი
- მეტაფორული აზროვნების უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან: მსახიობთან, დუბლიორთან, მხატვართან, სცენარის ავტორთან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, ტექნიკურ პერსონალთან, დრამატურგთან მუშაობის უნარი
- მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი
- დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი.

ბ) სპეციალობა- დოკუმენტური კინოს რეჟისურა
სწავლის შედეგები და კომპეტენციები

დოკუმენტური ფილმის რეჟისორი მუშაობს კინო – ტელე წარმოების ამ სახეობისთვის დამახასიათებელი ნებისმიერი ჟანრის ფორმისა და ხასიათის აუდიო-ვიზუალური პროექტის განხორციელებაზე, შემოქმედებითი პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებულ მსვლელობაზე. განვითარებული აქვს ინტელექტუალური სოციალური და პრაქტიკული უნარი, რაც გამოიხატება – თემის მასალის მოპოვება-ანალიზსა და კრიტიკულ აზროვნებაში, გააზრებასა და იტერპრეტაციაში; მას შეუძლია დოკუმენტური მასალის, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოქმედებითი ორგანიზება, მონტაჟური აუდიო-ვიზუალური პროდუქციის შექმნა. იგი ფლობს კინოოპერატორის ოსტატობას, მონტაჟის ხელოვნებას და რეპორტიორის ხელოვნებას. ჯგუფური და ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობის ჩვევებს. რეჟისორის კომპეტენციაში შედის როგორც საწყისი ორგანიზაცია, ასევე რეჟისორული დოკუმენტურ-ქრონიკალური მასალის მხატვრულ-შემოქმედებით ორგანიზება და დაგეგმვა.

დოკუმენტური კინოს რეჟისორს შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა ნებისმიერ ტელე-კინო სივრცეში. პროექტის დამოუკიდებლად მომზადება და პროექტის განვითარება გადასაღებად. ჯგუფისა და გადასაღები მოედნის ორგანიზება.

ძირითადი საქმიანობა: ორგანიზაციულ – ტექნიკური მხარის მოწესრიგება, და ზრუნვა შემოქმედებითი პროცესის წარმატებით დასრულებაზე.

ზოგადი/ ტრანსფერული კომპეტენციები

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი
- დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი
- ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- განსხვავებულებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი

- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი
- გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება
- სოციალური პასიხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედების უნარი
- თანაბარი შესაძლებლობების და გენდერულ საკითხთა გაცნობიერების უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- დოკუმენტური ფილმის შექმნის უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- დრამატურგიული პირველწყაროს ეკრანული ანალიზი
- ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია
- კადრირება და კომპოზიციის აგების უნარი
- გადამღებ კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- გადაღების წინ რეპეტიციების წარმართვის უნარი
- კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო-დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- მსახიობთან მუშაობის უნარი
- აზრის საეკრანო-საეთერო მეტყველებაში გადატანის უნარი
- მეტაფორული აზროვნების უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან: მსახიობთან, დუბლიორთან, მხატვართან, სცენარის ავტორთან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, ტექნიკურ პერსონალთან, დრამატურგთან მუშაობის უნარი
- მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი
- დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი.

გ) სპეციალობა- ტელერეჟისურა
სწავლის შედეგები და კომპეტენციები

დამდგმელი ტელერეჟისორი მუშაობს სატელევიზიო კინო და აუდიო-ვიზუალური წარმოების ყველა სფეროში, ელექტრონული მედიის საშუალებებში (ტელევიზია, ინტერნეტ მედია და რადიო), სარეკლამო – კრეატიულ ჯგუფებში. მას აქვს ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე მხატვრული ინტერპრეტაციის, დრამატურგიული აგებისა და ჟანრული გადაწყვეტის უნარი. იგი ფლობს ეკრანის ენასა და პლასტიკური გამომსახველობის საშუალებებს: ოპერატორის, მსახიობის ოსტატობის, მხატვარ – სცენოგრაფის, ორატორული ხელოვნების, სატელევიზიო ტექნიკისა და ტექნოლოგიების, სატელევიზიო კომუნიკაციის ძირითადი საფუძვლების ცოდნასა და ზოგად პრინციპებს, ასევე, ჯგუფური და ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობის ჩვევებს. დამდგმელი ტელერეჟისორის კომპეტენციაში შედის როგორც შემოქმედებითი პროცესის საწყისი ორგანიზაცია და დაგეგმვა, ასევე რეჟისორული მასალის მხატვრულ-შემოქმედებითი გადაწყვეტა.

დამდგმელ ტელერეჟისორს შეუძლია პროექტის დამოუკიდებლად მომზადება და შემოქმედებითი განვითარება. ჯგუფისა და გადასაღები მოედნის ორგანიზება, კომპლექსური პრობლემების ამოცნობა, იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით. შეუძლია როგორც სტანდარტული ფორმების ინტერპრეტაცია, ასევე ზოგიერთი გამორჩეული, ახალი ტექნოლოგიების პროფესიული ღირებულებების გამოყენება. დამდგმელი ტელერეჟისორი წარმართავს სრულ შემოქმედებით პროცესს (სამუშაო პროცესის დაგეგმვა და განვითარება – მუშაობა მსახიობებთან, საჯარო გამომსვლელებთან), გადასაღები მოედნის ორგანიზება (სტუდიური თუ პირდაპირი ტრანსლაციები), ტექნიკური მხარის მოწესრიგება და შემოქმედებითი პროცესის წარმატებით განხორციელება.

ზოგადი/ ტრანსფერული კომპეტენციები

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი
- დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი

- ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი
- გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება
- სოციალური პასიხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედების უნარი
- თანაბარი შესაძლებლობების და გენდერულ საკითხთა გაცნობიერების უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- აუდიო-ვიზუალური პროექტის შექმნის უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- დრამატურგიული პირველწყაროს ეკრანული ანალიზი
- ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია
- კადრირება და კომპოზიციის აგების უნარი
- გადამღებ კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- გადაღების წინ რეპეტიციების წარმართვის უნარი
- კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო-დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- მსახიობთან და საჯარო გამომსვლელებთან მუშაობის უნარი
- აზრის საეკრანო-საეთერო მეტყველებაში გადატანის უნარი
- მეტაფორული აზროვნების უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან: მსახიობთან, დუბლიორთან, მხატვართან, სცენარის ავტორთან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, ტექნიკურ პერსონალთან, დრამატურგთან მუშაობის უნარი
- მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი
- დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი

- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი.

გ) სპეციალობა- ანიმაციური კინოს რეჟისურა
სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ანიმაციური კინოს დამდგმელი რეჟისორი მუშაობს შესაბამისი სპეციალობის ნებისმიერი ხასიათის (რეკლამა, მუსიკალური კლიპი, სხვადასხვა ფორმატის ანიმაციური ფილმი) აუდიო-ვიზუალური შემოქმედებითი პროექტის – ანიმაციური ფილმის განხორციელებასა და შემოქმედებითი პროცესის მსვლელობაზე. მას შეუძლია დაგეგმოს და ჩამოაყალიბოს მხატვრული ჩანაფიქრი. იგი ფლობს ოპერატორის, მხატვრის, მონტაჟის ხელოვნების (2 D – 3 D), კომპოზიციის, განათების ძირითადი საფუძვლების ცოდნასა და ზოგად პრინციპებს, გადაღების ტექნიკური უზრუნველყოფის თავისებურებებს, ჯგუფური და ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობის ჩვევებს. ანიმაციური კინოს დამდგმელი რეჟისორის კომპეტენციაში შედის აუდიო-ვიზუალური პროდუქციის – როგორც სრულმეტრაჟიანი, ასევე მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის ან სხვა ანიმაციური პროდუქტის (როგორც ნახატი, ასევე თოჯინური თუ სხვადასხვა მასალის) გადაღების მხატვრულ-შემოქმედებითი ორგანიზება და დაგეგმვა.

ანიმაციური კინოს დამდგმელ რეჟისორს შეუძლია კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით. შეუძლია საქმიანობა ანიმაციური კინემატოგრაფის როგორც სტანდარტული, ასევე ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდების და პროფესიული ღირებულებების გამოყენებით; შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ჟანრისა და ფორმატის ანიმაციური ფილმისა და სხვა ანიმაციური პროექტის გადაღება დამოუკიდებლად, შეუძლია შემოქმედებითი ჯგუფის მომზადება, გადაღების პროცესის ორგანიზება და დაგეგმვა. შეუძლია ორგანიზაციულ – ტექნიკური მხარის მოწესრიგება და ზრუნვა შემოქმედებითი პროცესის წარმატებით დასრულებაზე.

ზოგადი/ ტრანსფერული კომპეტენციები

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი
- დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი

- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი
- ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- განსხვავებულებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი
- გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება
- სოციალური პასიხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედების უნარი
- თანაბარი შესაძლებლობების და გენდერულ საკითხთა გაცნობიერების უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო–ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- ანიმაციური ფილმის შექმნის უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- აუდიო–ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების (2 D – 3 D) ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- დრამატურგიული პირველწყაროს ეკრანული ანალიზი
- ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია
- კადრირება და კომპოზიციის აგების უნარი
- გადამღებ კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- გადაღების წინ თოჯინების, მარიონეტებისა და სხვ. სპეციფიური რეპეტიციების წარმართვის უნარი
- კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო–დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- მხატვარ – ანიმატორებთან მუშაობის უნარი
- თოჯინებთან, მარიონეტებთან მუშაობის უნარი

- აზრის საეკრანო-საეთერო მეტყველებაში გადატანის უნარი
- მეტაფორული აზროვნების უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან: მსახიობთან (გახმოვანება), მხატვარ – ანიმატორთან, სცენარის ავტორთან, კომპოზიტორთან, ტექნიკურ პერსონალთან, დრამატურგთან მუშაობის უნარი
- მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი
- დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი.

გ) სპეციალობა- ხმის რეჟისურა
სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ხმის (გახმოვანების) დამდგმელი რეჟისორი მონაწილეობს აუდიო-ვიზუალური პროდუქციის შემოქმედებით დაგეგმაში. ახორციელებს ვიზუალური მხარის აუდიო სტრუქტურის შექმნას. იგი ფლობს გახმოვანების ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, სხვა აუდიო სისიტემებსა და პროგრამებს. მას შეუძლია მოცემული ამოცანის მიხედვით სრულყოფილი ხმოვანი რიგის ჩამოყალიბება და განხორციელება. ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით აუდიო სისტემის შექმნა.

ხმის (გახმოვანების) დამდგმელ რეჟისორს ასევე შეუძლია იმუშაოს ხმის ოპერატორად მხატვრული ფილმის და სხვა აუდიო-ვიზუალური პროდუქციის განხორციელების პროცესში.

სწავლის დამთავრების შემდეგ ხმის დამდგმელ რეჟისორს გამოუმუშავდება შემდეგი პროფესიული/დარგობრივი უნარ-ჩვევები:

1. ფილმისა და ვიდეოს ხმის ხარისხის კრიტიკულად შეფასება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროდუქციის ესთეტიკურ, ინტელექტუალურ და კომერციულ ღირებულებას;
2. ფილმისა და ვიდეოს ხმის ინტერნაციონალური სტანდარტებით გათვალისწინებული შესრულების დონის დაცვა;
3. ფილმისა და ვიდეოს გახმოვანების შემოქმედებითი დონე;
4. ფილმისა და ვიდეოს ბგერის (ხმის) მაყურებელზე ეფექტურობა;
5. ფილმისა და ვიდეოს კომერციულ ღირებულება;
6. დარგის პროფესიონალიზმი.
7. და სხვა (იხ. ქვემოთ)

ხმის (გახმოვანების) დამდგმელი რეჟისორი მუშაობს ნებისმიერი ხასიათის (კინო-ტელე პროდუქცია: მხატვრული, დოკუმენტური ფილმი, სარეკლამო რგოლი, მუსიკალური კლიპი, სხვადასხვა ფორმატის სატელევიზიო პროექტები, პირდაპირი ჩართვები, ტრანსლაციები,

საინფორმაციო პროგრამები და ა.შ.) ხმოვანი სტრუქტურის განხორციელებასა და შემოქმედებითი პროცესის მსვლელობაზე. მას შეუძლია დაგეგმოს და ჩამოაყალიბოს მხატვრული ჩანაფიქრი. იგი ფლობს ხმის მონტაჟის ხელოვნების ძირითადი საფუძვლების ცოდნასა და ზოგად პრინციპებს, გახმოვანების ტექნიკური უზრუნველყოფის თავისებურებებს, ჯგუფური და ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობის ჩვევებს.

ხმის (გახმოვანების) დამდგმელ რეჟისორს შეუძლია კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით. შეუძლია საქმიანობა პროფესიის როგორც სტანდარტული, ასევე ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდების და პროფესიული ღირებულებების გამოყენებით; შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი ჟანრისა და ფორმატის აუდიო-ვიზუალური პროდუქციის/პროექტის გახმოვანება დამოუკიდებლად, შეუძლია შემოქმედებითი ჯგუფის მომზადება, გახმოვანების პროცესის ორგანიზება და დაგეგმვა. შეუძლია ორგანიზაციულ – ტექნიკური მხარის მოწესრიგება და ზრუნვა შემოქმედებითი პროცესის წარმატებით დასრულებაზე,

ზოგადი/ ტრანსფერული კომპეტენციები

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი
- დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი
- ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი

- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი
- გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება
- სოციალური პასიხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედების უნარი
- თანაბარი შესაძლებლობების და გენდერულ საკითხთა გაცნობიერების უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- ხმის რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- აუდიო-ვიზუალური პროდუქციის გახმოვანების უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია – ხმოვანი რიგის შექმნისათვის
- სხვადასხვა ხმაურებისა და სპეციფიური ხმების სინთეზით მხატვრული მეტაფორების შექმნის უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- კლასიკური და თანამედროვე მუსიკალური მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- დამდგმელ რეჟისორებთან მუშაობის უნარი
- მუსიკოს-შემსრულებლებთან მუშაობის უნარი (ხმის ჩამწერი სტუდიები)
- აზრის ხმოვანსტრუქტურებში გადატანის უნარი
- მეტაფორული აზროვნების უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან: მსახიობთან (გახმოვანება), თოჯინებთან (გახმოვანება), ანიმატორებთან (გახმოვანება), სცენარის ავტორთან, კომპოზიტორთან, ტექნიკურ პერსონალთან, მუშაობის უნარი
- მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი
- დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი (პირდაპირ ჩართვები და სხვ.)
- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი.

კინო – ტელე ოპერატორი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კინო – ტელე ოპერატორი
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები და ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მეოთხე საგანი სავალდებულო არ არის.).
დასაქმების სფერო	კინემატოგრაფი (მხატვრული და დაკუმენტური პროფილის ნებისმიერი ჟანრის ფილმი, შემოქმედებითი პროექტი და სხვ.); კინოწარმოება; სახელოვნებო პროფილის დაწესებულებები; ტელევიზია – სატელევიზიო წარმოება; სატელევიზიო ფილმები, დადგმები, სერიאלები, შოუ-პროგრამები; პერფორმანსები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; აუდიო-ვიზუალური სტუდიები, პროფილური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები; კინო-ტელე ლაბორატორიები; სარეკლამო სამსახურები და სხვ.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	კინო-ტელე ფაკულტეტის „კინო – ტელე ოპერატორის“ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს პროფესიონალ დამდგმელ კინო – ტელე ოპერატორს, რომელიც მონაწილეობს ნებისმიერი ხასიათის კინო – ტელე პროდუქციის შექმნის პროცესში და შემოქმედებით განხორციელებაში. მას შეუძლია დაგეგმოს და ჩამოაყალიბოს მხატვრული ჩანაფიქრი, ვიზუალური სტრუქტურა. შეუძლია შემოქმედებითი მუშაობა გადამრებ ჯგუფთან (დამდგმელ რეჟისორთან, ხმის რეჟისორთან, მსახიობთან და სხვ.) იგი ფლობს კომპოზიციის, განათების სისტემებსა და ტექნოლოგიებს, სატელევიზიო პროდუქტის ცალკეული სცენის გადაღებისთვის ტექნიკური უზრუნველყოფის თავისებურებებს, ჯგუფური და ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობის ჩვევებს. ოპერატორის კომპეტენციაში შედის ვიზუალური

სტრუქტურის ჩამოყალიბება და დაგეგმვა, იდეის განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერა.

კინო – ტელე დამდგმელი ოპერატორის სპეციალობა შეიცავს სპეციფიურ ასპექტებს, რაც, განაპირობებს სწავლების შესაბამის თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით.

კინო-ტელე ფაკულტეტის „კინო – ტელე ოპერატორის“ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს შესაბამისი პროფილის დამდგმელ ოპერატორს, რომელიც ფლობს პროფესიის განმსაზღვრელ საფუძვლებს. პროგრამა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების კონკრეტული სფეროს (მხატვრული კინო, დოკუმენტური კინო, ტელევიზია, ანიმაციური კინო, რეკლამა, სხვადასხვა ჟანრის კლიპი და სხვ.) დამდგმელი ოპერატორის პროფესიის ფუნდამენტური კანონების შესწავლის შედეგად, უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელ ოპერატორად ჩამოყალიბებას. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეში მოღვაწე პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდაზე.

„კინო – ტელე ოპერატორის“ აკადემიური პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებას და განათლებას ხელოვნების სფეროში, - ასევე პრაქტიკულ – შემოქმედებითი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი ოპერატორის პროფესიისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ქმნის აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი ოპერატორის პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებასა და განვითარებას.

მეცადინეობები მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა აკადემიური სახეობით: სალექციო, სემინარული, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, საკურსო ნამუშევრების (ეტიუდები, ვიდეოფილმები, სარეკლამო

რგოლები) და დამამთავრებელი, შემაჯამებელი საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროექტის (ფილმი – მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური/ტელეპროექტი და სხვ.) წარმოდგენით.

„კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს თანამედროვე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების (კინემატოგრაფი, ტელევიზია, ანიმაცია...) პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი ოპერატორი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, შემოქმედებითი ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

პროგრამის ფარგლებში სპეციალობის თავისებურებათა მიხედვით სტუდენტთა მიღება ყოველწლიურად ხდება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის გათვალისწინებით. კერძოდ:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს „კინო – ტელე ოპერატორის“ სპეციალობის სტუდენტთა მიღებასა და მომზადებას ყოველწლიურად, საქართველოში არსებული კინოინდუსტრიის, სატელევიზიო სივრცისა (ტელე-რადიო არხების), სარეკლამო სამსახურების რაოდენობისა და დამდგმელ ოპერატორთა მიმართ მათი მოთხოვნებისა თუ დაკვეთების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, „კინო – ტელე ოპერატორის“ სპეციალობებზე სტუდენტთა მიღება ხდება ყოველწლიურად, საშუალოდ – 7-10 სტუდენტის რაოდენობით – საზოგადოებრივი დაკვეთის საჭიროებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.

ამდენად, „კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარსა და მოთხოვნებზე.

„კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – სტუდენტებს შეასწავლოს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი ოპერატორის პროფესიის ძირითადი ელემენტები, საბაზისო ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი ოპერატორის მიერ შესაბამისი სპეციალობის არსის გაცნობიერებას, დარგის მთავარი პრინციპებისა და რეჟისურისა და ოპერატორის პროფესიულ-შემოქმედებითი საფუძვლების საბაზისო ცოდნას.

პროგრამის მიზანია, აგრეთვე, მის კურსდამთავრებულს გაუკვალოს გზა **აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელი ოპერატორის პროფესიის უმთავრესი მიზნის** – მხატვრულ-შემოქმედებითი პროდუქციის – აუდიო-ვიზუალური პროექტის – ფილმის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური), ტელეპროექტის (სატელევიზიო ფილმი, ვიდეორგოლი, რეკლამა, გასართობ – შემეცნებითი, საინფორმაციო, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანამათლებლო პროექტები და სხვ.), აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ნიმუშების დადგმისა და გადაღებისაკენ (ხედვითი სტრუქტურის შექმნა – როგორც დამდგმელ რეჟისორთან ერთად, ასევე დამოუკიდებლად), შემოქმედებითი პროცესის პროფესიულ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელებისაკენ; გამოუმუშაოს პროფესიულ-შემოქმედებითი ჩვევების ათვისებისა და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი. ამდენად, პროგრამის თითოეული მოდული, კურსი თუ სხვა კომპონენტი ემსახურება აღნიშნული მიზნის განხორციელებას (იხ. ქვემოთ).

პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეზე ორიენტირებული თანამედროვე დამდგმელი ოპერატორის აღზრდას აუდიო – ვიზუალური მიმართულებით, რომელიც მზად იქნება პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობისათვის როგორც კინემატოგრაფში (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური), ასევე აუდიო-ვიზუალურ შოუ-სანახაობებში, ტელევიზიაში, ნებისმიერ სარეკლამო სამსახურებში, აუდიო-ვიზუალურ სპეციფიურ სამსახურებში, აუდიო-ვიზუალურ წარმოდგენებსა და პერფომანსებში.

შედეგები	სწავლის შედეგები და კომპეტენციები იხილეთ ქვემოთ
<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. აქვს მსოფლიო კლასიკური სალიტერატურო, დრამატურგიული და მუსიკალური მემკვიდრეობის აკადემიური ცოდნა. გაცნობიერებული აქვს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: იცის დრამატურგიული ნაწარმოებისა და ლიტერატურული პირველწყაროს ეკრანზე (კინო, ტელე) გადატანის უმთავრესი კანონზომიერებები. აცნობიერებს მსახიობთან, შემოქმედებით კოლექტივთან, გადამღებ ჯგუფთან, შემოქმედებით პარტნიორებთან ურთიერთობის ნიუანსებს. იცის საეკრანო (კინო, ტელე) ენაზე მოქმედების ორგანული გადატანა, იცის, როგორ შექმნას შემოქმედებითი კონცეფცია, თითოეული საეკრანო გმირის – პერსონაჟის მხატვრული სახის გათვალისწინებით. იცის გადაღების პროცესის დგეგმვა, კადრირება, გადაღება და პროექტის სრული რეალიზაცია.</p>
<p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>აქვს ლიტერატურული პირველწყაროს, დრამატურგიული ნაწარმოების გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი, აქვს შემოქმედებითი კონცეფციის პრაქტიკულად ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული ხორცშესხმის უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, აქვს შემოქმედებით კოლექტივთან ინდივიდუალური მუშაობის უნარი, ფილმისა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური...) თუ ტელეპროექტის ფინანსური და კრეატიული ასპექტებით დაგეგმვის უნარი, აქვს დამდგმელ რეჟისორთან, დამდგმელ მხატვართან, კომპოზიტორთან (მაგ., კლიპი), ქორეოგრაფთან (მაგ., კლიპი), მხატვარ-გრიმიორთან, გამნათებელთან და ა.შ. გუნდური მუშაობის უნარი. აქვს მაყურებელზე ემოციური და ინტელექტუალური ზემოქმედების მიღწევის უნარი, აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი.</p>
<p>გ) დასკვნის უნარი</p>	<p>დაგროვილი ცოდნისა და შეძენილი პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების ანალიზის საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების, შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. შეუძლია აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი (ლიტერატურული პირველწყაროს შინაარსობრივი, კონცეპტუალური მხარე, ავტორისეული ინდივიდუალობა, იკონოგრაფიული მასალები, ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი და სხვ.) მონაცემების</p>

	<p>შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია–კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p>
<p>დ) კომუნიკაციის უნარი</p>	<p>აქვს კომუნიკაციის უნარი შემოქმედებით და გადამღებ ჯგუფთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, პარტნიორებთან, მაყურებელთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით აუდიო–ვიზუალური ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. შეუძლია კომუნიკაცია როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ (პლასტიკის ენა) დონეზე. აქვს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ–ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს საფესტივალო კომუნიკაციის გამოცდილება.</p>
<p>ე) სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი ზრდისა და დაოსტატების პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებების დადგენა.</p>
<p>ვ) ღირებულებები</p>	<p>მონაწილეობს აუდიო–ვიზუალური ხელოვნების ღირებულებების ფორმირების პროცესში და თავად ქმნის ღირებულებებს: კერძოდ, ეკრანულ თუ საეთერო პროდუქციას/ფილმებს, სანახაობრივ აუდიო–ვიზუალურ პროექტებს, სანახაობრივ ელემენტებს და სხვ. ადეკვატურად აფასებს აუდიო–ვიზუალური ხელოვნების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს მოიპოვოს შემდგომში შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში. ამასთან, „კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამა ზემოაღნიშნული კომპეტენციების შედეგად განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც დასაქმების ბაზარზე,</p>

	<p>ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, პროგრამის კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით, ხოლო 20% სწავლას აგრძელებს მაგისტრატურაში (პროცენტის მაჩვენებლები აქ განპირობებულია იმით, რომ პროფესიონალ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დამდგმელ ოპერატორთა დიდ ნაწილს სურვილი აქვს პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობისა, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი ირჩევს შემდგომ აკადემიურ საფეხურს – შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლების მოსაპოვებლად).</p> <p>„კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და, უშუალოდ, პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ როგორც დამსაქმებლები (რომლებიც, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად თავად წარმოადგენენ აკადემიურ პერსონალს), ასევე აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (თვითმართველობა) და კურსდამთავრებულები (შემდგომში – მასწავლებლების სახით).</p>
<p>სწავლების მეთოდოლოგია</p>	<p>„კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების აუცილებელი წინაპირობაა სტუდენტის შერჩევა ინდივიდუალური შემოქმედებითი საშემსრულებლო უნარების მიხედვით. შესაბამისად, პროგრამა ორიენტირებულია ამ უნარების განვითარებასა და მაღალ პროფესიულ ხარისხში აყვანაზე. ამ მიზნის მიღწევა შესძლებელი ხდება სწავლების ადეკვატური მეთოდების გამოყენებით.</p> <p>„კინო – ტელე ოპერატორის“ საბაკალავრო პროგრამით სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ., ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთს ერწყმიან.</p>

კომპეტენციების კონკრეტული ჩამონათვალი „კინო – ტელე ოპერატორის“ სპეციალობის ფარგლებში:

ზოგადი/ ტრანსფერული კომპეტენციები

- 1 აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- 2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- 3 დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი
- 4 დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება
- 5 მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- 6 მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- 7 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი
- 8 სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- 9 ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- 10 სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- 11 კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- 12 უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- 13 ახალი იდეების გენერირების უნარი
- 14 პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- 15 დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- 16 ჯგუფში მუშაობის უნარი
- 17 ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი
- 18 ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- 19 არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- 20 განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი
- 21 საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- 22 დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- 23 პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- 24 უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- 25 საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- 26 ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- 27 შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- 28 ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი
- 29 გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება
- 30 სოციალური პასიხისმგებლობითა და თვითშეგნებით მოქმედების უნარი
- 31 თანაბარი შესაძლებლობების და გენდერულ საკითხთა გაცნობიერების უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

1. აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
2. ოპერატორის პროფესიული საფუძვლების ფლობა
3. ფილმის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური...) გადაღების უნარი
4. შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
5. აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
6. შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი

7. დრამატურგიული პირველწყაროს ეკრანული რეალიზაცია
8. ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
9. არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
10. მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია
11. კადრირება და კომპოზიციის აგების უნარი
12. გადამღებ კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
13. კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო-დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
14. ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
15. მსახიობთან/საჯარო გამომსვლელთან მუშაობის უნარი
16. აზრის საეკრანო-საეთერო მეტყველებაში გადატანის უნარი
17. მეტაფორული აზროვნების უნარი
18. შემოქმედებით კოლექტივთან: მსახიობთან, დუბლიორთან, მხატვართან, სცენარის ავტორთან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, ტექნიკურ პერსონალთან, დრამატურგთან მუშაობის უნარი
19. მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი
20. დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი
21. კონცეპტუალური აზროვნების უნარი
22. შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი
23. ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
24. შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
25. ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი.

მაგისტრატურა

საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)

შემდეგი პროგრამული კონცენტრაციებით:

1. აუდიო-ვიზუალური რეჟისურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი – (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ხმის, ტელერეჟისურა);
2. კინო-ტელე ოპერატორი – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;
3. კინო-ტელე დრამატურგია – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;
4. კინო-ტელე პროდიუსინგი – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი

ზოგადი დახასიათება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი მისიის შესაბამისად, **საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა** მოიცავს როგორც შემოქმედებითი პროფილის სხვადასხვა დარგს (თეატრალური ხელოვნება, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება), აგრეთვე შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებულ ანალიტიკურ მუშაობას.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამის მიზანია ხელოვნების დარგების გაღრმავებული სწავლება შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებული ანალიზით, სადაც სინთეზირებულია თეორიული, შემოქმედებითი და ანალიტიკური ასპექტები. ეს პროგრამა თეორიული ანალიზისა და შემოქმედებით-პრაქტიკული ჩვენების განვითარებაზე ორიენტირებული დისციპლინების სინთეზს წარმოადგენს. იგი, ასევე, შეიცავს შემოქმედებითი პედაგოგიის კურსს, რაც მაგისტრანტს სძენს შესაბამისი სპეციალობის **მასწავლებლის** კომპეტენციებსაც.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამის მიზანია ხელოვნების დარგებში ბაკალავრიატის შემდგომი დონის კვალიფიციური კადრების მომზადება, პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისა და პედაგოგიური მუშაობისათვის.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი) - ეს კომპონენტი გულისხმობს საშემსრულებლო, შემოქმედებითი თუ თეორიულ-ანალიტიკური ცოდნის გაღრმავებასა და პედაგოგიური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსების ათვისებას, ასევე საჩვენებელი ლექციის პრეზენტაციას.
- პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს პრაქტიკულ/შემოქმედებითი პროდუქციაზე მუშაობას, მის შექმნას და წარმოდგენას/პრეზენტაციას

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	აუდიო-ვიზუალური რეჟისურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი – (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ხმის, ტელერეჟისურა);
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა (კონცენტრაცია)
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო - ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროგრამული კონცენტრაციის ხელმძღვანელები წარმოდგენილია ქვემოთ - ყოველი კონკრეტული სპეციალობის მიხედვით
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ტელევიზიის, ხმის) რეჟისურის, სპეციალობით, კინომცოდნეობის, ტელემედიის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმუშაონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.
პროგრამაში ჩართული პერსონალი	პროგრამაში ჩართული პერსონალი წარმოდგენილია ყოველი კონკრეტული სპეციალობის მიხედვით.

<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი</p>	<p>აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ტელევიზიის, ანიმაციური კინოს, ხმის) რეჟისურის - თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი – შემდგომში - „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ - სამაგისტრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი, რომელიც (შესაბამისი სპეციალობით) უზრუნველყოფს კინო-ტელე პროექტის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სტელევიზიო და სხვ. ფილმი, სატელევიზიო შოუ, სერიალი, ნებისმიერი ფორმატის აუდიო-ვიზუალური პროექტი, ხმოვანი რიგის წარმოება და სხვ.) შექმნას და მის შემდგომ რეალიზაციას – შემოქმედებითი იდეიდან – დამთავრებული კინემატოგრაფიული ქსელით ან სატელევიზიო/რადიო ეთერით, რაც შეადგენს სრულ შემოქმედებით - საწარმოო ციკლს : იდეა, პრეპროდუცტიონ, პროცდუცტიონ, პოსტპროდუცტიონ .</p> <p>დამდგმელი რეჟისორ-ანალიტიკოსისთვის (ფილმის ავტორი) ცნობილია ფილმის/აუდიო-ვიზუალური პროდუქტის წარმოების ყოველი ეტაპი თუ ორგანიზაციული მხარე (ჯგუფის ორგანიზება: სცენარისტი (საავტორო ტექსტი), მხატვარი, კომპოზიტორი, ხმის ოპერატორი, პროდიუსერი, ლოკალური განათების საშუალებები, მსახიობები, თავად შემოქმედებითი პროცესი და სხვ).</p> <p>მაგისტრანტი პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.</p> <p>აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა გამიზნულია მაღალი პროფესიონალი კინო (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური), ტელე თუ ხმის დამდგმელი რეჟისორის – ქართულ სინამდვილეში, ფაქტობრივად, ახალი სტატუსის მქონე შემოქმედის ჩამოსაყალიბებლად, რაზეც, დღევანდელი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მსოფლიო კინო-ტელე სამყაროში დიდი მოთხოვნილებაა.</p> <p><i>სამაგისტრო პროგრამა მთლიანად ორიენტირებულია</i></p>

საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებულ შრომის ბაზარზე იგულისხმება კინემატოგრაფიულ თუ სატელევიზიო სივრცეში არსებული შესაძლებლობები (ინდივიდუალური აუდიო-ვიზუალური ინდუსტრია, კორპორატიული აუდიო-ვიზუალური ინდუსტრია). დღესდღეობით, შრომის ბაზარზე მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ სარეჟისორო კადრებზე სტაბილურად მაღალია, თუმცა, როგორც კინო, ასევე სატელევიზიო და ა.შ. სივრცეში ამ პროფესიაზე მოთხოვნილება წინ უსწრებს შესაბამის აუდიო-ვიზუალურ სეგმენტში არსებულ რესურსს.

ბაკალავრიატის – სწავლების თანამედროვე სისტემის პირველ საფეხურზე მიღებული საბაზო განათლების შემდეგ, მეორე – მაგისტრატურის – ეტაპი გულისხმობს მიღებული ცოდნის გაღრმავება-განვითარებასა და ინტერესთა კონკრეტულებას, ზუსტი და სწორი მიმართულებების განსაზღვრას აუდიო-ვიზუალური წარმოების პროცესში და ამ პროცესის შედეგად მიღებული პროექტის (ფილმი, სერიალი, ტელეპროექტი, ხმოვანი რიგი და სხვ.) დისტრიბუციასა და რეალიზაციაში – შესაბამისი ფინანსური ეფექტურობითა და უკუგებით (რისი გამყარება და სრულყოფა სწორედ მაგისტრატურის დონეზე ხდება).

აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ტენდენციების შესწავლას კინემატოგრაფსა (მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ), ტელევიზიაში და ხმოვანი სტრუქტურების ფორმირებაში - დამდგმელი რეჟისორისა და მენეჯერის პროფილით. მომავალმა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრებმა თავი უნდა მოსინჯონ თეორიულ ანალიზსა და კვლევებში. შექდონ აქტუალური თემისა და კონცეფციის შერჩევა, ძიების სწორად წარმართვა, პროფესიული ანალიზი, კინო – ტელე თუ რადიო სოციოლოგიური ანალიტიკის გააზრება და მისი შედეგების პრაქტიკული ხორცშესხმა. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დაუფლებისას მაგისტრანტის მიერ შემოთავაზებული პროფესიული მიგნებები შეიძლება განხორციელდეს როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე გახდეს სადოქტორო კვლევის საგანი. პროგრამა მით უფრო აქტუალურია, რადგან დღესდღეობით შესაბამის ბაზარზე შეიმჩნევა აუდიო-ვიზუალური სფეროში შესაბამისი სპეციალობების დამდგმელი რეჟისორების მხრივ თეორიისადმი ზერედე დამოკიდებულება.

პრაქტიკოსი კინო-ტელე თუ ხმის დამდგმელი რეჟისორის წარმატებული საქმიანობა შეუძლებელია ახალი საწარმო-კრეატიული ფორმების ძიების გარეშე. კინო-ტელე წარმოების სწრაფი ტრანსფორმაცია ითხოვს მაღალი რანგის პროფესიონალს, რომელიც აღჭურვილია თეორიის ღრმა ცოდნით, თან აგრძელებს დისციპლინის ახალი მოცემულობების კვლევას. პროგრამის შედეგად სწორედ ეს არის – მაგისტრი, რომელიც მუდმივად ეძებს ახალს, კრიტიკულად აფასებს კანონებად აღიარებულ ცნებებს, აქვს კვლევის სწორი ორგანიზაციის ჩვევები, არგუმენტირებული ანალიზით ადასტურებს მიგნებულ თეორიას.

ამასთან, **სახელოვნებო უმაღლესი განათლებისთვის მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის განსაკუთრებული**

	<p><i>მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ სამაგისტრო საფეხური უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შემოქმედებითი პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნით. შესაბამისად, მაგისტრატურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ეძლევა მაგისტრს შესაბამის დარგში სწავლების უფლება.</i></p> <p>ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამა ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად, ახდენს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მის პრაქტიკაში გამოცდას.</p> <p>აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების (იხ. ქვემოთ) მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის (სამაგისტრო) აღმწერის სათანადო დონით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მორიგი ლექცია, წინამორბედისა და მის ფარგლებში მიღებული შედეგის საფუძველზე აიგება. სწავლების ინტეგრირებული ფორმა, ცოდნისა და გამოცდილების არეალის გაფართოებას შეუწყობს ხელს.</p> <p>სწავლების ძირითადი ნორმების გარდა, რომელიც თეორიული და პრაქტიკული კურსების მონაცვლეობასა და ერთიანობაზეა აგებული, გათვალისწინებულია მასტერკლასები, რომლებსაც ჯგუფის ოსტატის გეგმისა და გადაწყვეტილების საფუძველზე, კინოს, ტელევიზიისა თუ სახელოვნებო სხვადასხვა დარგის მაღალი კლასის პროფესიონალები ჩაატარებენ; განსაზღვრულია პრაქტიკები გადასაღებ მოედნებსა და ლაბორატორიებში, კინო-ტელე და სხვ. წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.</p> <p><i>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული პროფილი/სპეციალობა შეიცავს სპეციფიურ ასპექტებს, რაც განაპირობებს სწავლების შესაბამის თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების რეჟისურის სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი სემესტრისათვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. შესაბამისად, პროგრამაში აუდიო-ვიზუალური რეჟისურის საერთო ვერბალურ დახასიათებასთან ერთად დეტალურად არის წარმოდგენილი ხუთივე პროფილის/სპეციალობის სწავლების აღწერა შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და მოკლე ანოტაციების თანხლებით.</i></p>
შედეგები	<p>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი • დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება • მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი • მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

(ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი

- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი
- ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- ფილმის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სატელევიზიო... ხმოვანი რიგის) და ნებისმიერი ფორმატის აუდიო-ვიზუალური პროდუქციისა თუ პროექტის შექმნის უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- დრამატურგიული პირველწყაროს კინემატოგრაფიული ანალიზი
- ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია

- აუდიო - ვიზუალური კომპოზიციის აგების უნარი
- შემოქმედებით ჯგუფთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- ნებისმიერი ფორმატის კინო-ტელე პროექტის განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მოზიების უნარი, ანუ "ფანდრაიზინგი"
- კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო-დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი
- კვლევის (სოციოლოგიური გამოკითხვები) შედეგების გააზრებისა და სათანადო ინტერპრეტაციის უნარი
- საკუთარი პროფესიის სწავლების, პედაგოგიური მუშაობის უნარი
- კინო-ტელე ფილმის/პროექტის ვიზუალური სახის ჩამოყალიბება და შექმნა, დრამატურგიის, ჟანრის და არჩეული ესთეტიკის გათვალისწინებით.
- გადამღები ჯგუფის ჩამოყალიბება, ამოცანის დასმა და მათი მუშაობის ხელმძღვანელობა.
- მუშაობა ფილმის ბიუჯეტზე.
- გადასაღები ობიექტების შერჩევა და მომზადება.
- კინოსცენარის კადრირებაში მონაწილეობის მიღება რეჟისორთან და მხატვართან ერთად.
- სპეციალური გადაღებების წარმოება, როცა ეს საჭიროა ფილმისთვის.
- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული ან წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი, მოსაზრებების ჩამოყალიბება და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება. შეეძლება ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი დარგის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით.
- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია.
- აქვს ექსტრემალურ სიტუაციაში კამერით შეიარაღებული ორიენტირების ჩვევები.
- შეუძლია აწარმოოს პედაგოგიური მუშაობა. წარმართოს სასწავლო პროცესი მომავალ რეჟისორებთან და კინო-ტელე ოპერატორებთან.
- დამდგმელ ოპერატორს შეუძლია ნებისმიერი ფილმის შემოქმედებითი და ორგანიზაციული პროცესების ხელმძღვანელობა.

- შეუძლია ნებისმიერი ფორმატის ფილმის სტრუქტურის ჩამოყალიბება, ფილმის ჟანრის გათვალისწინებით. ჩანაფიქრიდან, იდეიდან ფილმის სცენარის შექმნა დამოუკიდებლად, ანდა სცენარისტთან თანამშრომლობით.
- გადაღები ჯგუფის მოწვევა-შექმნა, თემის ინტერპრეტაცია, გარკვეული კინემატოგრაფიული ამოცანების დაწესება ჯგუფის წევრების მიმართ.
- ფილმის ბიუჯეტის შედგენა და ანალიზი. ობიექტების განსაზღვრა: ნატურა, ინტერიერი, პავილიონი და ა. შ.
- ნებისმიერი ჟანრის ფილმის გადაღების ხერხების განსაზღვრა, მეთოდების თეორიული ანალიზი. საოპერატორო ოსტატობის, კერძოდ, გადაღების წერტილების (კომპერატორის რაოდენობა) განსაზღვრა. კინოტექნიკის, მათ შორის განათების და კინოოპტიკის ეფექტური გამოყენება.

ღარვის ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრი ადტურვილია მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სატელევიზიო, ხმის დამდგმელი რეჟისორის პროფესიისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნით, რასაც იგი იყენებს, პირველ რიგში, კინო - ტელე სივრცეში თუ ზოგადად კულტურაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისთვის და მათ გასაანალიზებლად; მას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს კინოს, ტელე თუ ხმის რეჟისურისთვის აუცილებელი ანალიზი თუ კვლევები; სრულყოფილად იცის კინო-ტელე თუ ხმის დამდგმელი რეჟისურის თეორიული თუ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საფუძვლები, ისტორია, მიმდინარეობები და შესაძლებლობა აქვს, სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა;

ღარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

თეორიული საფუძველი და ოსტატთან შესაბამისი სპეციალობის რეჟისურაში მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად იმუშაოს შესაბამისი პროფილის დამდგმელ რეჟისორად, აღმასრულებელ პროდიუსერად ან აუდიო-ვიზუალური პროდუქციის მენეჯერად; როგორც დამდგმელმა რეჟისორმა, იცის, რა პრინციპებით წარუძღვეს, ფილმის შემოქმედებისა და წარმოების პროცესებს მის საწყის თუ ძირითად ეტაპებზე, ასევე პოსტპროდუქციის ეტაპზე და როგორ მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი მონაცემების რეალიზება;

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

თეორიული ცოდნა, პრაქტიკულ – შემოქმედებითი გამოცდილება და სწავლის პროცესში აუდიო-ვიზუალურ პროდუქციაზე მუშაობის დროს შექმნილი უნარები მაგისტრანტს საფუძველს უქმნის ადვილად და წარმატებით მოახერხოს გადაღებების პროცესის წარმართვა და ორგანიზება; მან იცის გადაღებებზე ჯგუფთან, მსახიობებთან ურთიერთობა; პროექტის შედგენა და

მის განხორციელებაში ინვესტორის იოლად დარწმუნება; იცის ფილმის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარე; მონტაჟის, გახმოვანება და სხვა, ანალოგიური პრინციპები;

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს არამხოლოდ შემოქმედებით ჯგუფებთან თუ კინოწარმოების პროცესთან დაკავშირებულ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარები, არამედ, გამომუშავებული აქვს პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და, ზოგადად, სტუდენტებისთვის ან სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფისთვის) გაზიარების შესაძლებლობები. მაგისტრს აქვს ცოდნა და გამოცდილება არა მხოლოდ შესაბამისი პროფილის დამდგმელი რეჟისურის სპეციალობაში, არამედ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თეორიასა და ისტორიაში, მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებში. იცის და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

სწავლის უნარი

მაგისტრს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესი;

ღირებულებები

აქვს არსებულ მძფრ კონკურენტულ გარემოში პარტნიორებისა და კონკურენტების დაპატენტებული იდეისა და შემოქმედებითი აუდიო-ვიზუალური პროექტის პროფესიული პატივისცემა. შეუძლია აღნიშნული შემოქმედებითი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების პროფესიული შეფასება და ახალი შემოქმედებითი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

დასაქმების სფეროები

სწავლის დასრულების შემდეგ, **აუდიო-ვიზუალური ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)** პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისა და კინო - ტელე და სხვ. წარმოების ნებისმიერ დარგში. მათ შორის: მხატვრული კინოს დამდგმელი რეჟისორის, დოკუმენტური კინოს დამდგმელი რეჟისორის, ტელევიზიის (სატელევიზიო წარმოების) დამდგმელი რეჟისორის, ანიმაციური კინოს დამდგმელი რეჟისორის, ხმის დამდგმელი რეჟისორის, კინო-ტელე მენეჯერისა და შესაბამისი სპეციალობების სწავლების (შემოქმედებითი პედაგოგიკის) მიმართულებით ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე, პროფესიულ პროგრამებში თუ სახელოვნებო პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე. ამასთან, მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ

	<p>დაწესებულებასა თუ უწყებაში დამდგმელი რეჟისორის სპეციალობის ზემოთ ჩამოთვლილი რანგირების მიხედვით; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევები; იმუშაოს პედაგოგად სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში; სხვადასხვა შესატყვის უწყებაში მონაწილეობა მიიღოს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სამხატვრო და სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის, დაგეგმვის საქმეში; აწარმოოს მოლაპარაკებები და ორგანიზება გაუკეთოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას; იმუშაოს კინო-ტელე, აუდიოხელოვნების (რადიომაუწყებლობა, ხმოვანი რიგის შექმნა, ხმის ჩამწერი სტუდიები, გახმოვანება-დუბლიაჟი და სხვ.) მენეჯმენტისა და ხელოვნების ამ დარგების განვითარების სფეროებში.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	მხატვრული კინოს რეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	კინორეჟისორი ალ. რეხვიაშვილი. 237-06-21, 591-16-27-40 ასოცირებული პროფესორი ი. დემეტრაძე. 222-49-45, 577 -71-02-43 e-mail: irina.demetradze@yahoo.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე და შევების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ტელევიზიის, ხმის) რეჟისურის, სპეციალობით, კინომცოდნეობის, ტელემედიის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმუშაონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.
პროგრამაში ჩართული აკადემიური მოწვეული და	ლ. ოჩიაური – სრული პროფესორი მ. ტულუში – სრული პროფესორი გ. ზუბაშვილი – ასოცირებული პროფესორი ი. დემეტრაძე – ასოცირებული პროფესორი

პერსონალი პერსონალი	<p>ა. ვახტანგოვი – ასოცირებული პროფესორი მ. მაღალაშვილი – ასოცირებული პროფესორი თ. ხატიაშვილი – ასოცირებული პროფესორი ა. რეხვიაშვილი - კინორეჟისორი ზ. ცუცქირიძე - პედაგოგიკის დოქტორი თ. ქამუშაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თ. ვეფხვაძე - ფილოლოგიის დოქტორი რ. მირცხულავა – ფსიქოლოგიის დოქტორი გ. მსხილაძე – ფილოსოფიის დოქტორი ი. შეშელიძე – მასწავლებელი</p>
მაგისტრანტთა რაოდენობა	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	<p>მხატვრული კინოს პრაქტიკული რეჟისურა აუდიო-ვიზუალური სივრცეში ხელოვანის შემოქმედების მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია. მხატვრული კინოს დამდგმელი რეჟისორი უპირველეს ყოვლისა შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანია, მაგრამ მის პროფესიულ სისრულეში, თეორიულ ბაზასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტიკის ხელოვნებას, რაც თავისთავად მხატვრული კინოს პრაქტიკული რეჟისურის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.</p> <p>სწავლების სამსაფეხურიანი სისტემის მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სწორედ ამ დროს და აღნიშნული კურსის სივრცეში ხდება მომავალი პროფესიონალის წრთობა. სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს მხატვრული კინოს დამდგმელი რეჟისორი, რომელიც ფლობს პროფესიას და იმავდროულად იცნობს თანამედროვე კინო პროცესებს, იცის კინოთეორიის ძირითად საფუძვლები და საკუთარი დამოკიდებულება აქვს მათდამი, აზროვნებს კომპლექსურად – კინოში მომუშავე სხვადასხვა პროფესიების ერთობლიობით, შეუძლია ფილმის გადაღების დაგეგმარება ჩანაფიქრიდან ფილმამდე. თანამედროვე ქართული კინოს საკმაოდ კრიზისულ პრაქტიკაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მობილურად მოქმედი პიროვნებისა და მოაზროვნე ხელოვანის ჩამოყალიბება, წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს ყველა ზემოაღნიშნულ პარამეტრს. რაც უმთავრესია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მხატვრული კინოს დამდგმელ რეჟისორს შემოქმედებითი პედაგოგიკის იმ უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, რომელთა მეშვეობით მას შეეძლება განახორციელოს როგორც დარგის პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარება, ასევე მისი სწავლება ბაკალავრიატისა თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.</p>
შედეგები	<p>სტუდენტები თანაბრად გაიღრმავებენ კინონაწარმოების შექმნის პრაქტიკულ უნარჩვევებს და თეორიულ ცოდნას. დოკუმენტური კინოენის სპეციფიკას, დოკუმენტალისტიკას როგორც ტელემედიის ძირითად სფუძველს და ტელეწარმოების სპეციფიკას. მათ უნდა განუვითარდეთ ინტელექტუალური, სოციალური და პრაქტიკული უნარი, რაც გამოიხატება თემის,</p>

	<p>მასალის მოპოვება-ანალიზისა და კრიტიკულ აზროვნებაში, გააზრებასა და ინტერპრეტაციაში; ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეთიკური ნორმებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში; გარემოსთან ადაპტირებაში, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის ჩვევებში. დოკუმენტური კინოს მიერ სოცულტურული პროცესების კვლევის საუკუნოვანი გამოცდილების, თანამედროვე გამოწვევების და აუდიო-ვიდეო წარმოების ახალი ტექნოლოგიების ანალიზის საფუძველზე შეძლებენ ეკრანული გამოსატვის საშუალებების ადაპტირებას საკუთარ შემოქმედებით პროცესთან, ეკრანული ნაწარმოების დრამატურგიული და გამომსახველობითი კონსტრუქციის შექმნისას.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	დოკუმენტური კინოს რეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	ასოცირებული პროფესორი ვაჟა ზუბაშვილი 239-21-24, 577-50-09-07 e-mail: vajazu@mail.ru ; vajazu@rambler.ru ; ასოცირებული პროფესორი ირინე დემეტრაძე 222-49-45, 577 -71-02-43 e-mail: irina.demetradze@yahoo.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ტელევიზიის, ხმის) რეჟისურის, სპეციალობით, კინომცოდნეობის, ტელემედიის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმუშაონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიღრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.
პროგრამაში ჩართული აკადემიური და	ლ. ოჩიაური – სრული პროფესორი მ. ტულუში – სრული პროფესორი

<p>მოწვეული პერსონალი პერსონალი</p>	<p>ვ. ზუბაშვილი - ასოცირებული პროფესორი ი. დემეტრაძე - ასოცირებული პროფესორი მ. მაღალაშვილი - ასოცირებული პროფესორი ე. კიკნაძე - ასოცირებული პროფესორი ა. ვახტანგოვი - ასოცირებული პროფესორი ზ. ცუცქირიძე - პედაგოგიკის დოქტორი თ. ქამუშაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თ. ვეფხვაძე - ფილოლოგიის დოქტორი ი. შეშელიძე - მასწავლებელი გ. ჯავაშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი</p>
<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი</p>	<p>დოკუმენტური კინოს მკვლევარები და მწარმოებლები ერთხმად აღიარებენ რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, და მათ შორის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც, დოკუმენტური კინო გარკვეულ კრიზისს განიცდის. იგივე პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც. ამ კრიზისის უმთავრეს პრობლემად დაფინანსების საკითხს ასახელებენ, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, მთავარი მაინც ის არის რომ, ზოგადად კულტურას, ხელოვნებას და მათ შორის დოკუმენტურ კინოს, პირველ რიგში თვითგამორკვევის და იდენტიფიკაციის პრობლემა უდგას.</p> <p>იგი თითქმის ვეღარ ერკვევა დროის (ეპოქის) დინების აქტუალურ არსში. დოკუმენტურმა კინომ ძირითადად ტელეფორმატებში გადაინაცვლა (მედიური სივრცე თავის მედიურ რეალობას აყალიბებს, ნაკლებად ეხება რეალურ ცხოვრებას და თითქმის არ იძლევა მასზე წარმოდგენას) და ძირითადად ბაზრით, პოლიტკონიუნქტურით და შესაბამისი ფორმატების მორგებით არის დაკავებული. სატელევიზიო ფორმატებმა განდევნა ისეთი ფილმები, რომლებიც ეძიებენ და ანვითარებენ დოკუმენტური კინოს ენას.</p> <p>კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ძველი კულტურული კოდია, რომელსაც ახალი რეალობა ვერ კითხულობს, ახალი კი ჯერ არ ჩამოყალიბებულა და ისეთ სტადიაში ვიმყოფებით, როდესაც რეალობის აღწერისათვის ახალი ენის ძიებაა საჭირო.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც კარგად გაერკვევიან თანამედროვე საზოგადოების განვითარების სოციალურ და კულტურულ პროცესებში, კარგად ექნებათ გააზრებული კინოხელოვნების და დოკუმენტური კინოს საუკუნოვანი გამოცდილება და ამ პროცესების ანალიზის შედეგად, პროფესიულ-მეთოდოლოგიური მიდგომით შეძლებენ უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს.</p> <p>მაგისტრები შეძლებენ თეორიულ კვლევას და მის პრაქტიკულ გამოყენებას კონკრეტულ კინონაწარმოებში; მათ ექნებათ მზაობა განავითარონ თავისი ცოდნა, კარგად გაერკვნენ საზოგადოების</p>

	<p>განვითარების სოციალურ და კულტურულ პროცესებში და ამ პროცესების ანალიზის შედეგად პროფესიული და მეთოდოლოგიური მიდგომით უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს ახალი კულტურული კოდების ადეკვატური ეკრანის ენის ძიებით</p> <p>რაც უმთავრესია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს დოკუმენტური კინოს დამდგმელ რეჟისორს შემოქმედებითი პედაგოგიკის იმ უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, რომელთა მეშვეობით მას შეეძლება განახორციელოს როგორც დარგის პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარება, ასევე მისი სწავლება ბაკალავრიატისა თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.</p>
შედეგები	<p>სტუდენტები თანაბრად გაიდრმავებენ კინონაწარმოების შექმნის პრაქტიკულ უნარჩვევებს და თეორიულ ცოდნას. დოკუმენტური კინოენის სპეციფიკას, დოკუმენტალისტიკას როგორც ტელემედიის ძირითად სფუქველს და ტელეწარმოების სპეციფიკას. მათ უნდა განუვითარდეთ ინტელექტუალური, სოციალური და პრაქტიკული უნარი, რაც გამოიხატება თემის, მასალის მოპოვება-ანალიზისა და კრიტიკულ აზროვნებაში, გააზრებასა და ინტერპრეტაციაში; ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეთიკური ნორმებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში; გარემოსთან ადაპტირებაში, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის ჩვევებში.</p> <p>დოკუმენტური კინოს მიერ სოცკულტურული პროცესების კვლევის საუკუნოვანი გამოცდილების, თანამედროვე გამოწვევების და აუდიო-ვიდეო წარმოების ახალი ტექნოლოგიების ანალიზის საფუძველზე შეძლებენ ეკრანული გამოხატვის საშუალებების ადაპტირებას საკუთარ შემოქმედებით პროცესთან, ეკრანული ნაწარმოების დრამატურგიული და გამომსახველობითი კონსტრუქციის შექმნისას.</p>
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	ანიმაციური კინოს რეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ სიხარულიძე 555 56 62 94 ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან ჯანელიძე 597 94 50 50 e-mail: ketevanjanelidze@gmail.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე და შევების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ტელევიზიის, ხმის) რეჟისურის, სპეციალობით, კინომცოდნეობის, ტელემედიის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმუშაონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.
პროგრამაში ჩართული აკადემიური მოწვეული და	მ. ტულუში – სრული პროფესორი თ. სიხარულიძე – ასოცირებული პროფესორი

<p>პერსონალი პერსონალი</p>	<p>ე. კიკნაძე – ასოცირებული პროფესორი ე. ერისთავი – ასოცირებული პროფესორი ზ. ცუცქირიძე - პედაგოგიკის დოქტორი თ. ქამუშაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თ. ვეფხვაძე – ფილოლოგიის დოქტორი რ. მირცხულავა – ფსიქოლოგიის დოქტორი ქ. ჯანელიძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნ. სამანიშვილი - მასწავლებელი თ. ქოთოლაშვილი - მასწავლებელი ი. შეშელიძე – მასწავლებელი გ. გვარჯალაძე – მასწავლებელი</p>
<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი</p>	<p>ანიმაციური კინოს რეჟისურა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ანიმაციური კინოს დამდგმელი რეჟისორი უპირველეს ყოვლისა შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანია, მაგრამ მის პროფესიულ სისრულეში, თეორიულ ბაზასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული სახეებით აზროვნებას, პოეტიკის ხელოვნებას, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სრულფასოვან ცოდნას, რაც თავისთავად ანიმაციური კინოს პრაქტიკული რეჟისურის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.</p> <p>სწავლების სამსაფეხურიანი სისტემის მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სწორედ ამ დროს და აღნიშნული კურსის სივრცეში ხდება მომავალი პროფესიონალის წრთობა. სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს ანიმაციური კინოს დამდგმელი რეჟისორი, რომელიც ფლობს პროფესიას და იმავდროულად იცნობს თანამედროვე კინო (პრიორიტეტულად, ანიმაციურ) პროცესებს, იცის კინოთეორიის ძირითად საფუძვლები და საკუთარი დამოკიდებულება აქვს მათდამი, აზროვნებს კომპლექსურად – კინოში მომუშავე სხვადასხვა პროფესიების ერთობლიობით, შეუძლია ნებისმიერი ფორმატის ანიმაციური ფილმის გადაღების დაგეგმარება ჩანაფიქრიდან ფილმამდე. თანამედროვე ქართული ანიმაციური კინოს საკმაოდ კრიზისულ პრაქტიკაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მობილურად მოქმედი პიროვნებისა და მოაზროვნე ხელოვანის ჩამოყალიბება, წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს ყველა ზემოაღნიშნულ პარამეტრს.</p> <p>რაც უმთავრესია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს ანიმაციური კინოს დამდგმელ რეჟისორს შემოქმედებითი პედაგოგიკის იმ უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, რომელთა მეშვეობით მას შეეძლება</p>

	<p>განახორციელოს როგორც დარგის პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარება, ასევე მისი სწავლება ბაკალავრიატისა თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.</p>
<p>შედეგები</p>	<p>სტუდენტები თანაბრად გაიღრმავებენ ნებისმიერი ფორმატის ანიმაციური კინონაწარმოების შექმნის პრაქტიკულ უნარჩვევებს და თეორიულ ცოდნას. ანიმაციური კინოენის სპეციფიკას, ანიმაციას როგორც თანამედროვე კინოინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითად სფეროს და ანიმაციური კინოწარმოების სპეციფიკას. მათ უნდა განუვითარდეთ ინტელექტუალური, სოციალური და პრაქტიკული უნარი, რაც გამოიხატება თემის, იდეის, მასალის (ნატი, პლასტელინი, ქვიშა, 2 , 3 ფორმატები და სხვ.) მოპოვება-ანალიზისა და მხატვრულ თუ კრიტიკულ აზროვნებაში, გააზრებასა და ინტერპრეტაციაში; ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული ნორმებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში; გარემოსთან ადაპტირებაში, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის ჩვევებში. ანიმაციური კინოს მიერ სოცკულტურული პროცესების წარმოჩენის არსებული გამოცდილების, თანამედროვე გამოწვევების და აუდიო-ვიდეო წარმოების ახალი ტექნოლოგიების ანალიზის საფუძველზე მაგისტრები შეძლებენ ანიმაციური გამოხატვის საშუალებების ადაპტირებას საკუთარ შემოქმედებით პროცესთან, ეკრანული ნაწარმოების დრამატურგიული და გამომსახველობითი კონსტრუქციის შექმნისას.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	ტელერეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	სრული პროფესორი ალექსანდრე ვახტანგოვი 599 700 885 / 222 15 49 e-mail: yakhtangov@yahoo.com ასოცირებული პროფესორი თინათინ ჭაბუკიანი 599 94 47 00 e-mail: Tinatin-chabuka7@mail.ru
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ტელევიზიის, ხმის) რეჟისურის, სპეციალობით, კინომცოდნეობის, ტელემედიის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმუშაონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიღრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ

<p>პროგრამაში ჩართული აკადემიური მოწვეული პერსონალი პერსონალი</p>	<p>არის.</p> <p>ა. ვახტანგოვი – სრული პროფესორი ლ. ოჩიაური – სრული პროფესორი მ. ტულუში - სრული პროფესორი თ. ჭაბუკიანი - ასოცირებული პროფესორი მ. მადალაშვილი - ასოცირებული პროფესორი ნ. დოლიძე - ასოცირებული პროფესორი ლ. კუტუბიძე – ჟურნალისტიკის დოქტორი ზ. ცუცქირიძე – პედაგოგიკის დოქტორი თ. ქამუშაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თ. ვეფხვაძე - ფილოლოგიის დოქტორი რ. მირცხულავა – ფსიქოლოგიის დოქტორი ი. შეშელიძე – მასწავლებელი ნ. დონდოლაძე – მასწავლებელი</p>
<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი</p>	<p>ტელერეჟისურა ერთ-ერთია აუდიო-ვიზუალური რეჟისურის იმ სპეციალობებს შორის, რომელიც ყოველდღიურად ახალი იდეების, ახალი ფორმების, სიტუაციური ამოცანების ყოველწუთიერ გადაწყვეტას გულისხმობს. ამ პროფესიას თავიდანვე მხატვრული აზროვნებისადმი გამოკვეთილი მიდრეკილებისა და ორიგინალური აზროვნების ადამიანები ეუფლებიან. მომავალი პროფესიული საქმიანობისას მათ მოქალაქეობრივ პოზიციას, ზნეობრივ პრინციპებს, კულტურულ და პოლიტიკურ სტანდარტს ასახავს ტელემაუწყებლობა. მაგისტრანტმა მნიშვნელოვანია გააცნობიეროს, რომ ის მოემსახურება ადამიანის ცნობიერებაზე, საზოგადოებრივ აზროვნებაზე უშუალო ზემოქმედების ერთ-ერთ უძლიერეს ინსტრუმენტს – ტელევიზიას. მასმედიის სწრაფი ტრანსფორმაცია ითხოვს მაღალი რანგის პროფესიონალს, რომელიც აღჭურვილია თეორიის ღრმა ცოდნით, ეძებს ახალ გამომსახველობით ფორმებს, კრიტიკულად აფასებს კანონებად აღიარებულ ცნებებს, არგუმენტირებული ანალიზით ადასტურებს მიგნებულ მოსაზრებებს. ვიდეოპროდუქციის ხარისხი, მისი აქტუალობა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.</p> <p>ტელერეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ დიდი შემოქმედებითი ჯგუფი ემსახურება. ავტორები, რედაქტორები, მხატვრები, ოპერატორები, მუსიკალური გამფორმებლები, მენეჯერები, ვიდეოტექნიკოსები, კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამისტები, გამნათებლები, სადადგმო ნაწილი და ა.შ. თითოეულ მათგანს კოორდინაციას უწევს დამდგმელი რეჟისორი. მათი შეთანხმებული მუშაობისთვის ტელევიზიის დამდგმელმა რეჟისორმა უნდა იცოდეს, თუ რა შემოქმედებით თუ ტექნიკურ რესურს ფლობს ესა თუ ის დამხმარე სპეციალობა ტელევიზიაში. მან ზუსტად უნდა განსაზღვროს, რა უნდა, რა იდეას, რა გამომსახველობითი ფორმით მიაწოდებს მაყურებელს, და როგორ უნდა განახორციელოს შემოქმედებითი ჩანაფიქრი.</p> <p>უმაღლესი განათლების სისტემის მეორე საფეხური სპეციალობის გადრმავებულ სწავლებას გულისხმობს. სრულფასოვანი პროფესიული საქმიანობისთვის მაგისტრანტებს</p>

პარარელურად ეკითხებათ დამხმარე საგნები ოპერატორის ხელოვნება, ინფორმატიკა, ტელეჟურნალისტიკა, გადაცემის მხარგრული და მუსიკალური გაფორმება...

სამაგისტრო პროგრამა „ტელერეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ მიზნად ისახავს თანამედროვე ტენდენციების შესწავლას ელექტრონულ მედიაში, ტელერეჟისურის პროფილით. მომავალმა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრებმა თავი უნდა მოსინჯონ თეორიულ კვლევებში. აქტუალური თემის შერჩევა, ძიების სწორად წარმართვა, პროფესიული ანალიზი, უეჭველად ბადებს მიგნებებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს, როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე გახდეს სადოქტორო კვლევის სგანი. აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა ვიდეო წარმოების ნებისმიერ დარგში.

ამასთანავე, პროგრამის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მის ფარგლებში მოდულის სახით წარმოდგენილია ე.წ. "საავტორო ტელევიზიის" ასპექტი. რამდენადაც თანამედროვე ტელესივრცემ წაშალა ზღვარი ავტორსა, სცენარისტსა და რეჟისორს შორის; გარკვეულ სიტუაციებში ტელევიზია შემოქმედებითი მუშაკისაგან მომიჯნავე სპეციალობების ცოდნასაც ითხოვს; ამ პრობლემის აქტუალობა განაპირობებს, რომ ავტორი ფლობდეს სატელევიზიო გადაცემის/პროექტის მომზადებისათვის საჭირო და აუცილებელი ყველა სპეციალობის სპეციფიკასა და მოთხოვნებს, საფუძვლიანად იცოდეს შესაბამისი თეორია და ჰქონდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

თანამედროვე ტელევიზია მასობრივი კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილი და მძლავრი პოლიტექნოლოგიური იარაღია. შესაბამისად, მისი შესწავლა და ამ სივრცეში ლავირება შეუძლებელია მასკომუნიკაციისა და სტრატეგიული კომუნიკაციების არსისა და საფუძვლების შესწავლისა და გააზრების გარეშე. მეორეს მხრივ, ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების სწრაფი და ცვალებადი განვითარება მოითხოვს ახალი ყაიდის თანამედროვე ტელესპეციალისტებს. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მედიაპროდუქცია ბიზნესპროდუქტად იქცა; ხოლო ტელეჟურნალისტიკა და ტელერეჟისურა ინფორმაციულ ეპოქაში – ინტერდისციპლინურ სპეციალობად; ამდენად, საავტორო ტელეპროექტის შექმნისა და რეალიზებისთვის აუცილებელია ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება და შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული წანამდგვრები.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში არსებული პოტენციული და შემოქმედებითი გამოცდილება საშუალებას იძლევა, ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდნენ კვალიფიციური კადრები ე.წ. "საავტორო ტელევიზიის" მიმართულებითაც, რაზეც მწვავე მოთხოვნაა თანამედროვე ქართულ ტელესივრცეში.

სამაგისტრო პროგრამის ამ მიმართულების ფარგლებში შესაძლებელია არა მხოლოდ ცალკეული სპეციალისტების, არამედ, ერთიანი გუნდის მომზადება, რომელიც სათანადო

	<p>თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და გუნდური მუშაობის პრინციპით აღჭურვილი, შეძლებს ნებისმიერი ფორმატის ტელეპროექტის შექმნასა და განხორციელებას.</p> <p>მაგისტრანტს, სურვილის შემთხვევაში, საშუალება აქვს არჩევანი გააკეთოს “საავტორო ტელევიზიის” მოდულზე და მიიღოს შესბამისი ცოდნა ამ მიმართულებით.</p> <p>რაც უმთავრესია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს ტელევიზიის დამდგმელ რეჟისორს შემოქმედებითი პედაგოგიკის იმ უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, რომელთა მეშვეობით მას შეეძლება განახორციელოს როგორც დარგის პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარება, ასევე მისი სწავლება ბაკალავრიატისა თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.</p>
შედეგები	<p>მაგისტრი განიხილავს სატელევიზიო სივრცეში ნებისმიერ შემოქმედებით პროდუქციას - კინო, ვიდეო ან ტელე ნაწარმოებს, როგორც კომპოზიციურ მთლიანობს. აკეთებს მის სტრუქტურულ ანალიზს. შეუძლია ამოიცნოს, რა ხერხებს იყენებს დამდგმელი ტელერეჟისორი ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად; მას შეუძლია დამდგმელი ტელერეჟისორის პროფესიის ძირითადი ასპექტების, ხერხების, მეთოდების თეორიული ანალიზი; პროფესიულ დონეზე იცის სპეციფიური სამუშაო ტერმინოლოგია. შეუძლია სასცენარო გეგმისა და სცენარის შექმნა. აქვს ტექსტის ინტერპრეტაციისა და გამოსახულებაში ადაპტაციის უნარი. ღრმად და საფუძვლიანად იცის მონტაჟის ენა და მუსიკის, მხატვრობისა და ხმის სინთეზირების პრინციპები; შეუძლია მსახიობთან, მხატვართან, კომპოზიტორთან, ოპერატორთან, თუ სხვა მხატვრული კომპონენტების ავტორებთან შემოქმედებითი მუშაობა და ამ მუშაობის ანალიზი; იცის ტელეპროდუქციის შექმნის საწარმო-ტექნოლოგიური მხარე, მისი პრაქტიკულ-თეორიული ასპექტები. შეუძლია საკუთარი პროექტის ძირითადი არსის, განხორციელების გზებისა და მეთოდების წინასწარი ანალიზი; შეუძლია საკუთარი თუ სხვისი ნაწარმოების ანალიზი და მეთოდოლოგიის, კონცეფციის, სტილისტიკის განსაზღვრა, დამოუკიდებელი ხედვის გამოვლენა. შეუძლია შექმნილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და საკუთარ პოტენციალზე დამყარებული და ინდივიდუალური ხედვისა და მიდგომის ფორმირება; აქვს კონკრეტულ ამოცანასთან შექმნილი პროფესიული კომპეტენციის ადაპტაციის უნარ-ჩვევები; შეუძლია როგორც პრაქტიკულ-შემოქმედებითი, ასევე თეორიული სამუშაო პროცესის გააზრებული დაგეგმვა და შედეგების პროგნოზირება; აქვს ანალიტიკური კვლევისათვის აუცილებელი ჩვევები და შეუძლია მათი განვითარება სწავლების შემდგომ აკადემიურ (სადოქტორო) საფეხურზე.</p>
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	ხმის რეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	ასოცირებული პროფესორი მერაბ ურუშაძე 222 57 15 / 5 99 74 75 15. e-mail:urushadzemerabi@yahoo.com ასოცირებული პროფესორი ელისო ერისთავი 595 72 00 25 e-mail: eliso_eristavi@yahoo.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ტელევიზიის, ხმის) რეჟისურის, სპეციალობით, კინომცოდნეობის, ტელემედიის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმუშაონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიღრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.
პროგრამაში ჩართული	ლ. ოჩიაური – სრული პროფესორი მ. ტულუში - სრული პროფესორი

<p>აკადემიური მოწვეული პერსონალი პერსონალი</p>	<p>და ლ. კიტია – ასოცირებული პროფესორი მ. მაღალაშვილი - ასოცირებული პროფესორი ა. ვახტანგოვი - ასოცირებული პროფესორი ე. ერისთავი – ასოცირებული პროფესორი ზ. ცუცქერიძე - პედაგოგიკის დოქტორი თ. ქამუშაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თ. ვეფხვაძე - ფილოლოგიის დოქტორი ი. შეშელიძე – მასწავლებელი გ. გვარჯალაძე – მასწავლებელი თ. ქოთოლაშვილი - მასწავლებელი</p>
<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი</p>	<p>ხმის რეჟისურა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რამდენადაც ხმის დამდგმელი რეჟისორის მუშაობა აუცილებელია აუდიო-ვიზუალური რეჟისურის ყველა ასპექტით – მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ კინოში, ტელევიზორცესა თუ რადიომაუწყებლობაში. ხმის დამდგმელი რეჟისორი უპირველეს ყოვლისა შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანია, მაგრამ მის პროფესიულ სისრულეში, თეორიულ ბაზასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული სახეებით აზროვნებას, პოეტიკის ხელოვნებას, მუსიკის თეორიის ცოდნას, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სრულფასოვან ცოდნას, რაც თავისთავად ხმის პრაქტიკული რეჟისურის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.</p> <p>სწავლების სამსაფეხურიანი სისტემის მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სწორედ ამ დროს და აღნიშნული კურსის სივრცეში ხდება მომავალი პროფესიონალის წრთობა. სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს თანამედროვე, მაღალპროფესიონალი ხმის დამდგმელი რეჟისორი, რომელიც ფლობს პროფესიას და იმავდროულად იცნობს თანამედროვე კინო, ტელე თუ აუდიოხელოვნების პროცესებს, იცის გახმოვანების, დუბლიაჟის, ხმოვანი რიგის შექმნის ძირითად საფუძვლები და საკუთარი დამოკიდებულება აქვს მათდამი, აზროვნებს კომპლექსურად – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სივრცეში მომუშავე სხვადასხვა პროფესიების ერთობლიობით, შეუძლია ნებისმიერი ფორმატის აუდიო-ვიზუალური პროდუქტის გახმოვანება, ხმოვანი რიგისა და ხმოვანი სტრუქტურების შექმნა-დაგვემარება ჩანაფიქრიდან საბოლოო შედეგამდე. თანამედროვე აუდიო-ვიზუალური რეჟისურის პრაქტიკაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მობილურად მოქმედი პიროვნებისა და მოაზროვნე ხელოვანის – თანამედროვე ხმის დამდგმელი რეჟისორის ჩამოყალიბება, წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს ყველა ზემოაღნიშნულ პარამეტრს.</p> <p>რაც უმთავრესია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს ხმის დამდგმელ რეჟისორს შემოქმედებითი პედაგოგიკის იმ უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, რომელთა მეშვეობით მას შეეძლება განახორციელოს როგორც დარგის პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარება, ასევე მისი სწავლება</p>

	<p>ბაკალავრიატისა თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.</p>
<p>შედეგები</p>	<p>სტუდენტები თანაბრად გაიდრმაგებენ ნებისმიერი ფორმატის აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების ხმოვანი რიგის შექმნის პრაქტიკულ უნარჩვევებს და თეორიულ ცოდნას. ხმოვან-ხედვითი სტრუქტურების ურთიერთმიმართების სპეციფიკას, გახმოვანებასა და დუბლიაჟს, როგორც თანამედროვე კინო-ტელე ინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითად სფეროს და ხმოვანი სტრუქტურების წარმოების სპეციფიკას. მათ უნდა განუვითარდეთ ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, მოცემული ამოცანის გააზრებისა და ინტერპრეტაციის ჩვევები; ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული ნორმებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება; გარემოსთან ადაპტირების, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის ჩვევები და სხვ.</p> <p>აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში ხმის რეჟისურის განვითარების არსებული გამოცდილების, თანამედროვე გამოწვევების და აუდიო-ვიზუალური წარმოების ახალი ტექნოლოგიების ანალიზის საფუძველზე მაგისტრები შეძლებენ ხმოვანი სტრუქტურების შექმნისა და გამოხატვის საშუალებების ადაპტირებას საკუთარ შემოქმედებით პროცესთან, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების ხმოვანი რიგისა და ხმოვანი კონსტრუქციის შექმნისას:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუსიკალურ კომპოზიციაზე ხედვითი რიგის წარმოება; • მუსიკალურ მიქსზე ხედვითი რიგის წარმოება; • მუსიკალური კომპოზიციის საფუძველზე ვიზუალური კომპოზიციების ცვალებადობა; • ხედვითი რიგის მუსიკალური ორგანიზაცია; • ხმოვან-ხედვითი მიქსის შექმნა; • მონოლოგზე ვიზუალური რიგის წარმოება; • ვიზუალური რიგის მუსიკალურ-ვერბალური შეკავშირება; • რიტმული დიალოგის ვიზუალური მოწოდება; • დიალოგისა და ვიზუალური რიგის პარალელური რიტმიზაცია; • ხმაურების, ხმების, მუსიკის, დუბლიაჟისა (დიალოგები) თუ ავტორის ტექსტის ხმოვანი სტრუქტურების სინქრონული გადაწყვეტა.
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	კინო-ტელე ოპერატორი (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა (კონცენტრაცია)
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	კინოოპერატორი გიორგი ბერიძე 595 75 70 06 e-mail: camgioge@yahoo.com ასოცირებული პროფესორი თეო ხატიაშვილი 599 55 28 92 e-mail – teovangogh@hotmail.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ტელევიზიის, ხმის) რეჟისურის, კინო-ტელე ოპერატორის სპეციალობით, კინომცოდნეობის, ტელემედიის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმუშაონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის – კინო-ტელე ოპერატორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის მხატვრულ-ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.
პროგრამაში	ლ. ოჩიაური -სრული პროფესორი

<p>ჩართული აკადემიური მოწვეული პერსონალი პერსონალი</p>	<p>და</p> <p>მ. ტულუში - სრული პროფესორი</p> <p>ა. ვახტანგოვი – ასოცირებული პროფესორი</p> <p>თ. ხატიაშვილი – ასოცირებული პროფესორი</p> <p>ე. კიკნაძე - ასოცირებული პროფესორი</p> <p>ე. ერისთავი – ასოცირებული პროფესორი</p> <p>გ. ბერიძე - ოპერატორი</p> <p>ზ. ცუცქირიძე - პედაგოგიკის დოქტორი</p> <p>თ. ქამუშაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი</p> <p>თ. ვეფხვაძე - ფილოლოგიის დოქტორი</p> <p>რ. მირცხულავა – ფსიქოლოგიის დოქტორი</p> <p>ი. შეშელიძე - მასწავლებელი</p>
<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი</p>	<p>„კინო-ტელე ოპერატორის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ - სამაგისტრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „კინო-ტელე ოპერატორის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი კინო-ტელე ოპერატორი, რომელიც (შესაბამისი სპეციალობით) უზრუნველყოფს კინო-ტელე პროექტის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სტელევიზიო და სხვ. ფილმი, სატელევიზიო შოუ, სერიალი, ნებისმიერი ფორმატის აუდიო-ვიზუალური პროექტი და სხვ.) გადაღებას და მის შემდგომ რეალიზაციას – შემოქმედებითი იდეიდან – დამთავრებული კინემატოგრაფიული ქსელით ან სატელევიზიო ეთერით, რაც შეადგენს სრულ შემოქმედებით - საწარმოო ციკლს: პრეპროდუცტიონ, პროცდუცტიონ, პოსტპროდუცტიონ.</p> <p>მაგისტრანტი პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.</p> <p>კინო-ტელე ოპერატორის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა გამიზნულია კინოსა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური) თუ ტელევიზიის მაღალი პროფესიონალი დამდგმელი ოპერატორის – ქართულ სინამდვილეში, ფაქტობრივად, ახალი სტატუსის მქონე</p>

შემოქმედის ჩამოსაყალიბებლად, რაზეც, დღევანდელი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მსოფლიო კინო-ტელე სამყაროში დიდი მოთხოვნილებაა.

სამაგისტრო პროგრამა მთლიანად ორიენტირებულია საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებულ შრომის ბაზარზე. იგულისხმება კინემატოგრაფიულ თუ სატელევიზიო სივრცეში არსებული შესაძლებლობები (ინდივიდუალური აუდიო-ვიზუალური ინდუსტრია, კორპორატიული აუდიო-ვიზუალური ინდუსტრია). დღესდღეობით, შრომის ბაზარზე მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ საოპერატორო კადრებზე სტაბილურად მაღალია, თუმცა, როგორც კინო, ასევე სატელევიზიო თუ ვიდეო სივრცეში ამ პროფესიაზე მოთხოვნილება წინ უსწრებს შესაბამის აუდიო-ვიზუალურ სეგმენტში არსებულ რესურსს.

ბაკალავრიატის – სწავლების თანამედროვე სისტემის პირველ საფეხურზე მიღებული საბაზო განათლების შემდეგ, მეორე – მაგისტრატურის – ეტაპი გულისხმობს მიღებული ცოდნის გაღრმავება-განვითარებასა და ინტერესთა კონკრეტიკას, ზუსტი და სწორი მიმართულებების განსაზღვრას აუდიო-ვიზუალური წარმოების პროცესში და ამ პროცესის შედეგად მიღებული პროექტის (ნებისმიერი ჟანრისა და ფორმატის ფილმი, სერიალი, ტელეპროექტი და სხვ.) დისტრიბუციასა და რეალიზაციაში – შესაბამისი ფინანსური ეფექტურობითა და უკუგებით (რისი გამყარება და სრულყოფა სწორედ მაგისტრატურის დონეზე ხდება).

როგორც კინო, ასევე ტელევიზია უდიდეს როლს თამაშობს განათლების, საზოგადოების მოქალაქეობრივი აღზრდისა და გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში. კინო-ტელე წარმოებას თავისი სიტყვა ქვეყნის ეკონომიკაშიც ეთქმის, და ეს ინდუსტრია სულ უფრო მძლავრი და მომგებიანი გახდება, როგორც ეს მრავალ სხვა ქვეყანაში ხდება.

კინო-ტელე ოპერატორი კინო-ტელე წარმოების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა.

მოცემული სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს დამდგმელი კინო-ტელე ოპერატორის, როგორც პრაქტიკოსის, ასევე თეორეტიკოსისა და ორგანიზატორის აღზრდას. პროგრამის დამთავრებისას მაგისტრანტი მიიღებს უახლეს თეორიულ კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, ამ დარგის დაუფლებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კინო-ტელე ოპერატორი კარგად უნდა იყოს გაათვითცნობიერებული აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ისტორიაში, ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიაში და, რა თქმა უნდა, თავის სპეციალობაში, რაც ხელოვნების თეორიის ცოდნისა და პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარების უნიკალურ ნაზავს წარმოადგენს.

ფოტოგრაფია, განათება, კომპოზიცია, ფერი, კამერის მოძრაობა და მონტაჟი, არასრული სიაა იმ საკითხებისა, რაც დამდგმელი კინო-ტელე ოპერატორის ხელოვნების ძირითდ ბაზას წარმოადგენს. კინო და ციფრული გადაღების ტექნიკა, ოპტიკა, გასანათებელი ხელსაწყოები... კი კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობის, ხელობის შემადგენელი ნაწილებია. თანამედროვე

კინო-ტელე წარმოება, ორგანიზების უნარი, ის ასპექტებია, რის გარეშეც წარმოდგენელია 21 საუკუნის კინო-ტელე ოპერატორი. დამდგმელი ოპერატორ-ანალიტიკოსისთვის ცნობილია ფილმის წარმოების ყოველი ეტაპი. ფილმის ორგანიზაციული მხარე - ჯგუფის ორგანიზება: სცენარისტი (სადიქტორო ტექსტი), მხატვარი, კომპოზიტორი, ხმის ოპერატორი, პროდიუსერი, ლოკალური განათების საშუალებები და სხვ. ოპტიკის ეფექტური გამოყენება, ფილმის მონტაჟური სტრუქტურა, წყობა ჯერ კიდევ გადაღების პროცესში და ა. შ.

მაგისტრანტს შეეძლება გაუთვალისწინებელ და სპეციალიზებულ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაჭრა დამოუკიდებლად, მიღებული ცოდნის გარემოსთან ადაპტირება, ახალი უნარების, გამოცდილების გამოყენება ახალ სიტუაციებში. გადაღებების დამოუკიდებლად დაგეგმვა და მათი მაღალ პროფესიულ დონეზე დამოუკიდებლად განხორციელება. მაგისტრანტი შეძლებს თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ის ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი.

ყველაფერი ეს, დაფუძნებული იქნება იმ დიდი გამოცდილების ცოდნასა და გაცნობიერებაზე, რაც კაცობრიობამ დააგროვა ზოგადად კულტურისა და ბოლო 100 წლის მანძილზე კინემატოგრაფის სფეროში.

კინო-ტელე ოპერატორის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ტენდენციების შესწავლას კინემატოგრაფია (მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ), ტელევიზიისა თუ ვიდეოწარმოებაში - დამდგმელი ოპერატორისა და მენეჯერის პროფილით. მომავალმა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრებმა თავი უნდა მოსინჯონ თეორიულ ანალიზსა და კვლევებში. შეძლონ აქტუალური თემისა და კონცეფციის შერჩევა, ძიების სწორად წარმართვა, პროფესიული ანალიზი, კინო - ტელე სოციოლოგიური ანალიტიკის გააზრება და მისი შედეგების პრაქტიკული ხორცშესხმა. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დაუფლებისას მაგისტრანტის მიერ შემოთავაზებული პროფესიული მიგნებები შეიძლება განხორციელდეს როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე გახდეს სადოქტორო კვლევის საგანი. პროგრამა მით უფრო აქტუალურია, რადგან დღესდღეობით შესაბამის ბაზარზე შეიმჩნევა აუდიო-ვიზუალური სფეროში დამდგმელი ოპერატორების მხრივ თეორიისადმი ზერელე დამოკიდებულება. პრაქტიკოსი კინო-ტელე დამდგმელი ოპერატორის წარმატებული საქმიანობა შეუძლებელია ახალი საწარმოო-კრეატიული ფორმების ძიების გარეშე. კინო-ტელე წარმოების სწრაფი ტრანსფორმაცია ითხოვს მაღალი რანგის პროფესიონალს, რომელიც აღჭურვილია თეორიის ღრმა ცოდნით, თან აგრძელებს დისციპლინის ახალი მოცემულობების კვლევას. პროგრამის შედეგიც სწორედ ეს არის - მაგისტრი, რომელიც მუდმივად ეძებს ახალს, კრიტიკულად აფასებს კანონებად აღიარებულ ცნებებს, აქვს კვლევის სწორი ორგანიზაციის ჩვევები, არგუმენტირებული ანალიზით ადასტურებს მიგნებულ

	<p>თეორიას. ამასთან, <i>სახელოვნებო უმაღლესი განათლებისთვის მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ სამაგისტრო საფეხური უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შემოქმედებითი პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნით. შესაბამისად, მაგისტრატურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ეძლევა მაგისტრს შესაბამის დარგში სწავლების უფლება.</i></p> <p>ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამა ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად, ახდენს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მის პრაქტიკაში გამოცდას.</p> <p>კინო-ტელე ოპერატორის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების (იხ. ქვემოთ) მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის (სამაგისტრო) აღმწერის სათანადო დონით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მორიგი ლექცია, წინამორბედისა და მის ფარგლებში მიღებული შედეგის საფუძველზე აიგება. სწავლების ინტეგრირებული ფორმა, ცოდნისა და გამოცდილების არეალის გაფართოებას შეუწყობს ხელს.</p> <p>სწავლების ძირითადი ნორმების გარდა, რომელიც თეორიული და პრაქტიკული კურსების მონაცვლეობასა და ერთიანობაზეა აგებული, გათვალისწინებულია მასტერკლასები, რომლებსაც ჯგუფის ოსტატის გეგმისა და გადაწყვეტილების საფუძველზე, კინოს, ტელევიზიისა თუ სახელოვნებო სხვადასხვა დარგის მაღალი კლასის პროფესიონალები ჩაატარებენ; განსაზღვრულია პრაქტიკები გადასაღებ მოედნებსა და ლაბორატორიებში, კინო-ტელე და ვიდეო წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მაგისტრანტს ჩაუტარდება თეორიული კურსი სპეციალური კინოგადაღების ნაირსახეობისა. რომელიც მოითხოვს განსხვავებულ, სპეციალურ აპარატურას და გამოიყენება მეცნიერებაში, სამხედრო ინდუსტრიაში (მაგ. ცაიტრაფერი, დროის ლუპა, მიკრო და მაკროგადაღებები, ინფრასხივებში და ა. შ.) რომელიც შეიძლება გამოიყენოს სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო ფილმების და სხვა გადაღების პროცესში.</p>
შედეგები	<p>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი • დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება • მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი • მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

(ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი

- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი
- ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- ოპერატორის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- ფილმის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სატელევიზიო...) და ნებისმიერი ფორმატის აუდიო-ვიზუალური პროდუქციისა თუ პროექტის გადისღების უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- დრამატურგიული პირველწყაროს კინემატოგრაფიული ანალიზი
- ჟანრული მრავალგავარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია

- აუდიო - ვიზუალური კომპოზიციის აგების უნარი
- შემოქმედებით ჯგუფთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- ნებისმიერი ფორმატის კინო-ტელე პროექტის განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მოზიების უნარი, ანუ "ფანდრაიზინგი"
- აუდიო-ვიზუალური პროდუქციის ხმოვან-ხედვითი სტრუქტურის აგების უნარი
- კადრირება, განათება, გადაღება, მიზანსცენების აგება, კომპოზიციის, მხატვრული სახეების შექმნა
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამოიმუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი
- კვლევის (სოციოლოგიური გამოკითხვები) შედეგების გააზრებისა და სათანადო ინტერპრეტაციის უნარი
- აუდიო-ვიზუალური პროდუქტის შემოქმედებითი, ტექნიკური და ორგანიზაციული პროცესების ხელმძღვანელობა.
- კინო-ტელე ფილმის/პროექტის ვიზუალური სახის ჩამოყალიბება და შექმნა, დრამატურგიის, ჟანრის და არჩეული ესთეტიკის გათვალისწინებით.
- გადამღები ჯგუფის ჩამოყალიბება, ამოცანის დასმა და მათი მუშაობის ხელმძღვანელობა.
- მუშაობა ფილმის ბიუჯეტზე.
- გადასაღები ობიექტების შერჩევა და მომზადება.
- კინოსცენარის კადრირებაში მონაწილეობის მიღება რეჟისორთან და მხატვართან ერთად.
- სპეციალური გადაღებების წარმოება, როცა ეს საჭიროა ფილმისთვის.
- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული ან წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი, მოსაზრებების ჩამოყალიბება და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება. შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი დარგის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით.
- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია.
- აქვს ექსტრემალურ სიტუაციაში კამერით შეიარაღებული ორიენტირების ჩვევები.
- შეუძლია აწარმოოს პედაგოგიური მუშაობა. წარმართოს სასწავლო პროცესი მომავალ კინოოპერატორებთან და რეჟისორებთან.
- დამდგმელ ოპერატორს შეუძლია ნებისმიერი ფილმის

შემოქმედებითი და ორგანიზაციული პროცესების ხელმძღვანელობა.

- შეუძლია ნებისმიერი ფორმატის ფილმის სტრუქტურის ჩამოყალიბება, ფილმის ჟანრის გათვალისწინებით. ჩანაფიქრიდან, იდეიდან ფილმის სცენარის შექმნა დამოუკიდებლად, ანდა სცენარისტთან თანამშრომლობით.
- გადამღები ჯგუფის მოწვევა-შექმნა, თემის ინტერპრეტაცია, გარკვეული კინემატოგრაფიული ამოცანების დავალება ჯგუფის წევრების მიმართ.
- ფილმის ბიუჯეტის შედგენა და ანალიზი. ობიექტების განსაზღვრა: ნატურა, ინტერიერი, პავილიონი და ა. შ.
- ნებისმიერი ჟანრის ფილმის გადაღების ხერხების განსაზღვრა, მეთოდების თეორიული ანალიზი. საოპერატორო ოსტატობის, კერძოდ, გადაღების წერტილების (კ/ოპერატორის რაოდენობა) განსაზღვრა. კინოტექნიკის, მათ შორის განათების და კინოოპტიკის ეფექტური გამოყენება.
- კინოსცენარის კადრირება (თუ ფილმის უნარი ამის შესაძლებლობას იძლევა) მხატვართან ერთად.
- მუშაობა მსახიობთან და არამსახიობთან (ტიპაჟთან).
- თანამშრომლობა კომპოზიტორთან, ხმის ოპერატორთან, გამნათებლებთან.
- მარტივი კომბინირებული გადაღების ჩატარება.
- ფილმის მონტაჟი, მათ შორის კომპიუტერული მონტაჟი.
- მაგისტრანტი შეძლებს აწარმოოს პედაგოგიური მუშაობა, სასწავლო პროცესის წარმართვა, მომავალ რეჟისორებთან და კ/ოპერატორებთან პრაქტიკული მუშაობა.
- შეუძლია მუშაობა ფილმოტეკაში.
- შეუძლია შემოქმედებითი პროცესის გააზრებული დაგეგმვა და შედეგების პროგნოზირება.
- **დარჯის ცოდნა და გაცნობიერება**
-
- მაგისტრი აღჭურვილია მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სატელევიზიო პროექტების დამდგმელი ოპერატორის პროფესიისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნით, რასაც იგი იყენებს, პირველ რიგში, კინო - ტელე სივრცეში თუ ზოგადად კულტურაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისთვის და მათ გასაანალიზებლად; მას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს კინო-ტელე პროდუქციის გადაღებისათვის აუცილებელი ანალიზი თუ კვლევები; სრულყოფილად იცის კინო-ტელე თუ ვიდეო გადაღების თეორიული თუ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საფუძვლები, ისტორია, მიმდინარეობები და შესაძლებლობა აქვს, სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა;

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

თეორიული საფუძველი და ოსტატთან ოპერატორის ოსტატობაში

მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად იმუშაოს დამდგმელ კინო-ტელე ოპერატორად, აუდიო-ვიზუალური პროდუქციის მენეჯერად; როგორც დამდგმელმა ოპერატორმა, იცის, რა პრინციპებით წარუძღვეს, ფილმის გადაღებისა და წარმოების პროცესებს მის საწყის თუ ძირითად ეტაპებზე და როგორ მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი მონაცემების რეალიზება;

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

თეორიული ცოდნა, პრაქტიკულ – შემოქმედებითი გამოცდილება და სწავლის პროცესში აუდიო-ვიზუალურ პროდუქციაზე მუშაობის დროს შექმნილი უნარები მაგისტრანტს საფუძველს უქმნის ადვილად და წარმატებით მოახერხოს გადაღებების პროცესის წარმართვა და ორგანიზება; მან იცის გადამღებ ჯგუფთან, მსახიობებთან ურთიერთობა; პროექტის შედგენა და მის განხორციელებაში ინვესტორის იოლად დარწმუნება; იცის ფილმის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარე; გადაღება, განათება, მონტაჟი და სხვა, ანალოგიური პრინციპები;

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს არამხოლოდ შემოქმედებით ჯგუფებთან თუ კინოწარმოების პროცესთან დაკავშირებულ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარები, არამედ, გამოიმუშავებული აქვს პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და, ზოგადად, სტუდენტებისთვის ან სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფისთვის) გაზიარების შესაძლებლობები. მაგისტრს აქვს ცოდნა და გამოცდილება არა მხოლოდ დამდგმელი ოპერატორის სპეციალობაში, არამედ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების თეორიასა და ისტორიაში, მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებში. იცის და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

სწავლის უნარი

მაგისტრს აქვს უნარი თავად დაეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესი;

ღირებულებები

აქვს არსებულ მძფრ კონკურენტულ გარემოში პარტნიორებისა და კონკურენტების დაპატენტებული იდეისა და შემოქმედებითი აუდიო-ვიზუალური პროექტის პროფესიული პატივისცემა. შეუძლია აღნიშნული შემოქმედებითი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების პროფესიული შეფასება და ახალი შემოქმედებითი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

დასაქმების სფეროები	სწავლის დასრულების შემდეგ, კინო-ტელე ოპერატორის
---------------------	---

	<p>(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისა და კინო - ტელე და სხვ. წარმოების ნებისმიერ დარგში. მათ შორის: მხატვრული კინოს დამდგმელი ოპერატორის, დოკუმენტური კინოს დამდგმელი ოპერატორის, ტელევიზიის (სატელევიზიო წარმოების) დამდგმელი ოპერატორის, ანიმაციური კინოს დამდგმელი ოპერატორის, კინო-ტელე მენეჯერისა და შესაბამისი სპეციალობების სწავლების (შემოქმედებითი პედაგოგიკის) მიმართულებით ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე, პროფესიულ პროგრამებში თუ სახელოვნებო პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე.</p> <p>ამასთან, მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასა თუ უწყებაში დამდგმელი ოპერატორის სპეციალობის ზემოთ ჩამოთვლილი რანგირების მიხედვით; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევები; იმუშაოს პედაგოგად სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში; სხვადასხვა შესატყვის უწყებაში მონაწილეობა მიიღოს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სამხატვრო და სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის, დაგეგმვის საქმეში; აწარმოოს მოლაპარაკებები და ორგანიზება გაუკეთოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას; იმუშაოს კინო-ტელე, ვიდეოხელოვნების მენეჯმენტისა და ხელოვნების ამ დარგების განვითარების სფეროებში.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	კინო-ტელე დრამატურგია (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა (კონცენტრაცია)
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	მწერალი, დრამატურგი კოტე ჯანდიერი 223 10 24 599 46 95 15 e-mail:jandierik@yahoo.com სრული პროფესორი ზვიად დოლიძე 555 30 70 40 e-mail:dolz@internet.ge
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე და შეების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – აუდიო-ვიზუალური (კინო, ტელე) რეჟისურის სპეციალობით, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების სპეციალობებით, მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით და სხვ. დაზუსტებით: კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაღალი აკადემიური მაჩვენებელი, შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება, ინტელექტი. სასურველია ჰუმანიტარული განათლება, ასევე, სამსაფეხურიანი აკადემიური სწავლების პირველი ეტაპისათვის აუცილებელი პროგრამის კურსით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა, რაც გაუადვილებს მაგისტრანტს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ პროფესიულ დონეზე წერისა და მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნების უნარებს. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ დრამატურგის პროფესიისათვის აუცილებელ შემოქმედებით ნიჭსა და თვისებებს, ამბის - სინოფსისის ანალიტიკური ხედვისა და საინტერესოდ თხრობის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სასურველია, თუმცა, სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს

	<p>ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.</p>
<p>პროგრამაში ჩართული აკადემიური მოწვეული პერსონალი პერსონალი</p>	<p>ზ. დოლიძე – სრული პროფესორი ლ. ოჩიაური - სრული პროფესორი მ. ტულუში - სრული პროფესორი კ. ჯანდიერი -დრამატურგი ზ. ცუცქირიძე - პედაგოგიკის დოქტორი თ. ქამუშაძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თ. ვეფხვაძე - ფილოლოგიის დოქტორი რ. მირცხულავა – ფსიქოლოგიის დოქტორი მ. ტურიაშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქ. ელაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი გ. მსხილაძე – ფილოსოფიის დოქტორი ლ. ცერცვაძე - ფილოსოფიის დოქტორი ი. შეშელიძე - მასწავლებელი</p>
<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი</p>	<p>კინო-ტელე დრამატურგიის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „კინო-ტელე დრამატურგიის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კინო-ტელე დრამატურგი, რომელიც უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური შემოქმედებითი პროდუქციის (ნებისმიერი ფორმატის ფილმი, სერიალი და ა.შ.) ძირითადი საფუძვლის – შინაარსის - შექმნას და მის შემდგომ რეალიზაციას – შემოქმედებითი იდეიდან – დამთავრებული სანახაობრივ-კონცეპტუალური წარმოდგენით, რაც შეადგენს სრულ შემოქმედებით - საწარმოო ციკლს: იდეა, ამბავი, სინოფისის, სცენარი და ა.შ.</p> <p>მაგისტრანტი პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით</p>

ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

სამაგისტრო პროგრამა “**კინო-ტელე დრამატურგია (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)**“ საშუალებას მისცემს მაგისტრანტს შეიძინოს საფუძვლიანი ცოდნა კინო-ტელე დრამატურგიის ძირითადი პრინციპების, ამბის დრამატული თხრობის ხერხების, სცენარის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ამბის განვითარებისა და პერსონაჟთა ხასიათების შესახებ. თეორიული, ინტელექტუალური, პრაქტიკული და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით გამოუმუშავებს მაგისტრანტს თანამედროვე აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების ლიტერატურული საფუძვლის შექმნის და სწორ ფორმატში ჩაწერის ცოდნას, აუცილებელ პროფესიონალურ ჩვევებს და შემოქმედებით, კოგნიტურ და მეთოდოლოგიურ უნარებს. აუმაღლებს წერით კომპეტენციას, მომავალი ფილმის რეჟისორთან ან თანაავტორთან თანამშრომლობის ჩვევებს. ჩამოუყალიბებს ახალი სასცენარო ტექნოლოგიების, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოებისა და ლიტერატურული სცენარის ანალიზისა და შეფასების, პროექტის შემუშავების, თეორიული მასალის დამუშავების, დამოუკიდებლად მუშაობის უნარს.

“კინო-ტელე დრამატურგიის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობა იმითაა განპირობებული, რომ მასში მიღწეულია ერთგვარი სინთეზი თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შორის. ეს, პრინციპულად აუცილებელი ასპექტი გახლავთ, ვინაიდან თავად დრამატურგის პროფესია საკუთარ არსში შეიცავს მხატვრულ-ანალიტიკურ აზროვნებას. ამ პროფესიის ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა ხედავდეს მის თვალწინ განვითარებულ მოვლენებს, მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. იგი უნდა გრძნობდეს საზოგადოების განწყობას, მის წინაშე მდგარ პრობლემებს. მას უნდა შეეძლოს ამა თუ იმ მოვლენის სიღრმისეული გაანალიზება, კონკრეტული საკითხის არსში წვდომა. მხოლოდ ამ უნარის წყალობით შეძლებს დრამატურგი იმ სასიცოცხლო, აქტუალური, საჭირობოროტო პრობლემისა თუ სატიკივარის დანახვას, რომლის თაობაზეც, მის მიერ შექმნილი სცენარის მეშვეობით შეძლებს ადამიანებთან, მაყურებელთან საუბარს. აქედან გამომდინარე, სინოფსისს, სცენარს ექნება მკაფიოდ გამოკვეთილი სათქმელი, რომელშიც გაცხადდება დრამატურგის, როგორც მოქალაქისა და ხელოვანის პოზიცია. ასეთ შემთხვევაში, მის მიერ შეთხზულ, შექმნილ ამბავს ექნება აშკარად გამოხატული კონცეპტუალური გადაწყვეტა, რაც ასე მნიშვნელოვანია XXI საუკუნის აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში. შესაბამისად,

პროგრამის მიზანია:

მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სფეროში ისეთი დრამატურგის მომზადება, რომელიც მეტად მგრძნობიარედ რეაგირებს მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა თუ მიმდინარე პროცესებზე. მას კარგად ესმის, თუ რა აწუხებს საზოგადოებას

და სწორედ ამ სატკივარზე ესაუბრება თავისი შემოქმედებით. ამასთან, მას შესწევს უნარი საკუთარი სათქმელი მკაფიოდ, მაყურებლისთვის გასაგებად გამოხატოს ფილმის შინაარსობრივ-კონცეპტუალურ გადაწყვეტა-გააზრებაში. გარდა ამისა, დღევანდელი დრამატურგი ფართოდ ერუდირებული, ინფორმირებული უნდა იყოს. იგი, გარდა სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისა, კარგად უნდა იცნობდეს ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, ხელოვნების ყველა დარგის აწმყოსა და ისტორიას, ზოგადად, კაცობრიობისა და თავისი ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურის თეორიასა და ისტორიას და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, მან უნდა შეძლოს ახალი, თვითმყოფადი, ინდივიდუალური ხელწერით აღბეჭდილი მხატვრული ნაწარმოების შექმნა, რომელშიც გამოჩნდება მხატვრული სახეებით აზროვნების უნარი. მომავალი დრამატურგი შეძლებს ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული, ორგანული თანხმიერების მიღწევას. მას შეეძლება როგორც საკუთარი მაღალმხატვრული დრამატურგიული ნაწარმოების შექმნა, ასევე ამა თუ იმ ნაწარმოების (პიესა, მოთხრობა, ნოველა, რომანი და სხვა) ორიგინალური სასცენარო ინტერპრეტაციის შემოთავაზება.

სწორედ ამ ტიპის სპეციალისტის, ჭეშმარიტი პროფესიონალის აღზრდაა წინამდებარე პროგრამის მიზანი, - პროფესიონალი დრამატურგის მომზადება-ფორმირება, რომელსაც სიღრმისეულად ეცოდინება კინოდრამატურგიის ძირითადი ცნებები, პრინციპები და წესები, ათვისებული ექნება სპეციფიური ტერმინოლოგია. ექნება ქართული და მსოფლიო ლიტერატურის (მათ შორის დრამატურგიის), აგრეთვე კინემატოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების ცოდნა, მხატვრული ტექსტის აღქმის უნარი, წერის, თეორიული მასალის დამუშავების ჩვევა. შესწავლილი ექნება **სასცენარო განაცხადის, სინოფსისის, გაფართოებული ლიბრეტოს (თრითმენტის) და სცენარის სტრუქტურისა და კომპოზიციის, სიუჟეტის კონსტრუირების მეთოდები**. შეეძლება მომავალი ნაწარმოების თემის არჩევა, შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტა, მარტივი დრამატული ნაწარმოებისა და კონფლიქტის მოფიქრება და ქაღალდზე გადატანა, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების განაცხადისა და სინოფსისის დაწერა, შეკვეთილ სიუჟეტებზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. **დაეუფლება მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმის, ტელესერიალის, ტელერეპორტაჟისა და ტელესიუჟეტის, სარეკლამო და მუსიკალური კლიპის სცენარის კონსტრუირების პროფესიულ, თეორიულ ხერხებსა და მეთოდებს.**

“კინო-ტელე დრამატურგიის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ტენდენციების შესწავლას აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში, როგორც დრამატურგის, ასევე – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების პრაქტიკოს - ანალიტიკოსის პროფილით. მაგისტრებმა თავი უნდა მოსინჯონ თეორიულ ანალიზსა და კვლევებში. შეძლონ აქტუალური თემისა და კონცეფციის შერჩევა, ძიების სწორად წარმართვა, პროფესიული ანალიზი, აუდიო-ვიზუალური

ხელოვნების სოციოლოგიური ანალიტიკის გააზრება და მისი შედეგების პრაქტიკული გათვალისწინება. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დაუფლებისას მაგისტრანტის მიერ შემოთავაზებული პროფესიული მიგნებები შეიძლება განხორციელდეს როგორც პრაქტიკულ-შემოქმედებით საქმიანობაში, ასევე გახდეს სადოქტორო კვლევის საგანი. პროგრამა მით უფრო აქტუალურია, რადგან დღესდღეობით შესაბამის ბაზარზე შეიმჩნევა დრამატურების მხრივ თეორიისადმი ზერეულე დამოკიდებულება.

ამასთან, *სახელოვნებო უმაღლესი განათლებისთვის მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ სამაგისტრო საფეხური უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შემოქმედებითი პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნით. შესაბამისად, მაგისტრატურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ეძლევა მაგისტრს შესაბამის დარგში სწავლების უფლება.*

“კინო-ტელე დრამატურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების (იხ. ქვემოთ) მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის (სამაგისტრო) აღმწერის სათანადო დონით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მორიგი ლექცია, წინამორბედისა და მის ფარგლებში მიღებული შედეგის საფუძველზე აიგება. სწავლების ინტეგრირებული ფორმა, ცოდნისა და გამოცდილების არეალის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

სწავლების ძირითადი ნორმების გარდა, რომელიც თეორიული და პრაქტიკული კურსების მონაცვლეობასა და ერთიანობაზეა აგებული, გათვალისწინებულია მასტერკლასები, რომლებსაც ჯგუფის ოსტატის გეგმისა და გადაწყვეტილების საფუძველზე, აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების მაღალი კლასის პროფესიონალები ჩაატარებენ; განსაზღვრულია პრაქტიკები უნივერსიტეტის სასწავლო კინო-ტელე სტუდია - ლაბორატორიებში.

ორი წლის მანძილზე, მაგისტრანტი აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა-გამომუშავების გარდა, პარალელურად გაივლის სათანადო თეორიულ კურსებს. ამასთან, იგი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-შემოქმედებით და კვლევით პროცესთან. მას მოემსახურება უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტი (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსი), აკადემიური პერსონალი, მოწვეული პედაგოგ-მასწავლებლები, მეცნიერთანამშრომლები. მაგისტრანტს საშუალება ექნება თავისი უშუალო ხელმძღვანელის, პედაგოგის ხელშეწყობით, წარმართოს შემოქმედებითი ძიების პროცესი. ოსტატ-შეგირდის ურთიერთობა საშუალებას იძლევა შეიქმნას ერთგვარი შემოქმედებითი, ექსპერიმენტული ლაბორატორია,

შედეგები	<p>სტუდია.</p> <p>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი • დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება • მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი • მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი • სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი • ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი • სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი • კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი • უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი • ახალი იდეების გენერირების უნარი • პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი • დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი • ჯგუფში მუშაობის უნარი • ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი • ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი • არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი • საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი • დამოუკიდებელი მუშაობის უნარი • პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი • უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება • საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი • ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი • შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი • ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი <p>დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმის ტელესერიალისა და ტელერეპორტაჟის, სარეკლამო ან მუსიკალური კლიპის განაცხადის დაწერა.
----------	--

- შეუძლია სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმის ტელესერიალისა და ტელერეპორტაჟის, სარეკლამო ან მუსიკალური კლიპის ლიბრეტოს (სინოფსისის) დაწერა.
- შეუძლია სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმის ტელესერიალისა და ტელერეპორტაჟის, სარეკლამო ან მუსიკალური კლიპის სცენარის დაწერა.
- იცის ლიტერატორული ნაწარმოების ადაპტირება კინო/ტელე ეკრანისათვის.
- აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების კვალიფიციური ანალიზი, რედაქტირება და შეფასება.
- მუშაობის პროცესში შეუძლია საჭირო ლიტერატურული, მეთოდოლოგიური და თეორიული მასალის მოძიება და გამოყენება.
- შეუძლია, როგორც თეორიული, აკადემიური, ისე სასცენარო წერის ტექნიკის პრაქტიკულად გამოყენება.
- შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა (დრამატურგის ძირითადი ცნებებითა და ტერმინებით ოპერირება სცენარის ან აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების განხილვისას), საკუთარი აზრის დასაბუთება, გამოცდილების გაზიარება.
- შეუძლია ახალი სასცენარო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.
- შეუძლია შემოქმედებით ჯგუფში რეჟისორთან, ოპერატორთან და მსახიობთან ეფექტურად ურთიერთობა.
- შეუძლია თვითგანვითარების მიზნით საკუთარი სწავლების პროცესის მართვა და შემდგომი განვითარებისათვის სწავლის საჭიროების განსაზღვრა.
- აქვს ანალიტიკური წერისათვის აუცილებელი ჩვევები.
- აქვს გამართული, მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული კონცეპტუალური აზროვნების უნარი.
- აქვს სასცენარო ნაწარმოების მხატვრული, იდეური მთლიანობის შექმნა-შეთხზვის ცოდნა.
- აქვს დრამატურგის პროფესიის ყოველი ასპექტისა თუ მეთოდის, ხერხის სიღრმისეული ცოდნა.
- აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის უნარი.
- შემოქმედებით-პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესის გააზრებული დაგეგმვის, სავარაუდო შედეგის პროგნოზირების უნარი.
- საკუთარი თუ სხვისი ქმნილების ანალიზის, შეფასების უნარი.
- სცენარის, როგორც სინთეზური ნაწარმოების შექმნა-შეთხზვის უნარი.
- პროფესიასთან დაკავშირებული შემოქმედებითი, საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების სიღრმისეული ცოდნა.
- მიმდინარე შემოქმედებითი პროცესებისა და ძიებების

გააზრების უნარი.

- სათანადო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების, აუცილებელი უნარ-ჩვევების ქონა, რაც უმაღლესი აკადემიური სწავლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გასაგრძელებლად საჭირო.

დარგის ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრი აღჭურვილია კინო-ტელე დრამატურგის პროფესიისთვის აუცილებელი სიღრმისეული თეორიული ცოდნით, რასაც იგი იყენებს, პირველ რიგში, აუდიო-ვიზუალურ სივრცეში თუ ზოგადად კულტურაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისთვის და მათ გასაანალიზებლად და მათი ასახვისთვის საკუთარ შემოქმედებაში; მას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს დრამატურგისთვის აუცილებელი ანალიზი თუ კვლევები; სრულყოფილად იცის დრამატურგის თეორიული თუ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საფუძვლები, ლიტერატურის ისტორია და თეორია, ლიტერატურული მიმდინარეობები და შესაძლებლობა აქვს, სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა; მას აქვს შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა. მაგისტრს გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. ის სრულად ფლობს პროფესიულ სპეციფიკურ მეთოდებს.

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

თეორიული საფუძველი და ოსტატთან პრაქტიკულ დრამატურგიაში მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და უნარ-ჩვევები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად იმუშაოს პრაქტიკოს დრამატურგად, ანალიტიკოსად ან პედაგოგად; როგორც დრამატურგმა და შემოქმედმა, იცის, რა პრინციპებით წარუძღვეს მხატვრული ამბის შექმნისა და შემდგომი წარმოების პროცესს მის საწყის თუ ძირითად ეტაპებზე, ასევე ფილმის პრეპროდუქციისა და პოსტპროდუქციის ეტაპებზე და როგორ მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი რესურსების რეალიზება; შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად. ასევე, აქვს უნარი გარკვეული მიზნის დასახვისა და მის მისაღწევად სამოქმედო გეგმის შექმნა-განხორციელებისა. იგი მოქმედებს დამოუკიდებლად, ასრულებს რა სათანადო სამუშაოს პროფესიულ დონეზე. ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს პროფესიული ექსპერტის რანგში.

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და სწავლის პროცესში სცენარზე მუშაობის დროს შექმნილი უნარები მაგისტრანტს საფუძველს უქმნის ადვილად და წარმატებით მოახერხოს შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება; მან იცის შემოქმედებით ჯგუფთან, რეჟისორთან, მსახიობებთან ურთიერთობა; სცენარის, ამბის, სინოფსისის, თრიტმენტის, ფაბულის და სხვ. შექმნა, პროექტის შედგენა და მის

განხორციელებაში ინვესტორის იოლად დარწმუნება; იცის ფილმის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარე; ხელეწიფება დამოუკიდებლად გაიაზროს და გააანალიზოს ესა თუ ის მოვლენა. გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს არა მხოლოდ შემოქმედებით ჯგუფებთან თუ სცენარზე მუშაობის პროცესში შემოქმედებითად დაკავშირებულ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარები, არამედ, გამომუშავებული აქვს პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრებისთვის, პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის ან სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფისთვის) გაზიარების შესაძლებლობები. მაგისტრს აქვს ცოდნა და გამოცდილება არა მხოლოდ დრამატურგის სპეციალობაში, არამედ ლიტერატურის თეორიასა და ისტორიაში, თანამედროვე ტექნოლოგიებში. იცის და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, მშობლიურ ენაზე, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია სხვასთან საერთო ენის გამონახვა და თავისი მოსაზრებისა თუ შეხედულების მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბება-დაფიქსირება.

აქვს უცხო ენის ცოდნა (სულ მცირე – 2 დონე):

კომუნიკაცია – იგებს ვრცელ ტექსტს, იაზრებს მასში გაღმობრძეულ ინფორმაციას. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი. თავისუფლად შეუძლია სოციალურ, აკადემიურ, პროფესიულ თემებზე საუბარი.

კითხვა – იგებს ვრცელ, კომპლექსურ ტექსტს, მისი ყოველი დეტალის ჩათვლით. უკეთ გასაგებად, შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილის ხელმეორედ წაკითხვა.

წერა – შეუძლია კომპლექსურ თემაზე ტექსტის დაწერა (იქნება ეს წერილი თუ სხვა).

საფუძვლიანად ფლობს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს: თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს (ინტ), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით გამოყენებას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სწავლის უნარი

მაგისტრს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი; შეუძლია პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება. ამა თუ იმ მიმართულებით შეუძლია დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება; ღრმად, საფუძვლიანად გაიაზროს მის წინაშე არსებული პრობლემა და დასახოს მისი დაძლევა-გადალახვის ქმედით ღონისძიებათა გეგმა. აქვს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. ჯგუფის დანარჩენი წევრების კომპეტენციისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სათანადო სამუშაოს. შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ღონისძიებები საკუთარი სწავლისა და პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარებისათვის.

	<p>აქვს სწავლის, კვლევის, პროექტის შემუშავებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. იყენებს სასწავლო რესურსის სრულ სპექტრს; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ახორციელებს თეორიულ ანალიზს; შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება, მართვა; მუშაობის დროს არის დამოუკიდებელი. იყენს ინიციატივას, პირად პასუხისმგებლობას შემოქმედებით პროფესიულ პრაქტიკაში. ხელეწიფება სწავლასა და საქმიანობაში ლიდერის მისიის შესრულება.</p> <p>ღირებულებები</p> <p>აქვს არსებულ მძვინკონკურენტულ გარემოში პარტნიორებისა და კონკურენტების დაპატენტებული იდეისა და შემოქმედებითი პროექტის პროფესიული პატივისცემა. შეუძლია აღნიშნული შემოქმედებითი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების პროფესიული შეფასება და ახალი შემოქმედებითი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. შემოქმედებით ჯგუფში, როგორც რიგითი წევრი ან ლიდერი ეფექტურად მუშაობს. ახერხებს ამოცანების მკაფიო ფორმულირებას. ასევე, ჯგუფის წევრთა შესაძლებლობათა ადეკვატურ გამოყენებას. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება-დარეგულირება.</p>
დასაქმების სფეროები	<p>სწავლის დასრულების შემდეგ, "კინო-ტელე დრამატურგიის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის (სცენარი) წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დრამატურგიაში. ამასთან, მაგისტრს შეუძლია სასწავლო პროცესის წარმართვა შესაბამისი პროფილით საბაკალავრო აკადემიურ საფეხურზე და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს დამოუკიდებელ სცენარისტად კინოს, ტელევიზიასა და აუდიო-ვიზუალური რეკლამის სფეროში. რედაქტორად კინოსტუდიებში, ტელეარხებზე და სარეკლამო სააგენტოებში. მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ასევე ექსპერტ – ანალიტიკოსად სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასა თუ უწყებაში; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევები; იმუშაოს პედაგოგად სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში; სხვადასხვა შესატყვის უწყებაში მონაწილეობა მიიღოს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სფეროში სამხატვრო და სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის, დაგეგმვის საქმეში; აწარმოოს მოლაპარაკებები და ორგანიზება გაუკეთოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას; იმუშაოს სახელოვნებო მენეჯმენტისა და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების სფეროებში</p>
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	კინო-ტელე პროდიუსინგი (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა (კონცენტრაცია)
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	კინორეჟისორი და პროდიუსერი ოთარ შამათავა 222 11 30 e-mail: otarshamatava@yahoo.com სრული პროფესორი დავით ჯანელიძე 577 94 70 17 e-mail: datojanelidze@gmail.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი), პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (საშუალოდ 50 კრედიტი). 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – კინორეჟისურის, კინომცოდნეობის ან მენეჯმენტის (პრიორიტეტულად – სახელოვნებო მენეჯმენტის) მიმართულებით. ამავე დროს, შესაძლებელია, მაგისტრატურაში დაიშვან სხვა (თუნდაც, არასახელოვნებო) სპეციალობის ბაკალავრები, მაგისტრები თუ დოქტორები, რომლებიც შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად გამოავლენენ უნარს, იმოდვაწეონ კინო-ტელე წარმოების სფეროში. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ პროდიუსერის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე 2 დონეზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.
პროგრამაში ჩართული აკადემიური მოწვეული პერსონალი	და. ჯანელიძე – სრული პროფესორი და. ოჩიაური - სრული პროფესორი მ. ტულუში - სრული პროფესორი

პერსონალი	<p>მ. მაღალაშვილი – ასოცირებული პროფესორი</p> <p>ა. ვახტანგოვი – ასოცირებული პროფესორი</p> <p>ლ. კიტია – ასოცირებული პროფესორი</p> <p>ო. შამათავა – კინორეჟისორი, პროდიუსერი</p> <p>ზ. ცუცქერიძე - პედაგოგიკის დოქტორი</p> <p>თ. ქამუშაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი</p> <p>თ. ვეფხვაძე - ფილოლოგიის დოქტორი</p> <p>რ. მირცხულავა – ფსიქოლოგიის დოქტორი</p> <p>ი. შეშელიძე - მასწავლებელი</p>
მაგისტრანტთა რაოდენობა	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	<p>კინო - ტელე პროდიუსინგის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამული კონცენტრაციის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „ტელე-კინო პროდიუსინგი (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური პროდიუსერი, რომელიც უზრუნველყოფს კინო-ტელე პროექტის (ფილმი, სატელევიზიო შოუ, სერიალი და სხვ.) შექმნას და მის შემდგომ რეალიზაციას – შემოქმედებითი იდეიდან – დამთავრებული კინემატოგრაფიული ქსელით ან სატელევიზიო ეთერით, რაც შეადგენს სრულ შემოქმედებით - საწარმოო ციკლს : იდეა, სინოპსისი, თრიტმენტი, სკრიპტი/სცენარი, პრეპროდუცტიონ, პროცდუცტიონ, პოსტპროდუცტიონ .</p> <p>მაგისტრანტი პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.</p> <p>კინო - ტელე პროდიუსინგის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა გამიზნულია კინო და ტელე პროდიუსერ-პრაქტიკოსის- ქართულ სინამდვილეში, ფაქტობრივად, ახალი სტატუსის მქონე შემოქმედის ჩამოსაყალიბებლად, რაზეც, დღევანდელი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მსოფლიო კინო-ტელე სამყაროში დიდი მოთხოვნილებაა.</p> <p><i>სამაგისტრო პროგრამა მთლიანად ორიენტირებულია საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებულ შრომის ბაზარზე. იგულისხმება კინემატოგრაფიულ და სატელევიზიო სივრცეში არსებული შესაძლებლობები (ინდივიდუალური პროდიუსინგი,</i></p>

კორპორატიული პროდიუსინგი).. დღესდღეობით, შრომის ბაზარზე მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ საპროდიუსერო კადრებზე სტაბილურად მაღალია, თუმცა, სატელევიზიო სივრცეში ამ პროფესიაზე მოთხოვნილება წინ უსწრებს შესაბამის კინემატოგრაფიულ სეგმენტს.

ბაკალავრიატის – სწავლების თანამედროვე სისტემის პირველ საფეხურზე მიღებული საბაზო განათლების შემდეგ, მეორე – მაგისტრატურის – ეტაპი გულისხმობს მიღებული ცოდნის გაღრმავება-განვითარებასა და ინტერესთა კონკრეტულობას, ზუსტი და სწორი მიმართულებების განსაზღვრას კინო-ტელეწარმოების პროცესში და ამ პროცესის შედეგად მიღებული პროექტის (ფილმი, სერიალი, ტელეშოუ და სხვ.) დისტრიბუციასა და რეალიზაციაში – შესაბამისი ფინანსური ეფექტურობითა და უკუგებით (რისი გამყარება და სრულყოფა სწორედ მაგისტრატურის დონეზე ხდება).

კინო-ტელე პროდიუსინგის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ტენდენციების შესწავლას კინემატოგრაფსა და ტელევიზიაში, პროდიუსერის პროფილით. მომავალმა კინო-ტელე ხელოვნების მაგისტრებმა თავი უნდა მოსინჯონ თეორიულ ანალიზსა და კვლევებში. შექმნილი აქტუალური თემისა და კონცეფციის შერჩევა, ძიების სწორად წარმართვა, პროფესიული ანალიზი, კინო – ტელე სოციოლოგიური ანალიტიკის გააზრება და მისი შედეგების პრაქტიკული ხორცესხმა. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დაუფლებისას მაგისტრანტის მიერ შემოთავაზებული პროფესიული მიგნებები შეიძლება განხორციელდეს როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე გახდეს სადოქტორო კვლევის საგანი. პროგრამა მით უფრო აქტუალურია, რადგან დღესდღეობით შესაბამის ბაზარზე შეიმჩნევა პროდიუსერების მხრივ თეორიისადმი ზერეულ დამოკიდებულება.

პრაქტიკოსი კინო-ტელე პროდიუსერის წარმატებული საქმიანობა შეუძლებელია ახალი საწარმო-კრეატიული ფორმების ძიების გარეშე. კინო-ტელე წარმოების სწრაფი ტრანსფორმაცია ითხოვს მაღალი რანგის პროფესიონალს, რომელიც აღჭურვილია თეორიის ღრმა ცოდნით, თან აგრძელებს დისციპლინის ახალი მოცემულობების კვლევას. პროგრამის შედეგად სწორედ ეს არის – მაგისტრი, რომელიც მუდმივად ეძებს ახალს, კრიტიკულად აფასებს კანონებად აღიარებულ ცნებებს, აქვს კვლევის სწორი ორგანიზაციის ჩვევები, არგუმენტირებული ანალიზით ადასტურებს მიგნებულ თეორიას.

ამასთან, სახელოვნებო უმაღლესი განათლებისთვის მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ სამაგისტრო საფეხური უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შემოქმედებითი პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნით. შესაბამისად, მაგისტრატურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ეძლევა მაგისტრს შესაბამის დარგში სწავლების უფლება.

	<p>ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამა ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად, ახდენს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მის პრაქტიკაში გამოცდას.</p> <p>კინო - ტელე პროდიუსინგის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების (იხ. ქვემოთ) მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის (სამაგისტრო) აღმწერის სათანადო დონით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მორიგი ლექცია, წინამორბედისა და მის ფარგლებში მიღებული შედეგის საფუძველზე აიგება. სწავლების ინტეგრირებული ფორმა, ცოდნისა და გამოცდილების არეალის გაფართოებას შეუწყობს ხელს.</p> <p>სწავლების ძირითადი ნორმების გარდა, რომელიც თეორიული და პრაქტიკული კურსების მონაცველობასა და ერთიანობაზეა აგებული, გათვალისწინებულია მასტერკლასები, რომლებსაც ჯგუფის ოსტატის გეგმისა და გადაწყვეტილების საფუძველზე, კინოსა თუ სახელოვნებო სხვადასხვა დარგის მაღალი კლასის პროფესიონალები ჩაატარებენ; განსაზღვრულია პრაქტიკები გადასადებ მოედნებსა და ლაბორატორიებში, კინოწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.</p>
შედეგები	<p>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი • დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება • მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი • მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი • სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი • ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი • სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი • კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი • უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი • ახალი იდეების გენერირების უნარი • პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი • დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი • ჯგუფში მუშაობის უნარი • ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი • ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ

წარმართვის უნარი

- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი
- უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
- საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
- ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსის გაცნობიერება
- რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა
- ფილმის და ტელეპროექტის შექმნის უნარი
- შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა
- კინო-ტელე ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა
- შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი
- დრამატურგიული პირველწყაროს კინემატოგრაფიული ანალიზი
- ჟანრული მრავალგვარობის სტრუქტურული ცოდნა
- არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი
- მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია
- ვიზუალური კომპოზიციის აგების უნარი
- შემოქმედებით ჯგუფთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი
- კინო-ტელე პროექტის განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მოზიების უნარი, ანუ "ფანდრაიზინგი"
- კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო-დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი
- ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი
- კონცეპტუალური აზროვნების უნარი
- შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი
- შეთხზვის, ფანტაზიის უნარი
- ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი
- კვლევის (სოციოლოგიური გამოკითხვები) შედეგების გააზრებისა და სათანადო ინტერპრეტაციის უნარი

დარგის ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრი აღჭურვილია მხატვრული, დოკუმენტური კინო – ტელე პროდიუსერის პროფესიისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნით, რასაც იგი იყენებს, პირველ რიგში, კინო - ტელე სივრცეში თუ ზოგადად კულტურაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისთვის და მათ გასაანალიზებლად; მას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს კინოსა და ტელე პროდიუსირებისთვის აუცილებელი ანალიზი თუ კვლევები; სრულყოფილად იცის კინო - ტელე პროდიუსირების თეორიული თუ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საფუძვლები, ისტორია, მიმდინარეობები და შესაძლებლობა აქვს, სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა;

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

თეორიული საფუძველი და ოსტატთან პროდიუსინგში მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად იმუშაოს პროდიუსერად, აღმასრულებელ პროდიუსერად ან ფილმის მენეჯერად; როგორც პროდიუსერმა, იცის, რა პრინციპებით წარუძღვეს, ფილმწარმოების პროცესს მის საწყის თუ ძირითად ეტაპებზე, ასევე პოსტპროდუქციის ეტაპზე და როგორ მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი მონაცემების რეალიზება;

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

თეორიული ცოდნა, პრაქტიკულ – შემოქმედებითი გამოცდილება და სწავლის პროცესში ფილმზე მუშაობის დროს შექმნილი უნარები მაგისტრანტს საფუძველს უქმნის ადვილად და წარმატებით მოახერხოს გადაღებების პროცესის ორგანიზება; მან იცის გადამღებ ჯგუფთან, მსახიობებთან ურთიერთობა; პროექტის შედგენა და მის განხორციელებაში ინვესტორის იოლად დარწმუნება; იცის ფილმის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარე; მონტაჟის, გახმოვანება და სხვა, ანალოგიური პრინციპები;

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს არამხოლოდ შემოქმედებით ჯგუფებთან თუ კინოწარმოების პროცესთან დაკავშირებულ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარები, არამედ, გამომუშავებული აქვს პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და, ზოგადად, სტუდენტებისთვის ან სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფისთვის) გაზიარების შესაძლებლობები. მაგისტრს აქვს ცოდნა და გამოცდილება არამხოლოდ პროდიუსერის სპეციალობაში, არამედ კინოს თეორიასა და ისტორიაში, მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებში. იცის და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

სწავლის უნარი

მაგისტრს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების

	<p>პროცესი;</p> <p>ღირებულებები აქვს არსებულ მძფრ კონკურენტულ გარემოში პარტნიორებისა და კონკურენტების დაპატენტებული იდეისა და შემოქმედებითი პროექტის პროფესიული პატივისცემა. შეუძლია აღნიშნული შემოქმედებითი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების პროფესიული შეფასება და ახალი შემოქმედებითი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>სწავლის დასრულების შემდეგ, კინო-ტელე პროდიუსინგის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა კინო - ტელე წარმოების ნებისმიერ დარგში (ინდივიდუალური, პარტნიორული და კორპორატიული პროდიუსინგი). მათ შორის: კინო – ტელე პროდიუსერის, ასოცირებული პროდიუსერის, აღმასრულებელი პროდიუსერის, კო-პროდიუსერის, სახაზო პროდიუსერის, კრეატიული პროდიუსერის, კინო-ტელე მენეჯერის მიმართულებით.</p> <p>ამასთან, მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასა თუ უწყებაში პროდიუსერის სპეციალობის ზემოთ ჩამოთვლილი რანგირების მიხედვით; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევები; იმუშაოს პედაგოგად სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში; სხვადასხვა შესატყვის უწყებაში მონაწილეობა მიიღოს კინოს სამხატვრო და სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის, დაგეგმვის საქმეში; აწარმოოს მოლაპარაკებები და ორგანიზება გაუკეთოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას; იმუშაოს კინო-ტელემენეჯმენტისა და ხელოვნების ამ დარგების განვითარების სფეროებში.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>

დოქტორანტურა

საშემსრულებლო - შემოქმედებითი ხელოვნება (შემოქმედებითი პედაგოგიკა)

კონცენტრაცია: აუდიო-ვიზუალური ხელოვნება

“კინორეჟისურა”

“ტელერეჟისურა”

სადოქტორო პროგრამის ზოგადი დახასიათება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, აუდიო-ვიზუალური, ქორეოგრაფიული, სამუსიკო) განვითარება და ამავე დარგების კვლევა, საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ხელოვნების შესაბამისი დარგების განვითარებასა და კვლევებზე ორიენტირებულ სინთეზურ აკადემიურ პროგრამას.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელოვნების დარგებში მაგისტრატურის შემდგომი დონის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისა თუ სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

1. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი);
2. პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (50 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს პრაქტიკულ/შემოქმედებითი პროდუქციის შექმნას და მის წარმოდგენას/პრეზენტაციას;
3. კვლევითი კომპონენტი (70 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს დისერტაციის, ანუ კვლევითი/ანალიტიკური ნაშრომის შესრულებას, რომელიც უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში და მის დაცვას/საჯარო პრეზენტაციას.

სადოქტორო პროგრამა საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების
(შემოქმედებითი პედაგოგიკა) მოიცავს შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებს:
აუდიო-ვიზუალური ხელოვნება:
კინორეჟისურა
ტელერეჟისურა

*“საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)”
სადოქტორო პროგრამის თითოეული პროგრამული კონცენტრაცია შეიცავს დარგის
მახასიათებელ სპეციფიურ თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ
საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების სწავლებისა და კვლევის ერთიანი
პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი პროგრამული კონცენტრაციისთვის
ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. შესაბამისად, პროგრამაში ქვემოთ
დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული პროგრამული კონცენტრაციის
ვერბალური აღწერა, მიზნები, შედეგები და კომპეტენციები შესაბამისი სასწავლო
გეგმებისა და შეფასების სისტემის თანხლებით.*

დასახელება	აუდიო-ვიზუალური ხელოვნება
მიმართულება	ხელოვნება
უაგ-ის საფეხური/ უსპ-ს ტიპი	დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დოქტორი (პრაქტიკაზე დაფუძნებული) – მოიცავს შემოქმედებით პროდუქტს (ხელოვნების ნიმუშს/პროექტს – მხატვრულ/დოკუმენტურ ფილმს, სატელევიზიო ფილმს) და დისერტაციას; PhD (includes a thesis) – ArtD (practice-based Doctor of Art).
პროგრამის ხელმძღვანელები	ლელა ოჩიაური, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. დავით ჯანელიძე, რეჟისორი, პროფესორი. ალექსანდრე ვახტანგოვი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. ელისაბედ მრისთავი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამისი კვალიფიკაციით (საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამისი სპეციალობა). სასურველია მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ალლო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. ამასთან, ძირითადი მოდულის სრული ათვისებისათვის აუცილებელია საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების კურსებით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამის დარგში, რაც გაუადვილებს დოქტორანტებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თავსებადობას. აუცილებელია უცხო ენის ცოდნა (მინიმუმ 2 დონე).
ანალოგია	სლოვაკეთი, პოლონეთი, ესპანეთი, დანია, ა.შ.
დოქტორანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 5-8 დოქტორანტის მიღება.

პროგრამული კონცენტრაცია: აუდიო-ვიზუალური რეჟისურა - კინორეჟისურა

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

თანამედროვე კინოში ახალი ტექნოლოგიების მუდმივად განახლების პროცესებისა და ახალი აზროვნების ჩამოყალიბებიდან გამომდინარე, ბევრი რამ იცვლება. იცვლება დამდგმელი რეჟისორის როლიც თანამედროვე კინოპროცესში. ტექნიკურმა პროგრესმა შეცვალა მისი ფუნქცია და ამოცანა ფილმწარმოებისა და სადადგმო-საპროდუსერო ჯგუფთან ურთიერთობის კუთხით. თავისუფალ რეჟისურას ენაცვლება შემკვეთ-შემსრულებლის ურთიერთობები, რისი თეორიული ცოდნაც და პრაქტიკაში ათვისებაც თანამედროვე კინემატოგრაფისტისთვის აუცილებელია. **კინორეჟისურა** ერთერთია იმ საქმიანობებს შორის, რომელიც მუდმივად ახალი იდეების, ახალი ფორმების, სიტუაციური ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს. ამ პროფესიას თავიდანვე მსატრეული აზროვნებისადმი გამოკვეთილი მიდრეკილებისა და ორიგინალური აზროვნების ადამიანები ეუფლებიან. მიუხედავად იმისა, რომ კანონებს, ფორმულებს, რეჟისურის დარგი ნაკლებად ემორჩილება, მაინც არის ღრმა, თეორიული საფუძველი, რომლის კვლევა, მოწესრიგება, ძალიან გამოადგება როგორც პრაქტიკოსს, ასევე სამეცნიერო, თუ სასწავლო პროცესში ჩართულ კინორეჟისორს. კინემატოგრაფიის სწრაფი ტრანსფორმაცია ითხოვს მაღალი რანგის პროფესიონალს, რომელიც აღჭურვილია თეორიის ღრმა ცოდნით, აგრძელებს დისციპლინის თანამედროვე მოცემულობების კვლევას. ეძებს ახლ გამომსახველობით ფორმებს, კრიტიკულად აფასებს კანონებად აღიარებულ ცნებებს, არგუმენტირებული ანალიზით ადასტურებს მიგნებულ მოსაზრებებს.

კინორეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ დიდი შემოქმედებითი ჯგუფი ემსახურება. ავტორები, რედაქტორები, მხატვრები, ოპერატორები, მუსიკალური გამფორმებლები, მენეჯერები, ვიდეოტექნიკოსები, კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამისტები, გამნათებლები, სადადგმო ნაწილი და ა.შ. თითოეულ მათგანს კოორდინაციას უწევს დამდგმელი რეჟისორი. მათი შეთანხმებული მუშაობისთვის რეჟისორმა უნდა იცოდეს თუ რა შემოქმედებით თუ ტექნიკურ რესურსს ფლობს ესა თუ ის დამხმარე სპეციალობა კინემატოგრაფიაში. მან ზუსტად უნდა განსაზღვროს რა უნდა, რა იდეას, რა გამომსახველობითი ფორმით მიაწოდებს მაყურებელს, და როგორ უნდა განახორციელოს შემოქმედებითი ჩანაფიქრი. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადი საგნის გარდა მომავალი კინორეჟისორები, მათთვის აუცილებელი ფორმატით ეცნობიან მომიჯნავე სპეციალობებს.

სწავლების სამსაფეხუროვან სისტემაზე გადასვლა საშუალებას იძლევა სადოქტორო დონეზე მოხდეს კინოპროდუქციის კონცეპტუალური გააზრება და მისი, როგორც საზოგადოებრივი აზრის ინტერპრეტაციულ-მამოღელირებელი საქმიანობის შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ ეს სადოქტორო პროგრამა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, ვინაიდან, იმ ვითარებაში, როდესაც არსებობდა 20-წლიანი წყვეტა საქართველოში არსებულ კინოწარმოებასა და დანარჩენი მსოფლიოს კინოინდუსტრიას შორის, ამ ეტაპზე არსებული დანაკლისებისა თუ პროცესიდან ამოვარდნილობის დაძლევა იწყება. ამასთანავე, ფაქტობრივად არ არსებობს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) პრაქტიკოსი რეჟისორი, რომელიც, პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად, ამავე დროს, იკვლევს რეჟისურის თეორიულ საკითხებს მსოფლიო კინოხელოვნებასთან მიმართებაში.

აქტუალურია იმის განსაზღვრა, თუ რა არის რეჟისორის ფუნქცია თანამედროვე რეალობაში;

აქტუალურია სასწავლო მეთოდოლოგიის განვითარება კინობაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად;

აქტუალურია კინონდუსტრიაში პროფესიული განვითარების უწყვეტი ციკლის შესწავლა (პრაქტიკაზე დაყრდნობით), მისი გაცნობიერება და თეორიული ანალიზი;

აქტუალურად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ საქართველოში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმა და ბოლონის პროცესის მოთხოვნები, აუცილებელსადაც ხდის თეორეტიკოს-პრაქტიკოსი ხელოვანის აღზრდას, სწავლების პროცესის ერთიან სისტემად ჩამოყალიბებასა და შესატყვისი სუბიექტის ფორმირებას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება პროფესიონალი თეორეტიკოს-პრაქტიკოსი რეჟისორის სრულიად ახალი პროფესის შექმნა და მისთვის სათანადო გეზის მიცემა.

• პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან

სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „კინორეჟისურის“ სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი – შემოქმედი და ანალიტიკოსი, რომელიც (შესაბამისი სპეციალობით) უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური პროექტის (მხატვრული კინო, დოკუმენტური კინო) შექმნასა და თეორიულ – მეთოდოლოგიურ ანალიზს – შემდგომში დარგის განვითარებისა და სწავლების მიზნით.

• პროგრამის მიზანი:

„კინორეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის მიზანია მომზადდეს კინორეჟისურის ისეთი სპეციალისტი, რომელიც იცნობს თანამედროვე კინემატოგრაფიის პროცესებს, ერკვევა კინოწარმოების თეორიაში, იცის მხატვრული თუ დოკუმენტური კინო რეჟისურის ისტორია და თეორია და შეუძლია შემოქმედებითი პროცესის დაგეგმვა, ანალიზი და მართვა. აქედან გამომდინარე, პროგრამა მიზნად ისახავს:

განუვითაროს დოქტორანტს სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი ფილმის დაგეგმვისა და გადაღების ორგანიზების პროცესში;

შეასწავლოს დოქტორანტს ფილმების წარმოების, დაგეგმვის, საწარმოო პროცესის ორგანიზებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები;

პრაქტიკული გამოცდილებიდან (ფილმწარმოებისა და პოსტპროდუქციის ყველა ეტაპის შედეგად) გამომდინარე, დოქტორანტმა შეძლოს ამ ყველაფრის თეორიულ-მეცნიერული ანალიზი და სხვა კინემატოგრაფისტებისთვის პროფესიული ნიადაგის შემზადება, ანალიტიკური კვლევის პრაქტიკული მიზნების განსახორციელებლად.

„კინორეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის მიზანია, ასევე თეორიული კვლევების დახმარებით გავაუმჯობესოთ პროფესიული აღზრდის მეთოდოლოგია, გავაღრმავოთ ცოდნა კინემატოგრაფიული ხელოვნების წარსულის თუ დღევანდელი მიდწევების შესახებ. შევქმნათ გაანალიზებული, კონცეპტუალურად გამართული კინო წარმოების მოდელი. მომზადდეს აკადემიური ლიდერი, რომელსაც აქვს უნარი შექმნას ახალი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი იდეები და პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ ცოდნისა და ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და შემოქმედებით პრაქტიკაში დანერგვის სახით. **კინოს რეჟისორი-ანალიტიკოსის მომზადება მნიშვნელოვანია** იმიტომაც, ასეთი ტიპის სპეციალისტი ქართული კინემატოგრაფიის საუკეთესო ტრადიციის განვითარებასა და მსოფლიო კულტურულ-სოციალურ პროცესებში ქართული კინონდუსტრიის შემდგომ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ის აღჭურვილი იქნება კინოხელოვნების პრაქტიკის ანალიზისა და კონცეპტუალური რეჟისურისათვის აუცილებელი პროფესიული მეთოდოლოგიური მიდგომებით. ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და მასთან ერთად, ცვლილებები საზოგადოებრივ-კულტურულ-ეკონომიკურ სფეროებში, ინტეგრაცია მსოფლიოსთან და ცხოვრების ევროპულ წესსზე გადასვლა, ბუნებრივია, კინემატოგრაფზეც (როგორც ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე გახსნილ, სოციალურად აქტიურ და მობილურ დარგზე) აისახება და მუდმივად განახლებულ მიდგომას მოითხოვს. თანამედროვე (უახლესი) კინორეჟისურა, ერთი მხრივ, ზედმიწევნით განათლებული და თეორიული ცოდნით შეიარაღებული პროფესიონალების არსებობას გულისხმობს, რასაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო კინობაზარზე (რეალობის მთელი სპექტრის გათვალისწინებით) მიმდინარე პროცესები კარნახობს და მეორე მხრივ, გულისხმობს პრაქტიკოს-რეჟისორს, რომელიც უახლესი ტექნოლოგიების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნითაა აღჭურვილი, ვინაიდან ახალი ტექნოლოგიები კინემატოგრაფიული ფორმების, მიმდინარეობისა თუ სპეციფიკების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ახალი სისტემები კინემატოგრაფიულ ცხოვრებაში (საზღვრების გახსნილობა, კოპროდუქციები, სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის კავშირი კინოწარმოებასთან, კინოწარმოების ახალი ფორმები, კინობაზრის ათვისება, პროდუსერთა სისტემა, კერძო სტუდიები, ინვესტიციები, გადასახადები და ა.შ.), ასევე ახდენენ ზეგავლენას კინოწარმოების ხასიათზე (დაკეთები, ბაზრის მოთხოვნა, არტ ჰაუსი და მასკულტურა, კომერციული კინო და შემოსავლები და ა.შ.) და ახალი აზროვნების, კვლევის ახალი მიმართულების, პრაქტიკაში გამოსაყენებლად თეორიული შესწავლის საფუძველს ქმნიან. დღეს, კიდევ ერთხელ დადგა დრო და ამის რეალური შედეგები უკვე აშკარად იკვეთება, კინემატოგრაფისტები დაუბრუნდნენ საუკეთესო ტრადიციებს, საქართველომ კი, ეს გზა პირველად უნდა განვლოს, როდესაც კინოს ქმნიდნენ ის რეჟისორები, რომელთა პრაქტიკული საქმიანობა მათსავე თეორიულ კვლევებსა და მოძღვრებებს, მანიფესტებსა და საპროგრამო ტრაქტატებს ეფუძნებოდა, კინოხელოვნების ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპსა და ერთიან პროცესში, იმ რეჟისორების მსგავსად (დევიდ-უორკ გრიფიტი, რობერტ ფლაერტი, სერგეი ეიზენშტეინი, ჟან-ლუკ გოდარი, ფრანსუა ტრიუფო, ლუის ბუნუელი, ინგმარ ბერგმანი და ა.შ.), რომლებმაც გავლენა მოახდინეს არა ამა თუ იმ მიმდინარეობასა თუ ეპოქაზე, არამედ საზოგადოდ საფუძველი ჩაუყარეს კინემატოგრაფის არსებობას, მის ფორმირებას, კინოენის გამომუშავებასა და მხატვრული ნორმების დადგენას.

• სადოქტორო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია:

პროგრამა მნიშვნელოვანია თავისი არსით, რადგან ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს. დოქტორანტები სამი წლის განმავლობაში თეორიული კურსის პარალელურად პრაქტიკას გაივლიან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კინო-ტელე ლაბორატორიაში. მათ მოემსახურება უნივერსიტეტის კინო-ტელე სტუდია, რაც შესაძლებლობას მისცემს მომავალ კინორეჟისორებსა და პედაგოგებს ლაბორატორიული მუშაობის ახალი სისტემის

შემუშავებაში. ისინი პრაქტიკულად აითვისებენ აუდიოვიზუალური ხელოვნებისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს. უნივერსიტეტის კინო-ტელე ლაბორატორია არის **საკვლეფ-სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც თეორიულ კვლევას მომენტალურად ახლავს დაკვირვება (ცდა) და შედეგი – პრაქტიკული განხორციელება.**

აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევის საგანი სწორედ ისაა (როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ სასწავლო პროცესში):

*თუ როგორ განისაზღვრება და რა არის რეჟისორის ფუნქცია თანამედროვე კინოსივრცეში;

*სასწავლო მეთოდოლოგიის განვითარება კინობაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად;

*კინონდუსტრიაში პროფესიული განვითარების უწყვეტი ციკლის შესწავლა (პრაქტიკაზე დაყრდნობით), გაცნობიერება და თეორიული ანალიზი;

* როგორ შეიძლება ერთიან სისტემაში მოექცეს ფილმების წარმოების, დაგეგმვის, საწარმოო პროცესის ორგანიზებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები.

სასწავლო პროცესი დაყოფილია ეტაპებად და ითვალისწინებს – ყოველი ეტაპის შემდეგ თეორიულ-პრაქტიკული პროდუქტის შექმნას – კინოეპიზოდინდან დასრულებულ მხატვრულ მოცემულობამდე, შესატყვისი ანალიზით.

უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის ორგანიზებით ტრენინგებზე მოწვეულები იქნებიან ძირითადად ევროპის სხვადასხვა კინოსტუდიებისა თუ სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, კინო რეჟისორები. ამასთან, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობა გაცვლით პროგრამებზე საშუალებას მისცემს პროგრამის სტუდენტებს ჩაერთონ ამ პროცესში. ჩატარდება მასტერკლასები კინო რეჟისურაზე, ხმის რეჟისურასა და კინომონტაჟის უკანასკნელ პროფესიულ მიღწევებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მასტერკლასებს გაუძღვებიან ამერიკიდან და ევროპიდან მოწვეული პროფესორები. სასწავლო კომპონენტთან ერთად დოქტორანტები იმუშავენ სარეჟისორო ნამუშავარზე – მხატვრულ/დოკუმენტურ ფილმზე. ამავედროულად, ისინი მნიშვნელოვან სამუშაოს მიუძღვნიან ანალიზსა და კვლევას.

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევი საკითხები:

რამდენადაც თანამედროვე კინოში ახალი ტექნოლოგიების მუდმივად განახლების პროცესებისა და ახალი აზროვნების ჩამოყალიბებიდან გამომდინარე, ბევრი რამ იცვლება, იცვლება რეჟისორის როლიც თანამედროვე კინოპროცესში. ტექნიკურმა პროგრესმა შეცვალა მისი ფუნქცია და ამოცანა ფილმწარმოებისა და სადადგმო-საპროდუქსიო ჯგუფთან ურთიერთობის კუთხით. თავისუფალ რეჟისურას ენაცვლება შემკვეთ-შემსრულებლის ურთიერთობები, რისი თეორიული ცოდნაც და პრაქტიკაში ათვისებაც თანამედროვე კინემატოგრაფისტისთვის აუცილებელია.

კვლევის უმთავრესი საგანია:

*თუ როგორ განისაზღვრება და რა არის რეჟისორის ფუნქცია თანამედროვე კინოპროცესებში;

*სასწავლო მეთოდოლოგიის განვითარება კინობაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად;

*კინოინდუსტრიაში პროფესიულ განვითარების უწყვეტი ციკლის დადგენა და ანალიზი;

*სპეციფიკური საკითხებისა და ამოცანების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბება,

*თავისუფალი რეჟისურა და შეკვეთა თანამედროვე სამყაროში.

• **სადოქტორო პროგრამის ენა:**

“კინორეჟისურის” სადოქტორო პროგრამის ენა ქართულია, თუმცა, დაინტერესებულ უცხოენოვან სტუდენტებს პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსები მიეწოდებათ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

• **სადოქტორო პროგრამის შედეგები:**

პროგრამის შედეგად, საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდება ისეთი ტიპის მკვლევარი-პრაქტიკოსი კინემატოგრაფისტი, რისი ანალოგიც არ არსებობს ჩვენთან და მრავლად მოიძებნება ევროპასა და ამერიკაში, რომელსაც არა მხოლოდ საკუთარი ნიჭის შედეგად შეეძლება მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, არამედ, ეს ყველაფერი დაყრდნობილი იქნება, მის საფუძვლიან თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაზე – თანამედროვე სამყაროში რეჟისორის ფუნქციის განსაზღვრით; კინობაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო მეთოდოლოგიის განვითარებით; კინოინდუსტრიაში პროფესიული განვითარების უწყვეტი ციკლის დადგენისა და ანალიზის ერთიანობით; სპეციფიკური საკითხებისა და ამოცანების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სასწავლო პროცესის გავლით.

პროგრამის გავლის შედეგად დოქტორანტის დარგობრივი კვალიფიკაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც – მხატვრული და დოკუმენტური კინო რეჟისურის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, რომელიც შეიძლება შეავსოს ჩვენს ქვეყანაში არსებობს არსებული ვაკუუმი და მოახდენს ეროვნული კინოხელოვნების იდენტიფიცირებას მსოფლიოს კინემატორგაფიულ სივრცეში.

“კინორეჟისურის” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის პროფესიული (დარგობრივი) კომპეტენცია შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

აქვს საფუძვლიანი ცოდნა:

1. კინოს პრაქტიკისა და თეორიის სინთეზის ასპექტებში;
2. მსოფლიო რეჟისურის ისტორიაში;
3. კინოინდუსტრიის სპეციფიკაციაში;
4. კინობაზრის მოთხოვნების შესწავლისა და გამოყენების შესაძლებლობების სფეროში;
5. თანამედროვე კინოპროცესების ანალიტიკაში;
6. მენეჯმენტში;
7. პროდუსინგში;
8. საქმის ორგანიზების მიმართულებებში;
9. პედაგოგიაში.

“კინორეჟისურის” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

1. აქვს საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების პედაგოგიური გადაცემისა და პროფესიული სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი, შეეძლება მომავალ კინორეჟისორებთან, სცენარისტებთან, მსახიობებთან მუშაობა;
2. შეუძლია შექმნილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და საკუთარ პოტენციალზე დამყარებული და ინდივიდუალური ხედვისა და მიდგომის ფორმირება;
3. აქვს კონკრეტულ ამოცანასთან შექმნილი პროფესიული კომპეტენციის ადაპტაციის უნარ-ჩვევა;
4. შეუძლია შემოქმედებითი პროცესის გააზრებული დაგეგმვა და შედეგების პროგნიზირება;
5. აქვს ანალიტიკური და მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი ჩვევები და ა.შ.

დოქტორანტი სრული კურსის ათვისებისა და დასრულების შემდეგ შეძლებს:

ადიჭურვოს სათანადო ცოდნითა და შემდეგ ცოდნა სხვასაც გადასცეს; მოახდინოს სამეცნიერო კვლევა ამ სფეროში, თეორიულ, პრაქტიკულ საქმიანობასა და კინოინდუსტრიაში; გამოიყენოს ცოდნა როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში; ფილმის დამოუკიდებლად შექმნას, მისი ყველა ეტაპის დონეზე – ჩანაფიქრიდან დისტრიბუციამდე.

- **სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღწერი (დესკრიპტორი):**

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება – კინემატოგრაფიისა და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

დარგობრივი (პროფესიული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლების სრული კურსის გავლის შემდეგ, დოქტორანტს აქვს კინორეჟისურის, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული, შემოქმედებითი კანონებისა და პრინციპების ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად გადაიღოს სხვადასხვა ჟანრის, სპეციფიკისა და მიმართულების ფილმი (რაშიც გამოიყენებს სწავლის პერიოდში მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას); ამავე დროს, პრაქტიკული ცოდნა გადასცეს ახალგაზრდა რეჟისორების (ბაკალავრიატის თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებსა თუ პროფესიული პროგრამების თუ სხვა ტიპის (სტუდიური) კინოსასწავლებლების მსმენელებს); დარგის სპეციფიკის თეორიულ და პრაქტიკული ცოდნა და სწავლის პერიოდში მიღებული გამოცდილება გამოუშუშავენ დოქტორანტს ცოდნას კინოსა და ტელევიზიის, როგორც შემოქმედებითი მოვლენის, ასევე, როგორც ინდუსტრიის შესახებ, შემოქმედებით პრაქტიკულ შესაძლებლობებსა და შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მიღებული ცოდნა და სწავლის დროს პრაქტიკაში გამოყენებული (იქნება ეს, უშუალოდ გადაღებების პროცესი, გადაღებების პროცესში მიღებული ანალიტიკური დაკვირვება და თეორიული ანალიზი, პლუს – პარალელურ რეჟიმში მიღებული განათლება ხელოვნებისა თუ მეცნიერების სხვა დარგებში) გამოცდილება, დოქტორანტს შესაძლებლობას მისცემს, პრაქტიკულ-შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, მის პარალელურად, აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ქართული თუ მსოფლიო კინოპრობლემების, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესების შესწავლისა და ახალი დასკვნების გაკეთების თვალსაზრისით, მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესატყვისობაში მოყვანით და საკუთარი კვლევები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნების სტუდენტებისა და კინოს მკვლევართა, კინოში მოღვაწე სხვა ადამიანებისთვისაც საინტერესო გახადოს. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სამეცნიერო კვლევებისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების ახალ და თანამედროვე კვლევის მეთოდებთან თანახიარობა და ახალი სისტემების დანერგვა, როგორც თეორიულ-ანალიტიკური, ასევე პედაგოგიკისა და თანამედროვე კინოს განვითარების გზების ძიება და ცოდნის სხვებისთვის გადაცემისთვის მზაობა.

არგუმენტირებული დასკვნის უნარი

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით, შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი

გამომდინარე იქიდან, რომ კინო „კოლექტიური“ პროფესიაა და რეჟისორს ამ კოლექტივის მართვა-ორგანიზებისთვის აუცილებელი თვისებები უნდა გააჩნდეს და თან ეს თვისებები სხვასაც უნდა გადასცეს, დოქტორანტისთვის კომუნიკაციისთვის საჭირო პრაქტიკულ-თეორიული უნარების ფლობა აუცილებელია. ამ უნარებს იგი გამოიყენებს როგორც დამდგმელი რეჟისორი, ასევე როგორც პედაგოგი (სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა აუდიტორიასთან ურთიერთობისას) და მეცნიერი-მკვლევარი საკვლევ მასალასა და სამეცნიერო საზოგადოებასთან (სამეცნიერო წრეები, გამომცემლობები, სხვა პედაგოგები) ურთიერთობებს პროცესში.

ერთი ან ორი უცხო ენის ცოდნა, სულ მცირე, ჩ 1 დონეზე, რაც დოქტორანტსა და მომავალ სპეციალისტს – თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს კოლეგებთან, საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენციებზე, სემინარებსა თუ კორქშოფებზე, საერთაშორისო პროექტებში (კო პროდუქციები) გამოადგება.

უნდა იცნობდეს და თავისუფლად იყენებდეს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (Ikt), კინოტექნიკას (გადამღები, ხმის, განათების, სამონტაჟო და ა.შ. აპარატურა) და შეუძლია მათი შემოქმედებითი და პრაქტიკული გამოყენება დარგისთვის სპეციფიკურ კონტექსტში, სამეცნიერო კვლევისთვის, გადაღებისა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობების სხვებისთვის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემა.

სწავლის უნარი

სასწავლო პროგრამა და სწავლის პროცესი დოქტორანტს პირობას უქმნის აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რისთვისაც იყენებს: როგორც ძირითად პროგრამულ, ასევე თანმდევ ყველა რესურსს, იქნება ეს სწავლების სალექციო ნორმებისა თუ ძირითადი საკონტაქტო საათების მიღმა დროის ორგანიზება; უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა; სალექციო და პრაქტიკულ სამუშაოებისთვის საჭირო დროის ორგანიზება და პრაქტიკულ-თეორიული მუშაობის ბადის დაგეგმვა; თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება და ახალი სისტემების დანერგვა, როგორც თეორიულ-ანალიტიკური მუშაობის, ასევე პედაგოგიკისა და გადაღებების პროცესის მხრივ და შესაბამისად, იგივე უნარების სხვისთვის გადაცემა-გაზიარების, მათი სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ორგანიზება.

შესაბამისად, დოქტორანტი შეძლებს თანამედროვე კინოში ახალი ტექნოლოგიების მუდმივად განახლების პროცესებისა და ახალი აზროვნების დანერგვას თანამედროვე რეალობაში; თანამედროვე რეჟისორის ფუნქციებისა და ამოცანების, ფილმწარმოებისა და სადადგმო-საპროდუსერო ჯგუფთან ურთიერთობის შესწავლასა და გამოყენებას; გამოიშუშავებს ფილმების წარმოების, დაგეგმვის, საწარმოო პროცესის ორგანიზებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპების უნარს.

ღირებულებები

იკვლევს აუდიოვიზუალური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივ ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს. ქმნის აუდიოვიზუალური ხელოვნების ახალ ღირებულებებს და მონაწილეობს ახალი ღირებულებების შეფასებაში. ობიექტურად და პროფესიულად აფასებს კინოხელოვნებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს: მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმისა თუ სხვა კინემატოგრაფიული პროექტის კონცეფციას, მის სანახაობრივ-ვიზუალურ ასპექტებს (მხატვრულ თუ მუსიკალურ გაფორმებას), უშუალოდ შემოქმედებითი პროდუქტის დინამიკასა და ერთიანობას, ზოგადად, ნებისმიერი ფორმატის კინო პროდუქციას, დრამატურგიულ ნაწარმოებს – სცენარს, სინოპსისს, მხახიობთა საშემსრულებლო ოსტატობას, აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში – სანახაობრივ – შემეცნებით პრიმატს, შემოქმედებითობასა და ორიგინალობას.

- **სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:**

დარგობრივი (ანუ პროფესიული) კომპეტენციები (უნარ – ჩვევები):

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

- აქვს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების უახლეს კვლევებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა. ერკვევა დამხმარე სპეციალობებში.

- მისი პუბლიკაციები დარგობრივ სფეროში მსოფლიო სტანდარტის დონეზეა.
- სრულიად ფლობს რეჟისურის ზოგადად და კინორეჟისურის სპეციფიურ თეორიულ და კვლევით მეთოდებს.
- კინორეჟისორის საქმიანობაში ავლენს თეორიის გააზრებულ ცოდნას, როგორც პრაქტიკის საფუძველს, და პირიქით.
- შეუძლია კინორეჟისორის/კინომწარმოებლის მიერ გამოყენებად ცნობიერ, თუ ქვეცნობიერ რესურსთა ცოდნა და გათვითცნობიერება ამ საკითხში.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

- კინორეჟისურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია ყოველდღიურად ახალი სიტუაციური ამოცანების გადაწყვეტა.
- შეუძლია პროფესიულ დონეზე ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება.
- ექსპერიმენტის დონეზე მუშაობს ზუსტად და ეფექტურად, რადგან იცნობს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების წესებს, ფლობს სპეციფიურ მეთოდებს.
- ეძებს ახალ იდეებს, ახალ გამომსახველობით ფორმებს, ქმნის ახალ ცოდნას.
- შეუძლია კინოფილმის/სანახაობრივი პროდუქციის ტერმინოლოგიის, ტექნიკური საშუალებების, შიდა სტრუქტურების და სამუშაო მეთოდების გაგება და გამოყენების უნარი.

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

- შეუძლია ეფექტური და პროდუქტიული მუშაობა ჯგუფთან ერთად;
- შეუძლია შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებისას შემოქმედებითი უნარ-ჩვევების (კრეატიულობის) გამომჟღავნება;
- შეუძლია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის განხრით;
- აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სათანადო უნარ-ჩვევები; შეუძლია მათი გამოყენების და პოტენციალის შესახებ ცოდნის გამომჟღავნება;
- შეუძლია პროფესიონალიზმის გამომჟღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის დარგში;
- აქვს კოლეგებთან მოლაპარაკების, შეთანხმების და მათ გარემოში საკუთარი მიზნის მიღწევის უნარი;
- შეუძლია კომპლექსური შემოქმედებითი, პირადი და ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრა.

• სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თეორიულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორებიცაა: უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ისწავლება კინო და მომიჯნავე სპეციალობები; ასევე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებში, სადაც კვლევები კულტურისა და კინემატოგრაფის მიმართულებით მიმდინარეობს. კინოსტუდიებში, ტელევიზიებში, სტუდიებში, სადაც კინომწარმოებასთან ერთად ხდება კინემატოგრაფის სხვადასხვა ასპექტების შესწავლა და პროცესების მართვა. სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომლებიც კინო თუ ზოგადად, კულტურის მიმართულებით მუშაობენ. საჯარო და კერძო სკოლები, სადაც ისწავლება ხელოვნების (კინოსა და ტელევიზიის) ისტორია და ამ მიმართულებით პრაქტიკული სამუშაოები მიმდინარეობს. კულტურის მართვის დაწესებულებები (რეგიონებსა თუ დედაქალაქში).

- **სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა (მიღების წინაპირობა):**
- *სამაგისტრო განათლება მიღებული აქვს კინოხელოვნების (კინო ან სატელევიზიო კინორეჟისურა, ოპერატორის ოსტატობა) განხრით და აქვს, შესატყვისი მონაცემები, როგორც შემოქმედებითი, ასევე, სამეცნიერო (კვლევით-ანალიტიკური) მიმართულებით;*
- *ვისაც აქვს საფუძვლიანი ცოდნა და განათლება კინემატოგრაფის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, ლიტერატურის, თეატრის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ქვეყნების ისტორიისა და კულტურის ისტორიის მიმართულებით;*
- *ვისაც აქვს შექმნილი თუნდაც ერთი (ან რამდენიმე) ფილმი და გამოქვეყნებული (ან დამუშავებული) თეორიული, ისტორიული თუ კრიტიკული ნაშრომი კინოხელოვნების ამა თუ მიმართულებით;*
- *ვისაც აქვს კრეატიული იდეები და უნარი, გამართულად ჩამოაყალიბოს აზრი სამეცნიერო ნაშრომსა თუ საჯარო გამოსვლების დროს, მოახდინოს ჩანაფიქრის, იდეის რეალიზება*
- *ვისაც აქვს პედაგოგიური მონაცემები და აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარი;*
- *ვინც სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას (გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ უცხოელი დოქტორანტებისთვის) და იცის ერთი (ინგლისური) ან რამდენიმე (გერმანული, ფრანგული და ა.შ.) უცხო ენა;*
- *ვინც ფლობს კომპიუტერული პროგრამებს – **Microsoft Word, Internet Explorer;***
- *აქვს მინიმუმ თეორიული (სასურველია, პრაქტიკული) ცოდნა პროგრამების – **Premier, Final Cut.***

სადოქტორო პროგრამის მოცულობა და სასწავლო კომპონენტი:

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ევროკრედიტს, რომელთაგან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო 120 კრედიტი – შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ მეცნიერულ ანალიზსა და კვლევას. საკვლევ – ანალიტიკურ საკვალიფიკაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტი წარმოადგენს შემოქმედებით პროექტს - სარეჟისორო ნამუშევარს – მხატვრულ/დოკუმენტურ ფილმს. აქედან სამეცნიერო ანალიზსა და კვლევას (სადისერტაციო ნაშრომს) ეთმობა 70 კრედიტი, ხოლო სარეჟისორო ნამუშევარს – მხატვრულ/დოკუმენტურ ფილმს - 50 კრედიტი.

სავალდებულო (სპეციალური) დისციპლინის შესწავლა, ტრადიციული ლექციების ნაცვლად დოქტორანტებთან წარმართება ძირითადად სემინარების ფორმატით, სადაც მათ ექნებათ თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება. კვლევის საგნიდან გამომდინარე, მაძიებლისთვის შეირჩევა კინო რეჟისურის დისციპლინიდან თემისთვის აუცილებელი ნაწილები, გადრმავებული სწავლებისათვის. მათ ასევე დაემატებათ მომიჯნავე დისციპლინები საფუძვლიანი ანალიზისათვის. აკადემიური დისციპლინების ღრმა და ინტენსიური შესწავლა შერწყმული იქნება პრაქტიკულ სამუშაოსთან.

პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სავარაუდო საკვლევი საკითხები:

1. რეჟისორის ფუნქცია ციფრული კინემატოგრაფის ეპოქაში;

2. ახალი კინოენის ფორმირება – რეჟისორის ძიებანი „დოგმადან“ ტომ ტიკვერამდე;
3. ციფრული ტექნოლოგია – კინობაზრის თანამედროვე ელემენტი;
4. რეჟისურის ამოცანები ქართულ საინვესტიციო სივრცეში;
5. ტელესივრცე - კინემატოგრაფის სამოქმედო არე.

• **სადოქტორო პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:**

პროგრამის განსახორციელებლად და სამეცნიერო კვლევებისა და ანალიზის ჩასატარებლად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის – კინო-ტელე ლაბორატორია, პავილიონები, გადაძვლები, სამონტაჟო და ხმის აპარატურა; ბიბლიოთეკა; ინფორმატიკის ცენტრი; გამომცემლობა „კენტავრი“; ასევე: კინოსტუდიები: „ქართული ფილმი“; „დამოუკიდებელი კინოპროექტი“; ტელევიზიები (მოლაპარაკებისა და ერთობლივი პროექტების საფუძველზე).

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 1 - 2 დოქტორანტის მიღება, რამდენადაც სახელოვნებო უნივერსიტეტის ფუნდამენტური პრინციპი და მიდგომა ინდივიდუალური პედაგოგის ხელმძღვანელობით მუშაობა.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე სათანადო შემოქმედებითი სტუდია – აუდიტორია.

პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტის (მოდული/კურსი და სხვ.) განხორციელება ხდება შესაბამისი კომპეტენციებისა და შემოქმედებითი ოსტატობის (პროფესიონალიზმის) მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნივერსიტეტში დგინდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია, აგრეთვე, სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის ფარგლებში სასწავლო მასალა დაფუძნებულია აუდიო - ვიზუალური ხელოვნების აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, მათ განკარგულებაშია უნივერსიტეტში არსებული ვიდეოაპარატურა და ფილმოთეკა. შესაძლებელია, მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, თემატურ ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, კერძოდ: „**კინორეჟისურის**“ სადოქტორო პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის ფინანსური კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ფინანსური სტაბილურობის გარანტიას.

• პროგრამის მიხედვით სწავლების ხარისხის განვითარება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს: „დაგეგმე-განხორციელე-შემოწმე-განავითარე“.

უნივერსიტეტში არსებობს სამსახურის მუშაობის საერთო ზოგადსაუნივერსიტეტო პრინციპი: ჩ

- plan - დაგეგმვა;
- do - განხორციელება;
- C - check - შემოწმება;
- act - რეაგირება.

აღნიშნული ციკლი ხორციელდება უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ სტუდენტთა თუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთვრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის შიდა შეფასებისას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეროგატივაა შემდეგი პარამეტრების შეფასება:

1. საგანმანათლებლო პროგრამები
2. შემოქმედებითი პროცესი
3. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა
4. სასწავლო პროცესი
5. აკადემიური პერსონალი
6. ადმინისტრაციული პერსონალი და უმაღლესი საგანმანათლებლო სამსახურის ყველა სტრუქტურა, მათ შორის სტუდენტთა ხელშეწყობის სამსახური, ბიბლიოთეკა და ა.შ.
7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისობა მის მისიასთან და სხვ.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზოგადსაუნივერსიტეტო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) ფორმა
2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია სწავლების სხვადასხვა საფეხურისათვის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები)
3. კურიკულუმის შეფასების ფორმა
4. სილაბუსის ფორმა
5. სილაბუსების შემუშავების ინსტრუქცია
6. სილაბუსის შეფასების ფორმა
7. საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების წესი

ეს აქტივობები (ყოველი კონკრეტული პროგრამის/პროგრამების შიდა შეფასება) მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევების გასაუმჯობესებლად და რეგულირდება შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2011 წლის 16 მაისს, ოქმი №16);

2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სმოქმედო გეგმა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2011 წლის 16 მაისს, ოქმი №16);
3. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ინსტრუქცია (ბრძანება №15/2 – 17.02.2011);
4. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზა (ბრძანება №15/2 – 17.02.2011);
5. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტის ინსტრუქცია კრედიტების (ECTS) განაწილების შესახებ (ბრძანება №15/2 – 17.02.2011).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულ და დამტკიცებულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში ასახულია ის კომპონენტები, რომლებიც როგორც კურიკულუმის, ასევე სილაბუსის შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული:

- პროგრამის მიზანი
- პროგრამის შედეგი (ე.წ. სწავლის შედეგი – ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით)
- სწავლების ფორმატი, მეთოდები
- სასწავლო მასალა
- პროგრამაზე მიღების/სასწავლო კურსის არჩევის წინაპირობები
- შეფასების წესი და მეთოდები
- პროგრამის/კურსის მოცულობა
- პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი/დესკრიპტორი

პროგრამების შეფასებისას ყურადღება ექცევა ზემოთ აღნიშნულ ასპექტებს შორის თანხედერას, ანუ, რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, რამდენად შესაფერისია სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევისათვის, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების გაზომვისათვის და ა.შ. ეს მომენტი მით უფრო მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რამდენადაც სახელოვნებო-საშემსრულებლო უმაღლესი განათლება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მიდგომასა და სიფრთხილეს საჭიროებს ზოგადსაუნივერსიტეტო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის თვალსაზრისით.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტისათვის გარე შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი სამსახურებია: საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (ა პროპოს - საქართველოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი) და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აუდიტი. უნივერსიტეტში სამომავლოდ დაგეგმილია პროგრამების შეფასება შესაბამისი დარგის საერთაშორისო ექსპერტთა მიერ.

• სადოქტორო პროგრამის რეზიუმე:

პრაქტიკული შემოქმედებითი სარეჟისორო ნამუშევრის (მხატვრული/დოკუმენტური კინოფილმის) წარმოდგენისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭება **აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დოქტორის** აკადემიური ხარისხი.

პროგრამული კონცენტრაცია: აუდიო-ვიზუალური რეჟისურა – ტელერეჟისურა

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ტელერეჟისურა ერთ-ერთია იმ საქმიანობებს შორის, რომელიც ყოველდღიურად ახალი იდეების, ახალი ფორმების, სიტუაციური ამოცანების ყოველწუთიერ გადაწყვეტას გულისხმობს. ამ პროფესიას თავიდანვე მხატვრული აზროვნებისადმი გამოკვეთილი მიდრეკილებისა და ორიგინალური აზროვნების ადამიანები ეუფლებიან. მიუხედავად იმისა, რომ კანონებს, ფორმულებს, რეჟისურის დარგი ნაკლებად ემორჩილება, მაინც არის ღრმა, თეორიული საფუძველი, რომლის კვლევა, მოწესრიგება, ძალიან გამოადგება როგორც პრაქტიკოსს, ასევე სამეცნიერო, თუ სასწავლო პროცესში ჩართულ ტელერეჟისორს. საქმე ძალიან სერიოზულია, რადგან საბოლოოდ, როგორც შედეგი, სახეზეა ტელე მაუწყებლობა, საზოგადოებრივ აზროვნებაზე უშუალო ზემოქმედების იარაღი.

მასმედიის სწრაფი ტრანსფორმაცია ითხოვს მაღალი რანგის პროფესიონალს, რომელიც აღჭურვილია თეორიის ღრმა ცოდნით, აგრძელებს დისციპლინის თანამედროვე მოცემულობების კვლევას. ეძებს ახლ გამომსახველობით ფორმებს, კრიტიკულად აფასებს კანონებად აღიარებულ ცნებებს, არგუმენტირებული ანალიზით ადასტურებს მიგნებულ მოსაზრებებს.

ტელერეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ დიდი შემოქმედებითი ჯგუფი ემსახურება. ავტორები, რედაქტორები, მხატვრები, ოპერატორები, მუსიკალური გამფორმებლები, მენეჯერები, ვიდეოტექნიკოსები, კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამისტები, გამნათებლები, სადადგმო ნაწილი და ა.შ. თითოეულ მათგანს კოორდინაციას უწევს რეჟისორი. მათი შეთანხმებული მუშაობისთვის რეჟისორმა უნდა იცოდეს თუ რა შემოქმედებით თუ ტექნიკურ რესურსს ფლობს ესა თუ ის დამხმარე სპეციალობა ტელევიზიაში. მან ზუსტად უნდა განსაზღვროს რა უნდა, რა იდეას, რა გამომსახველობითი ფორმით მიაწოდებს მაყურებელს, და როგორ უნდა განახორციელოს შემოქმედებითი ჩანაფიქრი. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადი საგნის გარდა მომავალი ტელერეჟისორები, მათთვის აუცილებელი ფორმატით ეცნობიან მომიჯნავე სპეციალობებს.

სწავლების სამსაფეხუროვან სისტემაზე გადასვლა საშუალებას იძლევა სადოქტორო დონეზე მოხდეს ტელეპროდუქციის კონცეპტუალური გააზრება და მისი, როგორც საზოგადოებრივი აზრის ინტერპრეტაციულ-მამოღებელი საქმიანობის შესწავლა.

• პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან

სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „ტელერეჟისურის“ სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი – შემოქმედი და ანალიტიკოსი, რომელიც (შესაბამისი სპეციალობით) უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური პროექტის (სატელევიზიო ფილმი, ტელეპროექტი, ტელეწარმოება და სხვ.) შექმნასა და

თეორიულ – მეთოდოლოგიურ ანალიზს – შემდგომში დარგის განვითარებისა და სწავლების მიზნით.

• **პროგრამის მიზანი:**

„ტელერეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის მიზანია მომზადდეს ტელევიზიის რეჟისურის ისეთი სპეციალისტი, რომელიც იცნობს თანამედროვე სატელევიზიო პროცესებს, ერკვევა მასკომუნიკაციის თეორიაში, იცის ტელე და კონო რეჟისურის ისტორია და თეორია და შეუძლია შემოქმედებითი პროცესის დაგეგმვა, ანალიზი და მართვა.

„ტელერეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის მიზანია, ასევე თეორიული კვლევების დახმარებით გააუმჯობესოთ პროფესიული აღზრდის მეთოდიკა, გაავადრმაოთ ცოდნა საინფორმაციო ხელოვნების წარსულის თუ დღევანდელი მიღწევების შესახებ. შევქმნათ გაანალიზებულ, კონცეპტუალურად გამართული მაუწყებლობის მოდელი. მომზადდეს აკადემიური ლიდერი, რომელსაც აქვს უნარი შექმნას ახალი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი იდეები და პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის სახით.

რეჟისორი-ანალიტიკოსის მომზადება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ის ღრმად გაერკვეს ქვეყნის სოციალურ – პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენების ძირითად ტენდენციებში, სატელევიზიო წარმოების პროცესი მოიაზროს ერთიანი კულტურული პროცესის კონტექსტში, გაეცნოს და მეცნიერულად გამოიკვლიოს ტელე რეჟისურის მიერ განვლილი გზა და განჭვრიტოს მისი უახლოესი თუ შორეული განვითარების პერსპექტივები. იცოდეს ტელევიზიის შემეცნებითი, საინფორმაციო, მხატვრული, ესთეტიკური, სოციალური, თერაპიული, საკომუნიკაციო, ენობრივი თუ სხვა სახის პოტენციალი.

ასეთი ტიპის სპეციალისტი ქართული ტელევიზიის საუკეთესო ტრადიციის განვითარებასა და მსოფლიო კულტურულ-სოციალურ პროცესებში ქართული ტელეინდუსტრიის შემდგომ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ის აღჭურვილი იქნება ტელეხელოვნების პრაქტიკის ანალიზისა და კონცეპტუალური რეჟისურისათვის აუცილებელი პროფესიული მეთოდოლოგიური მიდგომებით.

• **სადოქტორო პროგრამის კვლევითი ასპექტები/მოდულები:**

„ტელერეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გამოიყოფა შემდეგი საკვლევო ასპექტები/მოდულები:

1. ტელერეჟისურა – ხელმძღვანელი ალექსანდრე ვახტანგოვი;
2. ტელეპროდუქციის აუდიო-ვიზუალური ასპექტები (ლაბორატორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი) – ხელმძღვანელი ელისაბედ ერისთავი.

• **სადოქტორო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია:**

პროგრამა მნიშვნელოვანია თავისი არსით, რადგან ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს. დოქტორანტები სამი წლის განმავლობაში თეორიული კურსის პარალელურად პრაქტიკას გაივლიან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კინო-ტელე ლაბორატორიაში. მათ მოემსახურება უნივერსიტეტის კინო-ტელე სტუდია, რაც შესაძლებლობას მისცემს მომავალ

ტელერეჟისორებსა და პედაგოგებს ლაბორატორიული მუშაობის ახალი სისტემის შემუშავებაში. ისინი პრაქტიკულად აითვისებენ აუდიოვიზუალური ხელოვნებისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს.

უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის ორგანიზებით ტრენინგებზე მოწვეულები იქნებიან ძირითადად ევროპის სხვადასხვა ტელევიზიებისა თუ სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, ტელე რეჟისორები. ამასთან, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობა გაცვლით პროგრამებზე საშუალებას მისცემს პროგრამის სტუდენტებს ჩაერთონ ამ პროცესში. ჩატარდება მასტერკლასები ტელე რეჟისურაზე, ხმის რეჟისურასა და ტელემონტაჟის უკანასკნელ პროფესიულ მიღწევებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მასტერკლასებს გაუძღვებიან ამერიკიდან და ევროპიდან მოწვეული პროფესორები. სასწავლო კომპონენტთან ერთად დოქტორანტიები იმუშავებენ სარეჟისორო ნამუშევარზე – სატელევიზიო ფილმზე. ამავდროულად, ისინი მნიშვნელოვან სამუშაოს მიუძღვნიან ანალიზსა და კვლევას.

• **სადოქტორო პროგრამის ენა:**

“ტელერეჟისურის” სადოქტორო პროგრამის ენა ქართულია, თუმცა, დაინტერესებულ უცხოენოვან სტუდენტებს პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსები მიეწოდებათ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

• **სადოქტორო პროგრამის შედეგი:**

“ტელერეჟისურის” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **პროფესიული (დარგობრივი) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

1. ის განიხილავს ტელევიზიას, როგორც სოციალური კომუნიკაციის ფენომენს.
2. შეუძლია განსაზღვროს ტელევიზიისა და მასმედიის მთავარი მიმართულებები და პრიორიტეტები ქვეყნის დღევანდელი მოცემულობებიდან გამომდინარე.
3. წერს მაუწყებლის კონცეფციას არხის სპეციფიკიდან გამომდინარე.
4. ადგენს გადაცემათა სასურველ ბაღეს არხის კონცეფციიდან გამომდინარე.
5. მის პრაქტიკულ საქმიანობასა თუ თეორიულ ნაშრომებში გაცნობიერებულია მასმედიისა და კომუნიკაციის როლი, როგორც სოციუმში პიროვნების განვითარების ერთერთი უმძლავრესი ფაქტორი.
6. განიხილავს ინტერნეტტელევიზიას, როგორც მასმედიის განვითარების თანამედროვე საფეხურს.
7. ესმის ტელევიზიის არსი, იცნობს ტრადიციებსა და აქვს ნოვატორული იდეები.
8. შეუძლია სატელევიზიო პროდუქციის ხარისხის კრიტერიუმის დადგენა.
9. აქვს მაღალი პოლიტიკური და პროფესიული კულტურა.
10. აქვს ცოდნისა და გამოცდილების პედაგოგიური გადაცემისა და პროფესიული სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი.

“ტელერეჟისურის” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

6. აქვს საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების პედაგოგიური გადაცემისა და პროფესიული სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი, შეეძლება მომავალ ტელე რეჟისორებთან, სცენარისტებთან, მსახიობებთან მუშაობა;
7. შეუძლია შეძენილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და საკუთარ პოტენციალზე დამყარებული და ინდივიდუალური ხედვისა და მიდგომის ფორმირება;

8. აქვს კონკრეტულ ამოცანასთან შექმნილი პროფესიული კომპეტენციის ადაპტაციის უნარ-ჩვევა;
9. შეუძლია შემოქმედებითი პროცესის გააზრებული დაგეგმვა და შედეგების პროგნოზირება;
10. აქვს ანალიტიკური და მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი ჩვევები და ა.შ.

• **სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღწერი (დუსკრიპტორი):**

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

დარგობრივი (პროფესიული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს აუდიოვიზუალური ხელოვნების ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ხელოვნების ამ დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. იცნობს და აცნობიერებს ტელეხელოვნების დარგში არსებულ უახლეს მიღწევებს. შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად ფლობს აუდიოვიზუალური ხელოვნებისათვის სპეციფიკურ (პრაქტიკულ, თეორიულ, ანალიტიკურ და კვლევით) მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია შეიმუშავოს აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში ახლებური კონცეპტუალური, კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნისა და დარგის სწავლების ახალი მეთოდოლოგიის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევასა და ანალიზს. ასევე

დამოუკიდებლად ახორციელებს საშემსრულებლო-შემოქმედებით პროექტს, ქმნის მის კონცეფციას და ანალიზის საფუძველზე ქმნის სწავლებისა და პრაქტიკული შემოქმედებითი პროექტების განხორციელების ახალ მეთოდოლოგიას.

არგუმენტირებული დასკვნის უნარი

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში სწავლებისა და შემოქმედებითი მუშაობის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა არსებულ ცოდნასთან კავშირში. რთული და სადავო ინფორმაციის და ეფექტური გადაცემა კოლეგებისათვის, შემოქმედებითი პარტნიორებისთვის, დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში. შეუძლია საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი

ადეკვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესს და იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა. უდიოვიზუალური ხელოვნების დარგებში არსებული უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე – ავითარებს ახალ იდეებს სწავლის, შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობისა და კვლევისა თუ ანალიზის პროცესში.

ღირებულებები

იკვლევს აუდიოვიზუალური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივ ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს. ქმნის აუდიოვიზუალური ხელოვნების ახალ ღირებულებებს და მონაწილეობს ახალი ღირებულებების შეფასებაში. ობიექტურად და პროფესიულად აფასებს ტელეხელოვნებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს: ტელე ფილმისა თუ სხვა ტელე პროექტის კონცეფციას, მის სანახაობრივ-ვიზუალურ ასპექტებს (მხატვრულ თუ მუსიკალურ გაფორმებას), უშუალოდ შემოქმედებითი პროდუქტის დინამიკასა და ერთიანობას, ზოგადად, ნებისმიერი ფორმატის სატელევიზიო პროდუქციას, დრამატურგიულ ნაწარმოებს – სცენარს, სინოპსისს, მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობას, აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში – სანახაობრივ – შემეცნებით პრიმატს, შემოქმედებითობასა და ორიგინალობას.

- **სალოქტორო პროგრამის კომპეტენციები:**

დარგობრივი (ანუ პროფესიული) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

- აქვს ტელე კომუნიკაციის უახლეს კვლევებზე დაფუძნებული დრმა და სისტემური ცოდნა. ერეკვეა დამხმარე სპეციალობებში.
- მისი პუბლიკაციები დარგობრივ სფეროში მსოფლიო სტანდარტის დონეზეა.
- სრულიად ფლობს რეჟისურის ზოგადად და ტელერეჟისურის სპეციფიურ თეორიულ და კვლევით მეთოდებს.
- სატელევიზიო საქმიანობაში ავლენს თეორიის გააზრებულ ცოდნას, როგორც პრაქტიკის საფუძველს, და პირიქით.
- შეუძლია ტელერეჟისორის/ტელემწარმოებლის მიერ გამოყენებად ცნობიერ, თუ ქვეცნობიერ რესურსთა ცოდნა და გათვითცნობიერება ამ საკითხში.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

- ტელერეჟისურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია ყოველდღიურად ახალი სიტუაციური ამოცანების გადაწყვეტა.
- შეუძლია პროფესიულ დონეზე ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება.
- ექსპერიმენტის დონეზე მუშაობს ზუსტად და ეფექტურად, რადგან იცნობს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების წესებს, ფლობს სპეციფიურ მეთოდებს.
- ეძებს ახალ იდეებს, ახალ გამომსახველობით ფორმებს, ქმნის ახალ ცოდნას.
- შეუძლია ტელევიდმის/სანახაობრივი პროდუქციის ტერმინოლოგიის, ტექნიკური საშუალებების, შიდა სტრუქტურების და სამუშაო მეთოდების გაგება და გამოყენების უნარი.

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

- შეუძლია ეფექტური და პროდუქტიული მუშაობა ჯგუფთან ერთად;
- შეუძლია შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებისას შემოქმედებითი უნარ-ჩვევების (კრეატიულობის) გამომჟღავნება;
- შეუძლია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის განხრით;
- აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სათანადო უნარ-ჩვევები; შეუძლია მათი გამოყენების და პოტენციალის შესახებ ცოდნის გამომჟღავნება;
- შეუძლია პროფესიონალიზმის გამომჟღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის დარგში;
- აქვს კოლეგებთან მოლაპარაკების, შეთანხმების და მათ გარემოში საკუთარი მიზნის მიღწევის უნარი;
- შეუძლია კომპლექსური შემოქმედებითი, პირადი და ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრა.

• სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თეორიულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ის შეიძლება დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში, იმუშაოს სატელევიზიო კომპანიებში დამდგმელ რეჟისორად, მენეჯერად, შეასრულოს ექსპერტ-ანალიტიკოსის ფუნქციები - მონაწილეობა მიიღოს ტელევიზიის, ტელე არხის სამხატვრო და სადადგმო პოლიტიკის განსაზღვრის, შემოქმედებითი სტრატეგიისა და რეპერტუარის დაგეგმვის საკითხებში, მონაწილეობა მიიღოს ტელეარხის სამაუწყებლო ბადის შექმნაში, მაუწყებლის პოლიტიკის განსაზღვრასა და შემოქმედებითი სტრატეგიის შემუშავებაში. იმუშაოს რადიოში, როგორც რადიო დადგმებისა თუ გადაცემების დამდგმელმა რეჟისორმა, იმუშაოს პროფესიული კვლევების მიმართულებით.

• სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა (მიღების წინაპირობა):

კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აუდიო-ვიზუალურ რეჟისურაში, მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ადლო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. ძირითადი მოდულის სრული ათვისებისათვის აუცილებელია საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების კურსებით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა აუდიო-ვიზუალურ რეჟისურაში, რაც გაუადვილებს დოქტორანტებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას.

• სადოქტორო პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:

პროგრამის განსახორციელებლად და სამეცნიერო კვლევებისა და ანალიზის ჩასატარებლად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 1 - 2 დოქტორანტის მიღება, რამდენადაც სახელოვნებო უნივერსიტეტის ფუნდამენტური პრინციპი და მიდგომა ინდივიდუალური პედაგოგის ხელმძღვანელობით მუშაობა.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე სათანადო შემოქმედებითი სტუდია – აუდიტორია.

პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტის (მოდული/კურსი და სხვ.) განხორციელება ხდება შესაბამისი კომპეტენციებისა და შემოქმედებითი ოსტატობის (პროფესიონალიზმის) მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნივერსიტეტში დგინდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია, აგრეთვე, სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის ფარგლებში სასწავლო მასალა დაფუძნებულია აუდიო - ვიზუალური ხელოვნების აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, მათ განკარგულებაშია უნივერსიტეტში არსებული ვიდეოაპარატურა და ფილმოთეკა. შესაძლებელია, მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, თემატურ ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, კერძოდ: „ტელერეჟისურის“ სადოქტორო პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის ფინანსური კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ფინანსური სტაბილურობის გარანტიას.

• პროგრამის მიხედვით სწავლების ხარისხის განვითარება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“.

უნივერსიტეტში არსებობს სამსახურის მუშაობის საერთო ზოგადსაუნივერსიტეტო პრინციპი: ჩ

- პლან - დაგეგმვა;
- დო - განხორციელება;
- ჩ - ცპეცკ - შემოწმება;
- აცტ - რეაგირება.

აღნიშნული ციკლი ხორციელდება უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ სტუდენტთა თუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთვრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის შიდა შეფასებისას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეროგატივაა შემდეგი პარამეტრების შეფასება:

1. საგანმანათლებლო პროგრამები
2. შემოქმედებითი პროცესი
3. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა
4. სასწავლო პროცესი
5. აკადემიური პერსონალი
6. ადმინისტრაციული პერსონალი და უმაღლესი საგანმანათლებლო სამსახურის ყველა სტრუქტურა, მათ შორის სტუდენტთა ხელშეწყობის სამსახური, ბიბლიოთეკა და ა.შ.
7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისობა მის მისიასთან და სხვ.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზოგადსაუნივერსიტეტო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) ფორმა
2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია სწავლების სხვადასხვა საფეხურისათვის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები)
3. კურიკულუმის შეფასების ფორმა
4. სილაბუსის ფორმა
5. სილაბუსების შემუშავების ინსტრუქცია
6. სილაბუსის შეფასების ფორმა
7. საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების წესი

ეს აქტივობები (ყოველი კონკრეტული პროგრამის/პროგრამების შიდა შეფასება) მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევების გასაუმჯობესებლად და რეგულირდება შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2011 წლის 16 მაისს, ოქმი №16);
2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სმოქმელო გეგმა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2011 წლის 16 მაისს, ოქმი №16);
3. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ინსტრუქცია (ბრძანება №15/2 – 17.02.2011);

4. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზა (ბრძანება №15/2 – 17.02.2011);

5. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტის ინსტრუქცია კრედიტების (ჩთშ) განაწილების შესახებ (ბრძანება №15/2 – 17.02.2011).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულ და დამტკიცებულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში ასახულია ის კომპონენტები, რომლებიც როგორც კურიკულუმის, ასევე სილაბუსის შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული:

- პროგრამის მიზანი
- პროგრამის შედეგი (ე.წ. სწავლის შედეგი – ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით)
- სწავლების ფორმატი, მეთოდები
- სასწავლო მასალა
- პროგრამაზე მიღების/სასწავლო კურსის არჩევის წინაპირობები
- შეფასების წესი და მეთოდები
- პროგრამის/კურსის მოცულობა
- პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი/დესკრიპტორი

პროგრამების შეფასებისას ყურადღება ექცევა ზემოთ აღნიშნულ ასპექტებს შორის თანხედერას, ანუ, რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, რამდენად შესაფერისია სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევისათვის, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების გაზომვისათვის და ა.შ. ეს მომენტი მით უფრო მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რამდენადაც სახელოვნებო-საშემსრულებლო უმაღლესი განათლება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მიდგომასა და სიფრთხილეს საჭიროებს ზოგადსაუნივერსიტეტო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის თვალსაზრისით.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გარე შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი სამსახურებია: საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (ა პროპოს - საქართველოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი) და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აუდიტი. უნივერსიტეტში სამომავლოდ დაგეგმილია პროგრამების შეფასება შესაბამისი დარგის საერთაშორისო ექსპერტთა მიერ.

• სადოქტორო პროგრამის რეზიუმე:

პრაქტიკული შემოქმედებითი სარეჟისორო ნამუშევრის (ვიდეორგოლის, გადაცემის/ტელეფილმის) წარმოდგენისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭება **აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დოქტორის** აკადემიური ხარისხი.